ISSN 0132—5981

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

თბილისი - 1980

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა საქართველო

№ 6

ნოემბერი, დეკემბერი

1930 წელი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

СОДЕРЖАНИЕ

რედაქციის მისამართი. თბილისი, ალექსანიოვის ქ. 103. ტ 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 10.XI. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.XII 80 წ., ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5.
შეკვ. № 3175 ტირაჟი 15.350 უე 08695

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14

ბრძოლა ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე თანამიმდევრულად და ყველა საშუალებით იბრძვის ისეთი დიდი ბოროტების წინააღმდეგ, როგორიც არის ფორმალიზმი და ადამიანებისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულება. ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი უდიდეს ზიანს აყენებს კომუნისტური მშენებლობის საქმეს, სახელს უტეხს საბჭოთა აპარატს, ამუხრუჭებს მასების შემოქმედებითს ინიციატივას, ხელს უშლის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების განხორციელებას, არყევს შრომითსა და საშემსრულებლო დისციპლინას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნავდა: „ბიუროკრატიზმი და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მშრომელთა კოლექტივის აზრიც, პრესის კრიტიკული სიტყვაც, დარწმუნების მეთოდებიც, კანონის ძალაც — ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება“[1].

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ბოლო ხანს ყოველ ღონეს ხმარობს საბჭოთა აპარატის გამარტივებისა და განმტკიცებისთვის, მისი მუშაობის სრულყოფისათვის, საქმის გაჯანსაღებისა და ბიუროკრატიზმის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრისათვის, ადამიანებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების სულისკვეთებით ხელმძღვანელი კადრების აღზრდისათვის. პარტია მკაცრად სჯის თანამდებობის პირებს, რაგინდ დიდი პოსტიც უნდა ეკავოთ მათ, რომლებიც ბოროტად იყენებენ ძალაუფლებას, აბუჩად იგდებენ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, არღვევენ განცხადებებისა და საჩივრების განხილვის კანონით დადგენილ წესს, ურიგდებიან საქმისადმი გულგრილი, ფორმალური, ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტებს. ყოველივე ამის წყალობით უკვე მიღწეულია დადებითი და ხელშესახები შედეგები. ბიუროკრატიზმი თუმცა ნელა და თანდათანობით, მაგრამ მაინც უკან იხევს, თმობს პოზიციებს, რაც სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბიუროკრატიზმის ბაცილა შეტად გამძლეა. ამ მავნე სენის საბოლოოდ დაძლევის სიძნელეებზე თავის დროზე მიგვითითებდა კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. „ბიუროკრატიული მუწყაის“ „მოუზორება“, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ...ერ შეიძლება, მას შეიძლება მხოლოდ ვუმკურნალოთ. ჭირურგია ამ შემთხვევაში აბსურდია, შეუძლებლობაა; მხოლოდ ნელი მკურნალობა—ყოველივე დანარჩენი თვალთმაქცობა ან გულუბრყვილობაა“[2]. სხვა ადგილას ვ. ი. ლენინი იმეორებდა: თუ თქვენს წინაშე გამოდიან და ამბობენ — „ბოლო მოვუღოთ ბიუროკრატიზმსო“, ეს დემაგოგია. ეს ჩმახვაა. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ვიბრძოლებთ, და, ვინც სხვანაირად ფიქრობს, ის შარლატანობს და დემაგოგობს, რადგან, იმისათვის, რომ ბიუროკრატიზმი დაძლიო, საჭიროა ასობით ღონისძიება“[3]. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ვ. ი ლენინი სავსებით მართალი იყო. ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მართლაც მეუღმივი და დაუნდობელი ბრძოლაა საჭირო. ამ ნეგატიური მოვლენების ერთბაშად და საბოლოოდ აღმოფხვრა, თანაც მთელი საზოგადოებრიობის დაურაზმავად, შეუძლებელია.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი რვა წელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ და მიზანდასახულ ღონისძიებებს ახორციელებს მთელ ჩვენს ცხოვრებაში, ყველა სფეროში ლენინური პარტიული ნორმების აღსადგენად და დასამკვიდრებლად, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად, უფლების გაუფასურების ტენდენციების დასაძლევად, ფორმალიზ-

---

1 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 106.

2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 35, გვ. 520.

3 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 65.

ბისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების აღმოსაფხვრელად. ჩვენ არ ვივიწყებთ, და არც შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ დიდი ჩავარდნები, რომლებიც გვქონდა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში არცთუ ისე შორეულ წარსულში, გამოწვეული იყო კანონიერების უხეში დარღვევით, დისციპლინის მოშლით, სოციალიზმის ისეთი უცხო ანტიპოდების გამოცოცხლებითა და აღორძინებით, როგორიც იყო და არის ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი და რასაც თან სდევდა არაკეთილსინდისიერება, სახელმწიფო ქონების დატაცება, მექრთამეობა, გამოძალვა და მრავალი სხვა დანაშაული.

ახლა, როცა რესპუბლიკაში შექმნილია ნაკლოვანებათა დაძლევის ხელსაყრელი ვითარება, კომუნისტური მშენებლობის საქმის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების, შეგნებული დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ ახლახან მიღებული დადგენილება „რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სახამართლო ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებებთან ბრძოლის მდგომარეობისა და ამისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". ეს უაღრესად პრინციპული პარტიული დოკუმენტი ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში ახალ. ვაზრდილ ამოცანებს უსახავს არა მარტო რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებს, არამედ საერთოდ მთელ სახელმწიფო აპარატს, რომლის განხორციელებასაც უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს დადგენილება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა, მოიცავს ამ საკითხის გადაწყვეტის ყველა ასპექტს და, უნდა ვიფიქროთ, გადამწყვეტ გავლენას მოახდენს ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობაზე.

როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ბოლო ხანს შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღეს ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელობა გაბედულ და პრინციპულ ღონისძიებას ახორციელებს ამ ბოროტებათა აღსაკვეთად, უფრო მეტს ზრუნავენ თავიანთი რიგების სიწმინდისათვის. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ძალაუფლების გადამეტების, ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, მეკრთამეობის, ფულის გამოძალვის და სხვა დარღვევებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაშია მიცემული პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების 175 მუშაკი, ცუდი მუშაობისა და შეუფერებელი საქციელისათვის ვადამდე გამოწვეული 14 სახალხო მოსამართლე. მაგრამ ფორმალიზმთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამჟამამდელი დონე ადმინისტრაციულ ორგანოებში ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი, ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც მოქალაქეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, მისი ხელმძღვანელობა ბიუროკრატიზმის ფაქტებისადმი წყალობის გამო მკაცრად იქნენ გაფრთხილებული ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე. „ბიუროკრატიზმი, — აღნიშნავდა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ე. ა. შევარდნაძე, — ახასიათებს ზოგიერთი ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობასაც, რაც არათუ აძნელებს ბრძოლას სოციალისტურ დარღვევათა წინააღმდეგ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანს აყენებს საზოგადოებას"4.

პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების საგამოძიებო ქვეგანყოფილებში, სახალხო სასამართლოებში ხშირად უხეშად ირღვევა საქმეთა გამოძიებისა და განხილვის ვადები. არის მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში დაუსაბუთებლად მიცემისა და მსჯავრდადების არაერთი ფაქტი. ჯერ კიდევ არის დანაშაულის სახელმწიფო აღრიცხვიდან დაფარვის, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების დიდი დაგვიანებით განხილვის შემთხვევები. მაგალითად, ლანჩხუთისა და სამტრედიის რაიონების ადმინისტრაციული ორგანოები 1976 წლიდან იძიებდნენ რ. ჩიტაიას და გ. ბითაძის სისხლის სამართლის საქმეს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ არასრულწლოვანის გაუპატიურება. საქმე არაერთხელ იქნა დაბრუნებული ხელახალი გამოძიებისათვის, საგამოძიებო ვადა კი ცხრაჯერ გაუგრძელეს. შეუწყნარებელია, რომ ბიუროკრატიზმის ამ ფაქტის გამო არც ერთი დამნაშავე პირისათვის პასუხი არ მოუთხოვიათ.

---

4 საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, თბ., 1976, გვ. 145.

სრულიად მოუთმენელია, როცა უმიზეზოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე სასამართლოებში განუხილველია სისხლის სამართლის, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საქმეები, ამ მდგომარეობის აღკვეთისათვის კი ქმედითი ღონისძიებები არ ხორციელდება. რედაქცია ამ ნომერში აქვეყნებს გ. გოლოშვილის სტატიას, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რაოდენ დიდი სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საქმეთა გარჩევისათვის მომზადებას და მათ დროულად განხილვას. ეს არ არის უბრალო საქმე, იგი პოლიტიკაში გადადის, ვინაიდან სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების განხილვის გაჭიანურებას თან ასდევს ხალხის სამუშაოდან მოცდენა, ადამიანთა ფსიქოლოგიურ-მორალური ტრავმა, შრომის დისციპლინის შესუსტება. ბიუროკრატიზმს სწორედ მისი თანამდევი ნეგატიური შედეგების აღსაკვეთადაც უნდა ვებრძოლოთ, რადგან „ისე არაფერი არ უცრუებს ადამიანს გულს, როგორც ცალკეულ მუშაკთა მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების, უთაურობისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები, რომელთა შედეგად წყალში იყრება შრომა, საზოგადოებრივი დოვლათი, შექმნილი ფასეულობანი"[5].

ადმინისტრაციული ორგანოების ბევრი მუშაკი უხეშობს, ცუდად იდებს მოქალაქეებს, უსულგულოდ იხილავს საჩივრებსა და განცხადებებს, ფორმალურად ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. სახელმწიფო კი სწორედ მათგან და უპირველეს ყოვლისა, პროკურატურის ორგანოების მუშაკებისაგან მოითხოვს დაიცვან კანონები, ებრძოლონ ფორმალიზმსა და საქმის გაჭიანურებას. განა შეიძლება, მაგალითად, რაიმე გამართლება მოეძებნოს ზესტაფონის რაიონის სახალხო მოსამართლის რ. ფუტკარაძის მოქმედებას, უფრო სწორად, უმოქმედობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის ჯ. მიქელაძის სტატიაში, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება, ასეთი ფაქტია მოყვანილი. მოსამართლე რ. ფუტკარაძემ მსჯავრდადებულ ე. დოდინას სასჯელის გამოთვლაში დაუშვა შეცდომა და იგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შეასახლა ორი წლითა და ორი თვით ნაცვლად ორი წლისა და 28 დღისა. ამ შეცდომის გასწორებისათვის შრომა-გასწორების დაწესებულებასა და მოსამართლე რ. ფუტკარაძეს შორის მთელი ერთი წელი წარმოებდა მიმოწერა და მხოლოდ მეოთხედ გამოტანილ განჩინებაში შეძლო მან დაშვებული შეცდომის გამოსწორება. და ეს მაშინ, როდესაც შრომა-გასწორების დაწესებულებებში მსჯავრდადებულთა ხელახალი აღზრდა სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენის აღსრულებაზე. გასაგებია, თუ როგორ აღსრულდება ასეთი „სიზუსტით" გამოტანილი განაჩენი და განჩინება და რა როლს შეასრულებს იგი მსჯავრდადებულის გამოსწორებაში.

საჭიროა ჩვენი კადრები აღვზარდოთ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით, ავამაღლოთ მათი კვალიფიკაცია, დავსვეწოთ მათი გადამზადების ფორმები და მეთოდები, მთელი ეს საქმიანობა წარვმართოთ მეცნიერულ საფუძვლებზე. ადმინისტრაციული ორგანოების ყველა რგოლში უნდა შეექმნათ ჯანსაღი, საქმიანი ატმოსფერო, საბოლოო და გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ ფორმალიზმსა და ბიუროკრატიზმს. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია ნათქვამი, ამ ამოცანების შესრულებაში დიდია ადმინისტრაციული ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი, რომლებიც მოვალენი არიან უზრუნველყონ რკინისებური წესრიგი თავიანთ აპარატში. არ დაუშვან საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება, გააქტიურონ ბრძოლა ბიუროკრატულ დამახინჯებათა წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება ადმინისტრაციულ ორგანოებში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხსა და პრობლემას აყენებს. ერთ საყურნალო სტატიაში შეუძლებელია ყველაფერი ამომწურავად ითქვას. ყურნალის რედაქცია მომავლში არაერთხელ დაუბრუნდება ამ პრობლემებს, გააქტიურებს ბრძოლას ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, თავის წვლილს შეიტანს ამ დადგენილების შესრულებაში.

---

5 „სკკპ XXIV ყრილობის მასალები", თბ., 1971, გვ. 84.

სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვისათვის მომზადება და მისი სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა

გ. გოლოშვილი

სამოქალაქო საქმეების დროული და სწორი გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული სასამართლო განხილვისათვის, მათს მომზადებაზე. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამართალწარმოების გაჭიანურების, უსწორო გადაწყვეტილების გამოტანის და ამის გამო მათი საკასაციო ან საზედამხედველო წესით გაუქმების მთავარი მიზეზია მოსამართლეების მიერ საქმის სასამართლო გარჩევისათვის კანონით განსაზღვრული მოსამზადებელი მოქმედებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმეების მომზადების ინსტიტუტი 1929 წლიდან დამკვიდრდა, ამასთან წინასწარი მოსამზადებელი მოქმედებების შესრულება ყველა საქმეზე კანონით სავალდებულო არ იყო. კერძოდ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის 1921 წლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლით „თუ საქმის წინასწარი მომზადება საჭირო არ არის, მოსამართლე დანიშნავს საქმეს განსახილველად სამსჯავრო სხდომაზე“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1935 წლის № 35-ე დადგენილებაში მიუთითა, რომ „სამოქალაქო საქმეების სასამართლო გარჩევისათვის მომზადება სავალდებულოა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმის გარემოებების სიამკარავისა და მტკიცებულებათა სისრულის გამო მოსამართლეს წინასწარი მომზადება ზედმეტად მიაჩნია“[1].

დროთა განმავლობაში პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საქმის მომზადების უგულებელყოფა რაოდენ მარტივიც უნდა იყოს იგი, იწვევს დავის გადაწყვეტის გაჭიანურებას, მოქალაქეების სასამართლოში უსაფუძვლოდ გამოძახებასა და პოცდენას, სამართალწარმოების გაძვირებას, ხშირად უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების დადგენას, რაც საზოგადოებას მნიშვნელოვან მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს, იწვევს სასამართლოს ავტორიტეტის შელახვას. ამიტომ, საქმეების სათანადო მომზადებას სასამართლო გარჩევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე საქმის თავის დროზე და სწორად გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით ამზადებს საქმეს სასამართლო გარჩევისათვის“. აქვე ჩამოთვლილია კონკრეტულად რა მოქმედებები უნდა შეასრულოს მოსამართლემ სასამართლო გარჩევისათვის საქმის

---

[1] «Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР», 1924 — 1951 гг., М., 1952, стр. 214—215.

მოსამზადებლად, რათა თავიდან აიცილოს საქმის განხილვის გადადება და გაჭიანურება, უზრუნველყოს დავის სწორად გადაწყვეტა პირველსავე სხდომაზე.

სამოქალაქო დავების სწრაფ და სწორ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების, მოქალაქეების პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი თუ ქონებრივი უფლებების დაცვისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კომუნისტური მართლშეგნების ჩამოყალიბებისა და მოქალაქეთა ზნეობრივი აღზრდისათვის, სამოქალაქო სამართალდარღვევების თავიდან აცილებისათვის. ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება საბჭოთა სამოქალაქო სამართალწარმოება. პროცესუალური ნორმებისა და ინსტიტუტების დაცვის მაქსიმალურად უზრუნველყოფაზე უშუალოდ არის დამოკიდებული სამოქალაქო პროცესის საბოლოო მიზნების რეალიზაცია.

სამოქალაქო საქმის დროული და სწორი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ პროცესუალური სამართალურთიერთობების დაცვით. სასამართველს უფლება არა აქვთ უგულებელყონ პროცესუალური სამართლის ნორმები და პრინციპები სამართალწარმოების ამ სტადიაზეც. მათი მკაცრი დაცვა და განუხრელი განხორციელება უზრუნველყოფს სასურველ შედეგს — საქმის განხილვის პროცესუალური ვადების დაცვას, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების დადგენას. სწორედ ეს არის მისი სოციალურ-სამართლებრივი ღირებულება.

განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სოციალურად სასარგებლო მიზნების მიღწევა შეიძლება არასამართლებრივი საშუალებებითაც. მაგრამ „ყველაზე ზოგადი სახით — აღნიშნავს პროფ. ალექსეევი — სამართლის, როგორც სოციალური ღირებულების, მნიშვნელობა ის არის, რომ იგი გამოხატავს, განამტკიცებს და უზრუნველყოფს სოციალისტურ საზოგადოებაში ურთიერთობათა ორგანიზებულობას“[2].

საქმეების სასამართლო გარჩევისათვის მომზადებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ იგი ნამდვილად უზრუნველყოფს საქმეთა დროულ და სწორ გადაწყვეტას და ამით ხელს უწყობს სასამართლოს აღმზრდელობითი ფუნქციის განხორციელებას, „განამტკიცებს და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ორგანიზებულობას“.

საქმეების განხილვისათვის სათანადოდ მომზადება, მათი დროული და სწორი გადაწყვეტა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სამოქალაქო სამართალწარმოების წინაშე დასახული ისეთი საბოლოო მიზნების მიღწევისათვის, როგორიც არის: საბჭოთა სახელმწიფოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების განმტკიცება, მეურნეობის სოციალისტური სისტემის, სოციალისტური საკუთრების, სსრ კავშირის მოქალაქეების, სოციალისტური ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სოციალისტურ კანონიერების განმტკიცება, სამართალდარღვევების თავიდან აცილება. მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა კანონების განუხრელი შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი).

---

[2] **С. С. Алексеев.** Социальная ценность права в советском обществе, М., 1971, стр. 49.

ისე, როგორც ყველა სტადიას პროცესში, საქმეების სასამართლო გარჩევისათვის მომზადებასაც აქვს თავისი უშუალო მიზანი. ეს არის საქმის დროული და სწორი გადაწყვეტა. მისი განხორციელება კი შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტით.

მოსამართლე საქმის მომზადების პროცესში არკვევს მხარეთა იურიდიულ ურთიერთობასა და განსაზღვრავს მტკიცების საგანს. იგი უპირველეს ყოვლისა ეცნობა საქმის მასალებს და შეისწავლის მათ, რაც საშუალებას აძლევს დაადგინოს მხარეთა შორის იურიდიული ურთიერთობის ხასიათი, მოძებნოს სამართლის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ამ ურთიერთობას.

ნებისმიერი საქმის თავის დროზე და მართებულად გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ წინასწარი მომზადების სტადიაზე ზუსტად არ განისაზღვრა მტკიცების საგანი. სწორი გადაწყვეტილების დადგენისათვის სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ყველა იურიდიული ფაქტი, რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმები უკავშირებენ განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. დასამტკიცებელი ფაქტების განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სარჩელის საგანი და სამართლის ნორმა[3].

თითოეულ საქმეზე მტკიცების საგნის, ე. ი. საკვლევი ფაქტების დადგენა პირდაპირ არის დაკავშირებული მის დროულ და სწორ გადაწყვეტასთან, რადგან „მხარეთა ნამდვილი ურთიერთობის დადგენა შეუძლებელია თუკი მტკიცების საგანში ჩართულია ისეთი ფაქტები, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვთ საქმის სწორი გადაწყვეტისათვის ან თუ არასრულად არის განსაზღვრული მტკიცების საგნის შემადგენლობა. ე. ი. თუ მტკიცების საგანში ჩართული არ არის ყველა ფაქტი, რომელთა დადგენაც აუცილებელია საქმის სწორი გადაწყვეტისათვის“.[4] ამრიგად, საქმის მომზადების სტადიაზე მოსამართლემ უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანი, მხარეთა იურიდიული ურთიერთობა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: ლ. მათეშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გ. ქურდაშვილთან ბინაში შესახლება. იმის გამო, რომ სასამართლომ არ გამოარკვია სარჩელის იურიდიული ბუნება და არ განსაზღვრა სრულად მტკიცების საგანი, საქმე მცდარად გადაწყვიტეს, რისთვისაც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა გადაწყვეტილება და თავის დადგენილებაში პირდაპირ მიუთითა, რომ „სასამართლომ საქმე განიხილა ზერელედ, არ გამოარკვია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლებამოვალეობა“[5].

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც მოსამართლე საქმის მომზადების სტადიაზე წყვეტს არის დავის სწორი გადაწყვეტისათვის აუცილებელი მტკიცებულებების განსაზღვრა, მათი შეგროვება, გამოკვლევა და შეფასება. მტკიცებულებათა წრის განსაზღვრის შესაძლებლობა, რაც აუცილებელია საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, მოსამართლეს ეძლევა მტკიცების საგნის განსაზღვრის შემდეგ.

---

[3] **Т. А. Лилуашвили.** Предмет и бремя доказывания в советском гражданском процессе, Тбилиси, 1957, стр. 12.

[4] იხ. თ. ა. ლილუაშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

[5] იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1971, გვ. 16.

მტკიცებულებათა სრულად შეგროვება საქმის დროულად და მართებულად გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა, ასე მაგალითად: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ა. თედიაშვილის საქმეზე აღნიშნულია, რომ სასამართლოს დასკვნა მოპასუხეს ოჯახის საკოლმეურნეო კომლად ცნობის შესახებ დამყარებულია მხოლოდ სასოფლო საბჭოს მიერ გაცემულ ცნობაზე, რაც არ არის სწორი. ოჯახი არ შეიძლება ჩაითვალოს საკოლმეურნეო კომლად მარტოოდენ სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ამ ფაქტის დადგენისათვის სასამართლოს უნდა შეეკრიბა სხვა დამატებითი მტკიცებულებები, რაც არ გააკეთა და საქმეც სწორად არ იქნა გადაწყვეტილი. უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გადაწყვეტილება გააუქმა[6].

მოსამართლეს საქმის მომზადების დროს ხშირად ხვდება ურთიერთსაწინააღმდეგო მასალები, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთს, შეიცავენ სხვადასხვა ცნობებს ერთი და იმავე ფაქტის შესახებ, ამიტომ თუ იგი ღრმად არ ჩასწვდა მტკიცებულებათა არსს, თუ გულდასმით არ გამოიკვლია და შეაფასა ისინი, საბოლოოდ ვერ მოამზადებს საქმეს განსახილველად.

მტკიცებულებათა შესახებობისა და დასაშვებობის წესების დაცვით მოსამართლე უზრუნველყოფს მასალის სისრულეს. ამ დროს ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება რადგან „არ შეიძლება მოვთხოვოთ მოსამართლეს გარჩევისათვის საქმის არსებითად მომზადება, — აღნიშნავს ვ. პუჩინსკი, — თუ მას ამავე დროს ავუკრძალავთ მოახდინოს მტკიცებულებათა როგორიც უნდა იყოს შეფასება“[7]. მტკიცებულებათა შეფასება ამ სტადიაზე არსებითად განსხვავდება მათი შეფასებისაგან პროცესის დასკვნითი გადაწყვეტილების დადგენის სტადიისაგან, რომლის დროსაც შეფასება ხდება მათი უტყუარობის, ძალისა და წყაროს ვარგისიანობის მიხედვით, ხოლო საქმის მომზადების სტადიაზე მათ გამოიკვლევენ და შეაფასებენ მათი მნიშვნელობის, სისრულის, საქმისადმი მათი შესახებობისა და საქმეზე მათი დასაშვებობის მიხედვით. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ საქმის მომზადების სტადიაზე ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება.

სამოქალაქო-სამართლებრივი დავის დროული და სწორი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია პროცესის სუბიექტის ზუსტი განსაზღვრა. საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადებისას მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს საკითხი საქმეში თანამონაწილეებისა და მესამე პირების ჩაბმის ან დაშვების შესახებ, პროკურორის, მმართველობის ორგანოების, მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობისა და მოწვევების გამოწვევის შესახებ. პროცესში მონაწილე პირთა განსაზღვრისათვის იყენებენ როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური სამართლის ნორმებს. მატერიალური სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ პირთა წრის მიხედვით მოსამართლე დაადგენს კონკრეტულ პირებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ განსაზღვრული უფლებები და ეკისრებათ მოვალეობები. მთელ რიგ შემთხვევე-

---

[6] იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1973, № 1, გვ. 22.

[7] **В. К. Пучинский.** Подготовка гражданских дел к судебному разбирательству, 1969, стр. 17.

ბში პროცესუალური სამართლის ნორმები თვითონ განსაზღვრავენ ამა თუ იმ პირთა (პროკურორის, წარმომადგენლის და სხვათა) მონაწილეობის საკითხებულობას. ამ ნორმების მოთხოვნათა დარღვევა იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას (საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლი) საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: ვ. ბაგალაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ზ. ბოლქვაძის ბინიდან გამოსახლების შესახებ. საქმის აღძვრის დროისათვის ზ. ბოლქვაძე იყო 15 წლის, სასამართლომ კი ისე დააკმაყოფილა სარჩელი, რომ საქმეში არ ჩაბა მოპასუხეს მამა, რითაც დაარღვია კანონის მოთხოვნა, რომ 15-დან 18-წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები, ამასთან სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩაბას თვით არასრულწლოვანიც (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი) ამ დარღვევის გამო გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა[8].

საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადება განხორციელებული მოქმედებების შინაარსის თვალსაზრისით ფრიად მრავალფეროვანია, მოიცავს ყველა პროცესუალურ მოქმედებას სასარჩელო განცხადების მიღების მომენტიდან მისი გარჩევის დანიშვნამდე.

სამოქალაქო-პროცესუალური სამართლის მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქმის მომზადება შეიძლება, როგორც მისი ოფიციალურად დანიშვნამდე, ისე მისი დამთავრების შემდეგაც, ე. ი. მას შემდეგ, რაც საქმე დაინიშნება, აგრეთვე სასამართლო სხდომებსა და შესვენებებზეც[9]. უფრო მეტიც, პრაქტიკაში ვხვდებით ფაქტებს, როდესაც მოსამართლე ფაქტობრივად ეცნობა რა სასარჩელო განცხადებას, მოსამზადებელ მოქმედებებს ისე ახორციელებს, რომ ფორმალურად არ იღებს მას წარმოებაში, სანამ არ მოამზადებს სასამართლო გარჩევისათვის. მისი მიზანია საქმის წარმოების ვადების ხელოვნურად შემცირება, რაც სრულიად შეუწყნარებელია, რადგან, ჯერ ერთი, იგი არღვევს პროცესუალურ რიგითობას, მეორეც, მოსამართლე აღარ არის შეზღუდული პროცესუალური ვადებით. ეს კი იწვევს საქმის გაჭიანურებას და სხვა უარყოფით შედეგებს.

საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლში ნათქვამია, რომ მოსამართლე საქმის მომზადებას იწყებს განცხადების მიღების შემდეგ. მაგრამ თითოეული პროცესუალური მოქმედება მოითხოვს შესაბამის გაფორმებას. საქმის მომზადება სასამართლო გარჩევისათვის ფორმდება მოსამართლის ერთპიროვნული განჩინებით და მთავრდება მას შემდეგ, რაც „მოსამართლე, ცნობს რა საქმეს საკმაოდ მომზადებულად, გამოიტანს განჩინებას სასამართლო სხდომაზე მისი გარჩევის დანიშვნის შესახებ“ (საპროცესო კოდექსის 150-ე მუხლი). ყოველი შემდგომი მოქმედება კი არ შეიძლება ჩაითვალოს საქმის მომზადებად, რადგანაც იგი უკვე გადადის პროცესის სხვა, მომდევნო სტადიაში, ხოლო სტადიის საზღვრები კანონით ზუსტად არის დადგენილი.

მოსამზადებელი სტადიის მიზნის განხორციელებისათვის გადამწყვეტია იმ

---

[8] იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1972, № 1, გვ. 14.

[9] «Советский гражданский процесс» под. ред. А. Добровольского и А. Клеинмана, МГУ, 1970, стр. 170—171.

ნორმების ეფექტიანობა, რომლებიც აწესრიგებენ სასამართლოს საქმიანობას სამართალწარმოების ამ ეტაპზე.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ამჟამად მოქმედი საპროცესო კოდექსის მიღებიდან თხუთმეტ წელზე მეტი გავიდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დონე, რაც სამართლებრივ ურთიერთობებში აისახა. კერძოდ, გაფართოვდა სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების სფერო, ამაღლდა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების როლი და მნიშვნელობა, რამაც განაპირობა მათი კიდევ უფრო ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ამჟამად 149-ე მუხლის დისპოზიცია ვერ აკმაყოფილებს იმ გადიდებულ მოთხოვნებს, რომლებიც მას წაყენებული აქვს ხარისხისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით. სამოქალაქო-პროცესუალურმა მეცნიერებამ პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, სოციალური განვითარების თანამედროვე დონის გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებიც აამაღლებენ პროცესის ამ სტადიის ეფექტიანობას.

სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლში მითითებულია, რომ „განჩინება სასამართლო გარჩევისათვის საქმის მომზადების შესახებ გამოაქვს მოსამართლეს ერთპიროვნულად, საქმეში მონაწილე პირთა შეუტყობინებლად". ასეთ შინაარსის დისპოზიცია შეიძლება სწორად არ იქნეს გაგებული, კერძოდ, როგორც საჯაროობის პრინციპის დაუშვებლობა პროცესის ამ სტადიაზე, რომელიც როგორც ჩანს, განსაზღვრავს საქმის მომზადებისადმი წმინდა ფორმალურ დამოკიდებულებას სასამართველებში. ამიტომ სწორად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ განჩინება საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადების შესახებ უნდა გავაცნოთ მხარეებს, მათ წარმომადგენლებსა და მესამე პირებს. ამასთან ეს პირდაპირ მითითებული უნდა იყოს კანონში[10].

ამავე მუხლის მე-4 პუნქტში ნათქვამია: მოსამართლე განუმარტავს მხარეებს, რომ დავის გადასაწყვეტად მათ უფლება აქვთ მიმართონ სამედიატორო სასამართლოს ან ამხანაგურ სასამართლოს და აცნობს ამ მოქმედების შედეგებს. საქმეთა წარმოებას ამხანაგურ სასამართლოსა და სამედიატორო სასამართლოში გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს როგორც მხარეებისათვის, რომელთა შორის არის დავა სარჩელის მნიშვნელოვანი ფასით, ისე სასამართლოებისათვის, რომლებსაც ამით საშუალება ეძლევათ შეამცირონ განსახილველ საქმეთა რაოდენობა. მაგრამ პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება შემთხვევები, როდესაც მოსამართლის მიერ საქმის მომზადების სტადიაზე ამ უფლების განმარტების შემდეგ მხარე მიმართავს სამედიატორო სასამართლოს, ეს კი იმით არის განპირობებული, რომ ჯერ ერთი, მოქალაქეებისათვის უცნობია სამედიატორო წარმოება, მეორეც, ასეთი განმარტება საქმის მომზადების სტადიაზე არსებითად დაგვიანებულია. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს პრაქტიკაც — ასეთი განმარტებები სასამართლო პრაქტიკაში კეთდება სასარჩელო განცხადების მიღების დროს და არა საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადებისას. მიზანშეწონი-

---

[10] **Б. Н. Лапин.** Теоретические и практические проблемы повышения эффективности подготовки гражданских дел к судебному разбирательству — Актуальные проблемы теории и практики гражданского процесса, Л., 1979, стр. 149.

ლად მიგვაჩნია ამ შემთხვევაში დამკვიდრებული პრაქტიკა განმტკიცდეს საკანონმდებლო წესით, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უფრო ეფექტიან დაცვას.

საქმის თავის დროზე გადაწყვეტის მიზანს სხვა ღონისძიებებთან ერთად ემსახურება პროცესუალური ვადები. ასეთი ვადები დადგენილია სასამართლოსა და პროცესის სხვა სუბიექტების მიერ სხვადასხვა მოქმედებების განხორციელებისათვის (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე; 212-ე, 213-ე; 242-ე; 246-ე; და სხვა მუხლები). კანონი არ განსაზღვრავს დროს, რომლის განმავლობაშიც უნდა ხორციელდებოდეს საქმის მომზადება სასამართლო გარჩევისათვის[11]. ასეთი ვადის დადგენა კი უფრო ქმედითსა და ოპერატიულს გახდიდა მოსამართლის საქმიანობას პროცესის ამ სტადიაზე.

საქმის მომზადებისათვის პროცესუალური ვადის განსაზღვრის საჭიროება გამომდინარეობს პროცესუალური ფორმის დაცვის მოთხოვნიდანაც, რადგანაც პროცესუალური ფორმა ითვალისწინებს ვადებსა და პროცესის თითოეული მონაწილის მიერ განხორციელებული მოქმედებების თანამიმდევრობას. ამასთან პროცესუალური ფორმის დაცვა, რაც აუცილებელია სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანების განხორციელებისათვის, გულისხმობს ყველა მოქმედების სათანადო გაფორმებას. ამიტომ განჩინებაში საქმის გარჩევისათვის მომზადების შესახებ ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის კონკრეტული მოქმედება, რომელსაც განახორციელებს მოსამართლე პროცესის ამ სტადიაზე. მასში აუცილებლად უნდა იყოს მითითება მოსამზადებელი საქმიანობის დამთავრების ვადის შესახებ, რაც უზრუნველყოფს, ჯერ ერთი, საქმის მომზადებას მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების შესაბამისად და, მეორეც, ზემდგომ სასამართლოებს საშუალებას მისცემს შეამოწმონ პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეების მომზადების ორგანიზაცია.

უკანასკნელ წლებში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებებში არაერთხელ არის მითითებული საქმის არადამაკმაყოფილებელი მომზადებით გამოწვეული სამოქალაქო დავების გაჭიანურებისა და მცდარი გადაწყვეტილების გამოტანის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობაზე[12]. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადების შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევას, ამ საკითხთან დაკავშირებით უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებების უგულებელყოფას, რაც იწვევს უარყოფითს შედეგებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: დ. მ. განცხადებით მიმართა სახალხო სასამართლოს განქორწინებისა და ქონების გაყოფის შესახებ. სახალხო მოსამართლემ უწყებით გამოიძახა იგი სასაუბროდ. იმავე დღეს, მიუხედავად მოსარჩლეს შუამდგომლობისა, პროცესის „დაჩქარების“ მიზნით საქმე განხილულ იქნა არსებითად. ამით უხეშად დაირღვა საპროცესო კანონის მოთხოვნა სასამართლო გარჩევისათვის საქმის მომზადე-

[11] სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით უკრაინის სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლში დადგენილია ცალ-ცალკე ვადები, როგორც საქმის გარჩევისათვის მოსამზადებლად, ისე მისი განხილვისათვის.

[12] см. «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР», М., 1970, стр. стр. 31, 90, 124, 131 и т. д.

ბის შესახებ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლი), რასაც მოჰყვა საქმის გაჭიანურებით განხილვა. დ-ს საკასაციო საჩივრის საფუძველზე გადაწყვეტილება გაუქმდა[13].

ზოგჯერ საქმის სასამართლო გარჩევისათვის სათანადოდ მოუმზადებლობა იწვევს დავის განხილვისა და გადაწყვეტის გაჭიანურებას წლების განმავლობაში. ეს სამართლიანად იყო აღნიშნული საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახალხო სასამართლო და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ექვს წელიწადს უგზავნიდნენ ერთმანეთს ერთ მარტივ სამოქალაქო საქმეს. მისი გარჩევა 65-ჯერ გადაიდო“[14].

ყოველივე ზემოთ თქმული მიუთითებს, რომ აუცილებელია საქართველოს სსრ სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების სასამართლო გარჩევისათვის მომზადების მდგომარეობის შესწავლა და ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმძღვანელო დადგენილების მიღება, რაც ხელს შეუწყობს საქმეების სასამართლო გარჩევისათვის წინასწარი მომზადების ეფექტიანობის ამაღლებას[15].

---

13 იხ. „საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“. 1977, № 3, გვ. 16.

14 იხ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას“, თბილისი, 1976, გვ. 145.

15 აღსანიშნავია, რომ ასეთი დადგენილებები უკვე მიღებულია რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგ. რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1969 წლის 19 მარტს მიიღო „დადგენილება სასამართლო გარჩევისათვის სამოქალაქო საქმეების მომზადების შესახებ“.

აგრარულ-სამრეწველო საკავშირო გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა

ე. ჩარგაზია

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანები ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს მატერიალური წარმოების ყველა დარგს, რომელთა ინტენსიური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, სიახლეთა გამოყენებას, რაც გააუმჯობესებს ეკონომიკურ მაჩვენებლებს, უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის თითოეულ რგოლში მუშაობის მაღალ ხარისხს, ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ზრდას[1].

სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების გაძღოლის ახალი ფორმაა გაერთიანებებზე გადასვლა.

ლ. ი. ბრეჟნევმა ჯერ კიდევ სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნა: „გაერთიანებებისა და კომბინატების შექმნის კურსს უფრო გაბედულად უნდა ვახორციელებდეთ — პერსპექტივაში ისინი უნდა გახდნენ საზოგადოებივი წარმოების სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე ძირითადი რგოლები“. მაგრამ, როგორც ჩანს, სახალხო მეურნეობის მხოლოდ ერთი დარგის შიგნით განხორციელებულმა საწარმოთა გაერთიანებამ ვერ უზრუნველყო გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამიტომ სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა: „დგება დრო, რომ გავაუმჯობესოთ, თანაც სერიოზულად, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ეკონომიკური თანამშრომლობა მრეწველობის იმ დარგებთან, რომლებიც უშუალოდ არიან მასთან დაკავშირებული, უზრუნველვყოთ ერთიანი საერთო სახელმწიფოებრივი მიდგომა მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებისადმი“[2].

ყრილობაზე დასმული საკითხი განმტკიცებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 2 ივნისის დადგენილებით „საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ახალ მატერიალურ ბაზას ემყარება, საწარმოთა არასაკმაო კოცენტრაცია ამუხრუჭებს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას. შემდგომი განვითარება უნდა მოხდეს პრინციპულად ახალი გზით, საწარმოების სულ უფრო ღრმა სპეციალიზაციით, მისი ღადებითი მხარეები კი ჩანს იმ გაერთიანებების საქმიანობით, რომლებიც შექმნილია მოლდავეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, კრასნოდარის მხარეში და ა. შ.[3]

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე, მისი გადაყვანა ინდუსტრიულ საფუძველზე არის ის მაგისტრალური მიმართულება, რომლითაც საფუძველი ჩაეყრება ახალ ეტაპს ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელებაში, ვინაიდან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შერწყმით შეიქმნება ფართო ქსელი აგრარულ-სამრეწველო საწარმოებისა, რომელთაც დიდი მომავალი აქვთ.

სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ მიმართულებაზე გადასვლა უზრუნველყოფს სახელმწიფო და საკოლმეურნეო კოოპერატიული საკუთრების გარდაქმნას საერთო-სახალხო საკუთრებად, რაც დააჩქარებს კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლას, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების მოსპობას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, აამაღლებს საზოგადოებრივი წარმოებისადმი ხელმძღვანელობის ეფექტიანობას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომ განვითარებას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმი, რომელმაც განიხილა ამ

---

1 „სკკპ XXIV ყრილობის მასალები“, თბ., 1971, გვ. 87.

2 „სკკპ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 72.

3 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 2 ივნისი.

პრობლემის კარდინალური საკითხები. პლენუმზე აღინიშნა, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები საქართველოს სსრ აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო რესპუბლიკური გაერთიანების საქმიანობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის, უფრო ზუსტად განისაზღვროს მისი ფუნქციები, ამაღლდეს მობილურობა, ხელმძღვანელობის ოპერატიულობა, განმტკიცდეს სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღიჭურვოს ყველა მისი დანაყოფი საჭირო მოწყობილობებითა და სატრანსპორტო საშუალებებით[4].

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანებისა და მიზნების განხორციელებას ემსახურება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, რომელიც შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 14 იანვრის ერთობლივი დადგენილებით.

აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება მოქმედებს თავისი წესდების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ამ გაერთიანების მიზანს და კომპეტენციას. გაერთიანებამ უნდა უზრუნველყოს სამეურნეო ხელმძღვანელობის, ხილის და ბოსტნეულის დამზადების, შენახვის, სამრეწველო გადამუშავების და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესება პრინციპით: „მინდორი-მაღაზია“.

აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება სახალხო მეურნეობის სამი დარგის მჭიდრო თანამშრომლობის ახალი და პერსპექტიული ფორმაა: ეს დარგებია: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა, ამ გაერთიანების შექმნაში სიახლე ის არის, რომ იგი წარმოადგენს რამდენიმე სხვადასხვა დარგობრივი საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ერთიანობას, რაც საშუალებას იძლევა რაციონალურად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური და შრომის რესურსები, რაც აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.

ამ გაერთიანების შექმნა, ისევე როგორც სხვა ამ ტიპის გაერთიანებებისა, ამართლებს ფ. ენგელსის აზრს იმის შესახებ, რომ ერთი და იგივე ხალხი შეასრულებს მიწათმოქმედებისა და მრეწველობის სამუშაოებს, ნაცვლად იმისა, რომ იგი შეასრულოს ორმა, სხვადასხვა კლასმა[5].

გაერთიანება სამრგოლიანი სისტემაა, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 1973 წლის 13 აპრილის დადგენილებით მმართველობის ორ და სამ რგოლიან სისტემებზე გადასვლის შესახებ[6]. ეს რგოლებია: სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო — საქართველოს სსრ ანალოგიური სამინისტრო და აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება. ეს შესაძლებლობას იძლევა გაერთიანებისა და მისი ერთეულებისადმი ხელმძღვანელობა უფრო ოპერატიულად და მოქნილად განხორციელდეს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დადგენილებით უპირატესობა სწორედ ორ და სამრგოლიან სისტემებს ენიჭება. ოთხრგოლიანი სისტემის შექმნისათვის აუცილებელია სპეციალური ნებართვა და დაიშვება გამონაკლისის სახით.

გაერთიანება შედგება შემდეგი ერთეულებისაგან: საბჭოთა მეურნეობები, საწარმოო სახელოსნო, სპეციალური ტექნიკური რაიონული მეურნეობა, საკონსერვო ქარხნები, ავტოსატრანსპორტო საწარმო, ფირმა „საქსათბური“, „ხილბოსტნეულის“ ვაჭრობის თბილისის საქალაქო, აგრეთვე რაიონული განყოფილებები, თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზიები, საფირმო მაღაზიები.

როგორც ყველა გაერთიანების, ასევე აღნიშნული გაერთიანებისათვის დამახასიათებელია მისი არსებობა შუალედური ხელმძღვანელი რგოლის სახით. აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის დაქვემდებარებული ერთეულია, ხოლო თავის მხრივ მასში შემავალი ერთეულების მიმართ ხელმძღვანელ და მაორგანიზებელ როლს ასრულებს. სწორედ ეს არის გაერთიანების შუალედურობა ხელმძღვანელობის განხორციელებაში.

ცნობილია, რომ დებულებით სამრეწველო გაერთიანების შესახებ გაერთიანების ხელმძღვანელობა ხორციელდება დამოუკიდებელი სახელმძღვანელო ორგანოს — სამმართველოს მეშვე-

---

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1978 წლის 29 თებერვალი.

[5] **Маркс К. и Энгельс Ф.** Соч., т. 4, стр. 336.

[6] «Экономическая газета», 1973, № 10, стр. 8; СП СССР, 1973, № 7, стр. 31.

ობით[7], ხოლო საწარმოო გაერთიანების დებულებით გაერთიანების ხელმძღვანელია მეთაური საწარმო[8].

აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებასაც აქვს თავისი მხრივ, ხელმძღვანელობის დამოუკიდებელი აპარატი — სამმართველოს სახით. ჩვენ ეს უფრო მართებულად მიგვაჩნია. საწარმოო გაერთიანების დებულებით ერთი ორგანოს—საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმო—ის, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფუნქციას ასრულებს: 1. ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ ერთეულებს და 2. ეწევა საწარმოო საქმიანობას. საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმო არის საწარმოო გაერთიანების შემადგენელი ნაწილი, ერთ-ერთი უკრედი გაერთიანებისა, ისეთივე როგორიც მისდამი დაქვემდებარებული სხვა ერთეული ,რომელსაც თავისი მიზნები და ამოცანები ამოძრავებს. ამასთანავე, საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმო წარმოგვიდგება ერთდროულად გაერთიანების მთელი კომპლექსის ხელმძღვანელადაც, რაც ჩვენი აზრით გაუმართლებელია.

ჩვენს მოსაზრებას გაერთიანების ხელმძღვანელობის დამოუკიდებელი აპარატის აუცილებლობის შესახებ პრაქტიკულად ადასტურებს დაღესტნის და კავკასიის სხვა რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანების საქმიანობის შედეგები[9].

ყოველივე ამის გამო ვერ გავიზიარებთ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამრეწველო გაერთიანებისათვის ხელმძღვანელობის დამოუკიდებელი აპარატის ცალკე არსებობა. ხელმძღვანელობის მკაცრი რეგლამენტაცია მიზანშეუწონელია[10].

აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის ძირითადი პრინციპია ერთპიროვნულობა და კოლეგიურობა. ხელმძღვანელობის ერთპიროვნულობის მეთოდს გაერთიანების საქმიანობაში ახორციელებს გაერთიანების თავმჯდომარე, რომელიც საკითხებს წყვეტს ერთპიროვნულად გამოცემული ბრძანებების მეშვეობით. მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ გაერთიანების წესდებით. გაერთიანების დირექტორის კომპეტენცია მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

ხელმძღვანელობის კოლეგიურობას გამოხატავს გაერთიანების დირექტორთა საბჭო, რომელიც შექმნილია გაერთიანებისა და მისი ერთეულების საჭირბოროტო სამეურნეო საკითხების გადასაწყვეტად. დირექტორთა საბჭო იწვევა თვეში ერთხელ და წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, მის დადგენილებებსა და მითითებებს, რეკომენდაციის ხასიათი აქვს და ხორციელდება გაერთიანების თავმჯდომარის ბრძანებებით, დირექტორთა საბჭოს და გაერთიანების თავმჯდომარეს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში სადავო საკითხი განიხილება გაერთიანების დირექტორის მოსაზრების შესაბამისად, საბოლოოდ გადასაწყვეტად კი ეცნობება ზემდგომ ორგანოს განსახილველად.

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას დირექტორთა საბჭოს უფლება-მოვალეობების შემდგომი გაფართოების შესახებ, ვინაიდან ეს გამოიწვევდა მისი გადაწყვეტილებების იურიდიულ მნიშვნელობის გაზრდასაც, რაც უნდა მოხდეს ამ საბჭოს დადგენილებებისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭებით. სავალდებულო ხასიათი აქვს დირექტორთა საბჭოს დადგენილებებს სახელმწიფო და საკოლმეურნეო აგროსამრეწველო გაერთიანებებში, რაც ამ გაერთიანებების საქმიანობიდან ირკვევა.[11]. ამასთან, გაერთიანების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია დირექტორთა საბჭოს შესახებ ერთიანი დებულების შემუშავება, რაც ჯერჯერობით არ არსებობს. დირექტორთა საბჭოს დებულება საბოლოოდ განსაზღვრავდა და დააკონკრეტებდა მის კომპეტენციას.

კარლ მარქსი აღნიშნავდა, რომ არავითარ წარმოებაზე, არავითარ საზოგადოებაზე არ შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც არ არსებობს საკუთრება რაიმე ფორმით[12]. საკუთრება ოპერატიული

---

[7] **В. В. Лаптев.** Правовое положение промышленных объединений, М., 1975, стр. 27; СП СССР, 1973, № 7, стр. 32.

[8] В. В. Лаптев. Правовое положение производственных объединений, М., 1975, стр. 19; СП СССР, 1974, № 8, стр. 38.

[9] «Объединения в промышленности», 1978, стр. 86.

[10] **В. В. Лаптев.** Правовое положение промышленных объединений, М., 1975, стр. 30.

[11] «Объединения в промышленности», 1978, стр. 87; **Л. Каткус.** Регламентация правового положения совета объединения, 1978, № 6, стр. 27.

[12] **Маркс К., Энгельс Ф.** Соч., т. 12, стр. 714.

მართვის უფლებით გადაცემული აქვს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებას, რომლის ქონებაც დიფერენცირებულია გაერთიანების ერთეულებზე მიმაგრებული და გაერთიანებისათვის მიმაგრებული ქონების სახით. გაერთიანების ქონება ასახულია გაერთიანების ბალანსში. ერთეულებისა კი ერთეულების დამოუკიდებელ ბალანსში. მთელი ქონება გაერთიანების სამეურნეო კომპლექსისა თავს იყრის კრებსითს ბალანსში.

გაერთიანების წესდების ზოგიერთი რეკვიზიტი უნდა შესწორდეს. წესდება ხმარობს ტერმინს „გაერთიანების ბალანსს". ამასთან აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების წესდებიდან არ ჩანს, მთლიანად გაერთიანებისა არის ბალანსი თუ გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოს — სამმართველოს — ეკუთვნის. ზუსტად ფორმულირების და სრულყოფის მიზნით აჯობებდა მთელი კომპლექსის ბალანსს ეწოდოს „კომპლექსის ბალანსი" ან „გაერთიანების კრებსითი ბალანსი", ხელმძღვანელ აპარატის ბალანსს კი „სამმართველოს ბალანსი". წესდებით ასეთივე გაუგებრობაა ქონების დასახელებაში. აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო სამმართველოს და მთელი კომპლექსის ქონება აღინიშნება ერთი და იგივე ტერმინით — „გაერთიანების ქონება". ამ შემთხვევაშიც უფრო სწორად მიგვაჩნია კომპლექსის ქონებას ეწოდოს „გაერთიანების კომპლექსის ქონება", გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს ქონებას კი „სამმართველოს ქონება".

გაერთიანების ქონება იყოფა შემდეგ ფონდებად: განვითარების ცენტრალიზებული ფონდი, სოციალისტური ღონისძიებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი, მატერიალური წახალისების ცენტრალური ფონდი, ამორტიზაციის ანარიცხები.

მითითებული ფონდების გარდა წესდება ითვალისწინებს ყველა იმ სხვა ფონდების შექმნას, რომლებიც მეურნეობისათვის არის გათვალისწინებული, მაგრამ ამისათვის საჭიროა ზემდგომი ორგანოს თანხმობა. ზემდგომი ორგანოს თანხმობით შეიძლება შეიქმნას დამატებითი ფონდები: ახალი ტექნიკის ათვისების, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების, სამეცნიერო გამოკვლევების, ცალკეული ერთეულებისათვის ფინანსური დახმარების, რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების დანერგვის ხელშემწყობი და სხვა ფონდები.

სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ასეთია: გაერთიანების სამმართველო პასუხს თავისი ქონების ფარგლებში აგებს, ერთეულები კი თავიანთი დამოუკიდებელი ქონებით. ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია გაერთიანების სამმართველოს პასუხისმგებლობის ზუსტი რეგლამენტაცია იმ შემთხვევებში, როცა სამმართველო გვევლინება მასში შემავალი ერთეულების მაგივრად სამეურნეო საქმიანობის განმხორციელებლად.

აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებას აქვს უფლება-მოვალეობები, რომლებიც ჯგუფდება შემდეგ სახეებად:

1. უფლება-მოვალეობები დაგეგმვის დარგში;
2. უფლება-მოვალეობები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების დარგში;
3. უფლება-მოვალეობები ფინანსების, კრედიტების და ანგარიშსწორების დარგში;
4. უფლება-მოვალეობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში;
5. უფლება-მოვალეობები კადრების, შრომის და ხელფასის დარგში;
6. უფლება-მოვალეობები მშენებლობის დარგში.

გაერთიანებაში არსებობს უფლება-მოვალეობების გადაცემის შესაძლებლობა სისტემაში შემავალ რგოლებს შორის.

კონტროლისა და შემოწმების, რეორგანიზაციისა (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა) და ლიკვიდაციის საკითხები რაიმე ახალს არ შეიცავს, ისინი ხორციელდება არსებული საერთო წესის შესაბამისად. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ გაერთიანების წესები სრულყოფას მოითხოვს, ვინაიდან მისი მნიშვნელობა რესპუბლიკისათვის მომავალში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, მით უმეტეს, რომ მან უკვე განვლო ექსპერიმენტების წლები, დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

აქვე გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის სრულყოფის მიზნით:

1. ამჟამად, გაერთიანების ყველა ერთეული სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, რაც არ არის გამოწვეული აუცილებლობით. იურიდიული პირი სამოქალაქო სამართალურთიერთობის სუბიექტია. ასეთი სუბიექტობა კი ყველა ერთეულისათვის სავალდებულოდ არ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, უფრო სწორია ამ გაერთიანების სისტემის ზოგიერთი ერთეულისათვის იურიდიული პირის უფლების ჩამორთმევა გაერთიანების ორგანიზაციის გამარტივების მიზნით. ასევე შესაძლე-

ბელია გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი მეურნეობის და ქარხნების შეერთების გზით მეურნეობა-ქარხნების ჩამოყალიბება ერთი დაწესებულების სახით.

2. აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება თავის საქმიანობაში ითვალისწინებს როგორც დეცენტრალიზებულ, ისე ცენტრალიზებულ სამეურნეო კავშირურთიერთობას, მაგრამ არ ჩანს, როდის და რა შემთხვევაში. ჩვენი აზრით, გაერთიანების წესდებაში ზუსტად უნდა განისაზღვროს როდის, რომელ ორგანიზაციებს შორის და რა საქმიანობასთან დაკავშირებით იქნეს გამოყენებული ცენტრალიზებული და როდის — დეცენტრალიზებული სამეურნეო კავშირურთიერთობა. ამასთან უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირდაპირ სამეურნეო კავშირურთიერთობას ზედმეტი რაიმე შუალედური რგოლის გამორიცხვის მეშვეობით, რაც უფრო ოპერატიულს გახდის ამ გაერთიანების საქმიანობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე ე. შევარდნაძემ აღნიშნა: „წინათაც იყო ცდები, რომ გაგვეუმჯობესებინა რესპუბლიკის დედაქალაქისა და სხვა მრავალი სამრეწველო ცენტრების მომარაგება ახალი ბოსტნეულით და კარტოფილით, მაგრამ ყველა ეს ცდა ამაო იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალ ფორმას მივაგენით და შეიკრა წრე: „წარმოება-დამზადება-რეალიზაცია", ეს პრობლემა ძირითადად გადაიჭრა. აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებაში სპეციალიზირებული საბჭოთა მეურნეობების სავაჭრო ქსელის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ნაწილობრივ გადამუშავების თავმოყრის შედეგად მთელ რესპუბლიკაში განხორციელდა გადასვლა „მინდორ-მაღაზიის" პირდაპირი კავშირისა და ხილბოსტნეულით უშუალოდ წარმოების ადგილზე მიღებით"[13].

გაერთიანების შექმნის შემდეგ მოსახლეობის ხილბოსტნეულითა და კარტოფილით მომარაგების პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა შემდეგი მონაცემებით დასტურდება: გაერთიანების საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა წარმოება: ბოსტნეულისა — 38 პროცენტით, საადრეო კარტოფილისა — თითქმის სამჯერ, ხილისა — 42 პროცენტით, რეალიზებული კარტოფილისა და ხილბოსტნეულის მოცულობამ მარტო თბილისსა და რუსთავში შეადგინა 101,3 ათასი ტონა, ანუ 56 პროცენტით მეტი[14].

აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების ეკონომიკური პოტენციალისა და მნიშვნელობის ზრდა მოითხოვს მისი სამართლებრივი სტატუსის სრულყოფა-დამუშავებას. ამასთანავე მიგვაჩნია, რომ ამ ტიპის გაერთიანებების შექმნა სსრ კავშირის ტერიტორიაზე დიდად შეუწყობდა ხელს საბჭოთა ხალხის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უკეთესად და სწრაფად მომარაგების საქმეს.

---

[13] გაზ. „კომუნისტი", 1978 წლის 4 მარტი.

[14] „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება 25-ე ყრილობაზე", 1976, გვ. 56.

საბჭოთა კრიმინალისტიკის საგანი

ლ. გუმაშვილი,
ხსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა კრიმინალისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს მისი თეორიული საფუძვლების განხილვა-დამუშავებას. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია კრიმინალისტიკის საგნის საკითხი.

კრიმინალისიტიკის მეცნიერების საგნის ზუსტი განსაზღვრა ხელს შეუწყობს კრიმინალისტიკის დაწესებულებათა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, თავიდან აგვაცილებს სხვადასხვა სასწავლო კურსების დებულებათა დუბლირებას, ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაში სხვა მეცნიერებათა მიღწევების დანერგვას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ მეცნიერების საგნის ცნება არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი. ყოველი მეცნიერების განვითარებისათვის დამახასიათებელია ორი ეტაპი: ემპირიული და თეორიული. მეცნიერების განვითარების ემპირიულ დონეზე წარმოებს საკვლევი მოვლენებისა და ობიექტების შესახებ ფაქტების, ინფორმაციის დაგროვება; ფართოდ გამოიყენება დაკვირვება, გაზომვები, ექსპერიმენტები, ცოდნის პირველადი სისტემატიზაციის ხერხები (სქემების, გრაფიკების, ცხრილების, სიების და ა. შ. შედგენა); ყალიბდება ემპირიული კანონზომიერებანი.

მეცნიერების განვითარების თეორიულ ეტაპზე ხდება ცოდნის უმაღლესი განზოგადება, რასაც ხშირად შეიძლება მოჰყვეს მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბება.[1]

მაშასადამე, საზოგადოების განვითარების კვალობაზე იცვლება წარმოდგენა მეცნიერების საგანზე, ღრმავდება მეცნიერების შემსწავლელ კანონზომიერებათა შეცნობა. ცხადია, რომ კრიმინალისტიკის მეცნიერების შესწავლის საგნის საკითხის დაყენება კანონზომიერი მოვლენაა და განპირობებულია ამ მეცნიერების, როგორც ცოდნის სისტემის, განვითარების ბუნებით.

სიტყვა „კრიმინალისტიკა" წარმოდგება ლათინური სიტყვიდან — დანაშაული (criminalis — დანაშაულებრივი). წარსულში ეს ტერმინი გულისხმობდა სისხლისსამართლებრივ მეცნიერებათა მთელ ერთობლიობას. XIX საუკუნის ბოლოს იმ მეცნიერების მიმართ, რომელიც იმუშავებდა გამომძიე-

---

[1] См. **О. М. Сичивице.** Методы и формы научного познания, М., 1972, стр. 7; **М. В. Мостепаненко.** Философия и методы научного познания, Л., стр. 5 — 6.

ბლებისათვის სახელმძღვანელო რჩევათა სისტემას, ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ავსტრიელმა მეცნიერმა ჰანს გროსმა.[2] გროსმა კრიმინალისტიკის საგანი განსაზღვრა როგორც დანაშაულის ჩადენის და გახსნის ხერხები. მისი აზრით, კრიმინალისტიკა დამოუკიდებელი მეცნიერებაა, თუმცა ასრულებს დამხმარე ფუნქციას სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლისადმი; მისი განვითარება დამოუკიდებლად უნდა მოხდეს და მისი ბუნების შესაბამისად ატარებს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ხასიათს.[3]

საბჭოთა კრიმინალისტიკა ისტორიულად ჩაისახა სისხლის საპროცესო სამართალში როგორც მისი სპეციალიზებული ტექნიკურ-ტაქტიკური განშტოება და მხოლოდ მოგვიანებით გამოიყო ცოდნის დამოუკიდებელ დარგად.[4] ამ პროცესის თვისებრივად დასრულებაში დიდი როლი შეასრულა საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადებამ. ყოველივე ამან კი ფრიად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კრიმინალისტიკის მეცნიერების განვითარებაზე.

ოდითგანვე მიღებული იყო, რომ კრიმინალისტიკა იყო მეცნიერება დანაშაულთა გამოძიების შესახებ. მაგრამ ეს განსაზღვრა ზუსტი არ იყო; იგი ვერ მიჯნავდა კრიმინალისტიკას მოსაზღვრე დარგებისაგან, კერძოდ, სისხლის საპროცესო სამართლისაგან, რომელსაც მეტი დამაჯერებლობით შეიძლება ეწოდოს მეცნიერება დანაშაულთა გამოძიების შესახებ, ვიდრე კრიმინალისტიკას. განსაზღვრება არ იძლეოდა ნათელ წარმოდგენას კრიმინალისტიკის საგანზეც, მის მეთოდზე. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა კრიმინალისტიკისადმი, როგორც მეცნიერებისადმი, ის არაჯანსაღი დამოკიდებულება, რომლითაც იგი დიდი ხანი ითვლებოდა სისხლის საპროცესო სამართლის ნაწილად, კრიმინალისტიკური ტექნიკის სახით.[5]

თავისი განვითარების კვალობაზე კრიმინალისტიკა მდიდრდებოდა თეორიული დებულებებით და პრაქტიკული რეკომენდაციებით, რამაც განაპირობა მისი დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბება. მეცნიერებისათვის სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მისი კვლევის საგნის განსაზღვრისას საჭირო იყო კრიმინალისტიკისათვის დამახასიათებელი ნიშნების დადგენა. არსებითი ნაბიჯი წინ ამ მხრივ გადაიდგა 1950 წელს, როდესაც პროფ. ა. ი. ვინბერგმა კრიმინალისტიკის საგნის განსაზღვრისას ხაზი გაუსვა ამ მეცნიერების მიერ შემუშავებული საშუალებებისა და მეთოდების თავისებურებას, რომლებიც როგორც შედარებით დამოუკიდებელი ნაწილები ერთიანდებიან კრიმინალისტიკურ ტექნიკაში, საგამოძიებო ტაქტიკაში და ცალკეული სახით დანაშაულთა გამოძიების

[2] См. **Г. Гросс.** Руководство для следователей как система криминалистики. Спб., 1898.

[3] См. **Г. Гросс.** Руководство для следователей как система криминалистики, Спб, 1908, стр. IX—XI.

[4] См. «Теория доказательств в советском уголовном процессе», М., 1973, стр. 31; **А. А. Эйсман.** Криминалистика в системе юридических и естественных наук, «Сборник научных трудов», № 1, Вильнюс, 1963, стр. 27.

[5] ასეთ აზრს გარკვეული სახეცვლილებებით დიდი ხნის მანძილზე იცავს მ. ს. სტროგოვიჩი (См. **М. С. Строгович.** Курс советского уголовного процесса, т. I. М., 1968, стр. 102; «Уголовно-процессуальный закон и проблемы его эффективности», М., 1979, стр. 79).

მეთოდიკაში.[6] შემდგომი პერიოდი ხასიათდება ამ სამი ნაწილის გარშემო კრიმინალისტიკის მიერ გადასაწყვეტ ამოცანათა სრულყოფის ცდებით. კრიმინალისტიკის საგნის ამგვარი გაგებია ერთ-ერთი სრულყოფილი განსაზღვრა ეკუთვნის პროფ. ბ. ხარაზიშვილს, რომლის მიხედვითაც „საბჭოთა კრიმინალისტიკა არის მეცნიერება, რომელიც მოქმედ კანონებზე და საგამომძიებლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეისწავლის დანაშაულთა გახსნის და თავიდან აცილების ტექნიკას, ტაქტიკას და მეთოდიკას“.[7]

60-იანი წლების დასასრულიდან კრიმინალისტიკის მეცნიერებაში გაიზარდა თეორიულ გამოკვლევათა რაოდენობა. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია გამოძიების, როგორც შემეცნების ერთ-ერთი სახეობის, სტრუქტურის ჩამოყალიბება, კრიმინალისტიკისა და სისხლის საპროცესო სამართლის კვლევის საგნების დადგენა-გამოყოფა, მათ შორის კავშირის ხასიათის გააზრება.

კრიმინალისტიკისა და სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის მჭიდრო კავშირი იმით ვლინდება, რომ მათ აქვთ შესწავლის საერთო ობიექტი — მოღვაწეობა დანაშაულის გახსნის, გამოძიებისა და მათი თავიდან აცილებისათვის. ორივესათვის საერთო ამოცანებს განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებიც ასევე ადგენენ კრიმინალისტიკური მეთოდების, საშუალებებისა და ხერხების სართო სტრუქტურას. დროთა განმავლობაში ხდება კრიმინალისტიკური რეკომენდაციებისა და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების თავისებური შერწყმა. მაგალითად, ისეთი მოქმედებები, როგორიც არის საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩვენებათა ადგილზე შემოწმება, ნიმუშების მიღება შედარებითი გამოკვლევისათვის, ამოსაცნობად წარდგენა და სხვა რეკომენდირებულია კრიმინალისტიკის მიერ და მხოლოდ შემდგომ ეტაპზე პროცესუალური განმტკიცება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს რომ ამ ორი დისციპლინის კვლევის საგანი ერთი და იგივე იყოს. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ **შესწავლის ობიექტის** საერთო ხასიათი არ ეწინააღმდეგება მათი **კვლევის საგნების** განსხვავებას. შევეცდებით ცხადვყოთ ეს პრაქტიკული მაგალითით.

ავიღოთ ისეთი პროცესუალური მოქმედება, როგორიც არის დაკითხვა. როგორც ცნობილია, სისხლის საპროცესო სამართალს აინტერესებს გამომძიებელსა და დასაკითხ პირთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის რეგლამენტირება, რომელიც მიმართულია დაკითხვის ძირითადი ამოცანის — მართებული და სრული ჩვენებების მიღების — გადასაწყვეტად. ამასთან ერთად იგი უნდა შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების საერთო ამოცანებსა და პრინციპებს. ამ ფარგლებს სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერების ინტერესები არ სცილდება; მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, იმას, რომ გამომძიებელი დარწმუნდეს დასაკითხი პირის ვინაობაში. ამასთან საპროცესო სამართლისათვის სულ ერთია, თუ რით დაადგენს გამომძიებელი ამას — პასპორტის მეშვეობით, პირადობის მოწმობით, შეკითხვების გზით თუ სხვა ხერხით. სისხლია საპროცესო სამართლის სტრუქტურის მიხედვით არსებითია მხოლოდ ის, რომ დაიკითხოს სათანადო

[6] См. **«Криминалистика»**, ч. I. М., 1950, стр. 4.

[7] ბ. ხარაზიშვილი. კრიმინალისტიკა, თბ., 1969, გვ 16.

პირი. ასეთი პირის დადგენა კი განეკუთვნება გამოძიების ინფორმაციულ-შემეცნებითს მხარეს, რომელსაც კრიმინალისტიკა შეისწავლის.

ავიღოთ ისეთი საგამოძიებო მოქმედება, როგორიც არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178, 179, 180 მუხლებით განსაზღვრულია მისი ჩატარების წესი, რომლებიც აუცილებლად და განუხრელად უნდა დაიცვას გამომძიებელმა. მაგრამ საპროცესო სამართალი არ იძლევა იმის დასაბუთებას, თუ კონკრეტული ვარემოებების მიხედვით რა წესით (დათვალიერების ადგილის ცენტრიდან თუ პერიფერიიდან) დაიწყოს გამომძიებელმა დათვალიერება. პროცესუალური ნორმები უფლებას აძლევს გამომძიებელს დათვალიერების დროს აწარმოოს დათვალიერების ადგილისა და ცალკე ობიექტების ფოტოგადაღება. ამასთან ერთად ნორმებში არ არის განსაზღვრული, თუ როგორ და რა თანამიმდევრობით უნდა წარმოებდეს ფოტოგადაღება, რა ხერხები იქნეს გამოყენებული და ა. შ. ყოველივე ამის ცოდნისათვის საჭიროა დანაშაულის ჩადენის მექანიზმის, მტკიცებულებათა წარმოშობის თავისებურებების, კვალების აღების ხერხებისა და ა. შ., ე. ი. „დანაშაულთა გახსნისა და გამოძიების მოღვაწეობის ინფორმაციულ-შემეცნებითი სტრუქტურის“[8] გაანალიზება და განსაზღვრა.

ამრიგად, ზემოაღნიშნული გარემოებანი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სისხლის საპროცესო სამართლის საგანს შეადგენს სამართლებრივი ურთიერთობების სტრუქტურა, რომელიც სავალდებულოა სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად და სასამართლოში განსახილველად. კრიმინალისტიკის საგანი კი არის გამოძიების **ინფორმაციულ-შემეცნებითი** სტრუქტურა, ამიტომ კრიმინალისტიკას აინტერესებს ის კანონზომიერებანი, რომლებიც საფუძვლად უდევს დანაშაულთა შესახებ **ინფორმაციის** წარმოშობას, უფრო ზუსტად მტკიცებულებათა წარმოშობას. მათი შესწავლა საჭიროა კრიმინალისტიკის მეცნიერებისათვის, რათა შემუშავდეს შესაბამისი კრიმინალისტიკური საშუალებანი და მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს დანაშაულთა ეფექტიან გამოძიებას, სისხლის საპროცესო სამართლის მოთხოვნათა სისრულეში მოყვანას.

სწორედ ეს თავისებურება ჰქონდა მხედველობაში პროფ. რ. ს. ბელკინს, როდესაც მოგვცა კრიმინალისტიკის განსაზღვრება, როგორც მეცნიერებისა „მტკიცებულებათა წარმოშობის, შეგროვების, გამოკვლევის, შეფასების და გამოყენების კანონზომიერებებისა და ამ კანონზომიერებების შეცნობაზე დამყარებულ დანაშაულთა სასამართლო კვლევისა და თავიდან აცილების საშუალებებისა და მეთოდების შესახებ“.[9]

კრიმინალისტიკის მეცნიერების ეს განსაზღვრება მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. მის მიხედვით გადამუშავდა ბრავალი საკითხი, საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებებს, უფრო ინტენსიური გახდა საერთოდ მეცნიერული გა-

---

[8] См. **В. Я. Колдин.** Предмет криминалистики. «Советское государство и право», 1979, № 4, стр. 81.

[9] **Р. С. Белкин.** Ленинская теория отражения и методологические проблемы советской криминалистики. М., 1970, стр. 42.

მოკვლევები კრიმინალისტიკაში.[10] ამასთან ერთად არ შეწყვეტილა დავა კრიმინალისტიკის საგნის ირგვლივ. ჩვენი მიზანი არ არის გავაანალიზოთ კრიმინალისტიკის მეცნიერების ყველა ის განსაზღვრება, რომლებიც ლიტერატურაშია წამოყენებული. ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ ის არსებითი ნიშნები, რომლებიც, ჩვენი აზრით, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს კრიმინალისტიკური გამოკვლევების წარმოებისას.

უპირველესად ხაზი უნდა გაესვას იმ დადებითს, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა პროფ. რ. ს. ბელკინის განსაზღვრებაში. ეს არის მითითება კანონზომიერებებზე, რომლებიც შეისწავლება კრიმინალისტიკაში. ნებისმიერი მეცნიერების საგანს შეადგენს განსაზღვრული კანონზომიერებების შესწავლა, ე. ი. ადამიანის მიერ შეცნობილი ობიექტური სინამდვილის შესწავლა. აკრიტიკებდა რა წინანდელ მატერიალიზმს, კ. მარქსი წერდა: „მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა... ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ **ობიექტის** ანუ **განჭვრეტის** ფორმაში იხილავს და არა როგორც **ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას**, არა სუბიექტურად[11]. რამდენადაც ვუახლოვდებით ობიექტური სამყაროს კანონების შეცნობას, იმდენად ცხადი ხდება მეცნიერების საგანი. ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერების მიერ შემსწავლელ კანონზომიერებებს.

ამასთან, იმ დადებითთან ერთად, რომელსაც ხაზი გავუსვით, პროფ. რ. ს. ბელკინის განსაზღვრებაში გვხვდება უარყოფითიც, რაც იმით გამოიხატება, რომ, ერთი მხრივ, მეტად **გაფართოებულია** კრიმინალისტიკის საგნის ფარგლები, მეორე მხრივ, მასში ვერ პოვა ადგილი იმ არსებითმა თავისებურებებმა, რომლებიც დამოუკიდებელ ადგილს ანიჭებს კრიმინალისტიკას იმ მეცნიერებათა შორის, რომელთა შესწავლის ობიექტია დანაშაულთან ბრძოლა. განვიხილოთ კრიტიკის დასახელებული პუნქტები.

1. რ. ს. ბელკინის განსაზღვრებაში კრიმინალისტიკის კვლევის საგნად მტკიცებულებათა წარმოშობის კანონზომიერებებთან ერთად შეტანილია აგრეთვე მტკიცებულებათა შეგროვების, კვლევის, შეფასებისა და გამოყენების კანონზომიერებანი, ე. ი. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მთელი პრაქტიკა. რასაკვირველია, კრიმინალისტიკას აინტერესებს და იგი აწარმოებს კიდეც ამ პრაქტიკის შესწავლას. კრიმინალისტიკა მოწოდებულია განაზოგადოს გამოძიების პრაქტიკა. მაგრამ კრიმინალისტიკის შესწავლის საგანია არა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების მთლიანი პრაქტიკა, არამედ მისი განსაზღვრული ასპექტი. დანაშაულთა გამოძიების პრაქტიკას შეისწავლის სისხლის სამართალიც — საპროცესო ნორმების გამოყენების თვალსაზრისით და უშუალოდ მატერიალური სისხლის სამართალიც, რომელსაც მხედველობაში აქვს სისხლის სამართლებრივი ნორმების მოქმედება.

---

10 შორს წაგვიყვანდა იმ ნაშრომების ჩამოთვლაც კი, რომლებიც შეიქმნა ამ განსაზღვრების საფუძველზე. გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ კრიმინალისტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კურსის სამტომეულს გამოსვლა.
(См. **Р. С. Белкин.** Курс советской криминалистики. Общая теория советской криминалистики, т. I, М., 1977; **Он же.** Курс советской криминастики. Частные криминалистические теории, т. II, М., 1978; **Он же.** Курс советской криминалистики. Криминалистические средства, приемы и рекомендации, т. III, М., 1979.

11 **კ. მარქსი, ფ. ენგელსი.** რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 484.

კრიმინალისტიკა უშუალოდ მონაწილეობს სამართლებრივი ნორმების განხორციელებაში, მაგრამ ამ მიზნით იმუშავებს ტექნიკურ, ტაქტიკურ და მეთოდიკურ **კრიმინალისტიკურ საშუალებებსა და მეთოდებს.** სწორედ მათზე უნდა მიეთითოს კრიმინალისტიკის საგნის განსაზღვრისას. ზემოაღნიშნულ განსაზღვრებაში კი ლაპარაკია სასამართლო კვლევისა და დანაშაულთა თავიდან აცილების საშუალებებზე, რომლებიც თავიანთი არსით არ შემოიფარგლება მარტო კრიმინალისტიკური საშუალებებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საუბარი გვაქვს მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევის, შეფასების და გამოყენების კანონზომიერებებზე, ნებსით თუ უნებლიეთ ვეხებით მტკიცებულებათა თეორიის საგანს. მტკიცებულებათა თეორია შეისწავლის მტკიცების პროცესს როგორც სამართლებრივი ურთიერობების დინამიკურ სისტემას, რომელსაც არეგულირებს პროცესუალური სამართლის ნორმები. მტკიცებულებათა თეორია სისხლის საპროცესო სამართლის ნაწილია. აქ ხდება იმ ძირითად დებულებათა შემუშავება, რომლებიც საფუძვლად უდევს კრიმინალისტიკური საშუალებებისა და მეთოდების შემუშავებას. პროფ. რ. ს. ბელკინის აზრით, მტკიცებულებათა თეორია შეიძლება განხილულ იქნეს კრიმინალისტიკისათვის და სისხლის საპროცესო სამართლისათვის როგორც მოსაზღვრე, ასევე მათი საერთო მოქმედების სფეროდ[12].

უფრო შორს მიდის ამ მიმართულებით პროფ. ა. ი. ვინბერგი. იგი ამტკიცებს, რომ მტკიცებულებათა თეორია იმ ნაწილში, რომელიც განიხილავს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებს, შედის სისხლის საპროცესო სამართლის შემადგენლობაში, ხოლო იმ ნაწილში, რომელიც იმუშავებს სასამართლო და საგამოძიებო, აგრეთვე საექსპერტო ორგანოების მოღვაწეობის თეორიულ დებულებებს, სასამართლო მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოკვლევისათვის, შედის კრიმინალისტიკის მეცნიერების შემადგენლობაში[13].

მეცნიერთა მეორე ნაწილი უარყოფს კრიმინალისტიკისა და სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებებს შორის ამგვარ კავშირს. ისინი ამტკიცებენ, რომ მტკიცებულებათა თეორია იყო და არის სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერების ნაწილი; მასში ოდითგანვე შეიმუშავებოდა დებულებანი, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს კრიმინალისტიკამ.[14]

ჩვენი აზრით, მტკიცებულებათა თეორიისა და კრიმინალისტიკის ურთიერთობის საკითხი იმ გაგებით, რომლითაც ხელმძღვანელობენ რ. ს. ბელკინი და ა. ი. ვინბერგი, შეიძლება დაისვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსგავსად კრიმინალისტიკისა არსებობს დამოუკიდებელი საგანი — მტკიცებულებათა თეორია. მაგრამ რადგანაც მტკიცებულებათა თეორიის დამოუკიდებლად გამოყოფის საკითხი მომავლის საქმეა და დღეისათვის არ არის საფუძველი სისხლის

---

[12] **Р. С. Белкин.** Ленинская теория отражения и методологические проблемы советской криминалистики, М., 1970, стр. 43.

[13] **А. И. Винберг.** Теория судебных доказательств в науке советской криминалистики, «Советское государство и право», 1977, № 12, стр. 71.

[14] **А. Н. Васильев.** Критические замечания о соотношении криминалистики и уголовно-процессуальной теории доказательств, «Советское государство и право», 1979, № 4, стр. 87; Уголовно-процессуальный закон и проблемы его эффективности, М., 1979, стр. 85—86.

საპროცესო სამართალი წარმოვიდგინოთ უიმისოდ. ჩვენი აზრით, კრიმინალისტიკისა და მტკიცებულებათა თეორიის საკითხი კრიმინალისტიკისა და სისხლის საპროცესო სამართლის ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია და საერთო დებულება იმის შესახებ, რომ სისხლის საპროცესო სამართლისათვის მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებს, ხოლო კრიმინალისტიკისათვის კი დანაშაულის ჩადენის ინფორმაციულ-შემეცნებითს სტრუქტურას, ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩება.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ რ. ს. ბელკინის მიერ მოცემული განსაზღვრება მისი ფართო ხასიათის გამო გააკრიტიკეს მთელმა რიგმა ავტორებმა, მაგალითად, ნ. ა. სელივანოვმა, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა წარმოშობის კანონზომიერებანი — დანაშაულთა ჩადენის ხერხები, სხვადასხვა სახის კვალების გაჩენის მექანიზმები და სხვა მსგავსი მოვლენებია, სცადა სრულეყო განსაზღვრების ის ნაწილი, რომელშიც შედის მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევის, შეფასებისა და გამოყენების კანონზომიერებანი. მისი აზრით, „კრიმინალისტიკა — ეს არის მეცნიერება სასამართლო მტკიცებულებათა წარმოშობის კანონზომიერებების, აგრეთვე მათი შეგროვებისა და გამოყენების საერთო მეთოდების, ტექნიკის, ტაქტიკის, მეთოდიკის შესახებ დანაშაულის გამოძიებისა და თავიდან აცილების მიზნით“.[15]

ვფიქრობთ, რომ ამ ავტორმაც თავი ვერ გაართვა დასახულ ამოცანას. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სისხლის საპროცესო სამართლის ნორმები ადგენს კრიმინალისტიკური მეთოდების, საშუალებებისა და ხერხების საერთო სტრუქტურას. სისხლის საპროცესო სამართლის მიერ განსაზღვრულია საგამოძიებო მოქმედებანი, რომლებიც უნდა შესრულდეს ამა თუ იმ სახის დანაშაულის გამოსაძიებლად, დადგენილია მათი შესრულების საერთო ტაქტიკური მიმართულება, მეთოდების საერთო ხასიათი და ა. შ. კრიმინალისტიკის ამოცანაა სამართლებრივი ნორმების საერთო მოთხოვნათა საფუძველზე შეიმუშაოს ის კონკრეტული მეთოდები, ტაქტიკური ხერხები და ტექნიკური საშუალებანი, რომლებიც ამა თუ იმ სახის დანაშაულის გამოძიებისას უნდა ქმნიდეს ერთიან სისტემას — მეთოდიკური რეკომენდაციების ფორმით. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იძლევა ამომწურავ და ზუსტ პასუხს იმაზე, თუ რომელი საგამოძიებო მოქმედებანი შეუძლია და უნდა განახორციელოს გამომძიებელმა საქმის გამო ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ კოდექსში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რომელი საგამოძიებო მოქმედება უნდა შესრულდეს პირველად და რომელი — მეორედ; კოდექსში მითითებულია, რომ გამომძიებელს შეუძლია მიმართოს ამა თუ იმ სპეციალისტის დახმარებას, მაგრამ არ არის ნაჩვენები, კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით რომელ სპეციალისტს მიმართოს მან, რა კითხვები დაუსვას მას და ა. შ. გამოძიების ეს მხარე შეისწავლება კრიმინალისტიკის მიერ მტკიცებულებათა წარმოშობის კანონზომიერებათა შესწავლის საფუძველზე. ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვლინდება კონკრეტული კრიმინალისტიკური საშუალებებისა და მეთოდების შემუშავებით, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ ტექნიკური, ტაქტიკური და მეთოდიკური ხასიათი.

---

[15] **Н. А. Селиванов.** К вопросу о понятии и системе криминалистики, «Вопросы борьбы с преступностью», 1977, вып. 26, стр. 103—104.

სხვა უკიდურესობას მიმართა ფ. ი. ბერდიჩევსკიმ, რათა თავიდან აეცილებინა რ. ს. ბელკინის მიერ მოცემული კრიმინალისტიკის განსაზღვრების მეტად ფართო ხასიათი. იგი განსაზღვრავს კრიმინალისტიკას, როგორც მეცნიერებას, რომლის საგანია „დანაშაულთა და მათ ჩამდენ პირთა შესახებ ინფორმაციის წარმოშობის კანონზომიერებები და ამ კანონზომიერებების შეცნობაზე დაფუძნებული საშუალებები და მეთოდები ასეთი ინფორმაციის აღმოსაჩენად მისი მტკიცებულებათა სახით გამოსაყენებლად სისხლის სამართლის საქმეზე“.[16]

როგორც განსაზღვრებიდან ჩანს, ფ. ი. ბერდიჩევსკიმ კრიმინალისტიკის საგნის მთავარ დანიშნულებად მიიჩნია მისი **ძიებითი** ხასიათი, მისი მიმართულება მტკიცებულებათა აღმოსაჩენად. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვანი ასპექტია კრიმინალისტიკისათვის, მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი დანიშნულება. კრიმინალისტიკისათვის ასევე მნიშვნელობა აქვს გამოძიების **შემეცნებითს** მხარეს, ე. ი. მიმართულებას ჭეშმარიტების დასადგენად და მისი შედეგების გამოსაყენებლად შემდგომში დანაშაულის თავიდან აცილებისათვის. ამ ასპექტმა კი ფ. ი. ბერდიჩევსკის განსაზღვრებაში ვერ პოვა სათანადო ადგილი.

II. რ. ს. ბელკინის კრიმინალისტიკის საგნის განსაზღვრებაში, როგორც აღვნიშნეთ, ვერ პოვა გამოხატულება კიდევ ერთმა არსებითმა ნიშანმა. რა ნიშანია ეს?

თუ გადავხედავთ კრიმინალისტიკის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ იგი, როგორც მეცნიერული მიმართულება, წარმოიშვა საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც სისხლის სამართლის საქმეთა გამოსაძიებლად გეგმაზომიერად და მიზანშეწონილად იქნა გამოყენებული სხვადასხვა (უმეტესად საბუნებისმეტყველო) მეცნიერებათა (მხედველობაში გვაქვს არაიურიდიული მეცნიერებები) მიღწევები.

დანაშაულთა გამოძიების ორგანიზაციისადმი მეცნიერული მიდგომა, ლოგიკური ხერხებისა და საშუალებების მართებული გამოყენება, თითოეული საგამოძიებო მოქმედების ეფექტიანი და სრულყოფილი შესრულება სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების სპეციფიკურ პირობებში მოითხოვს და აუცილებლობით იწვევს იმას, რომ მოვიშველიოთ სხვადასხვა მეცნიერებათა მიღწევები იმ ინფორმაციის შესაგროვებლად, რომელიც საჭიროა ჭეშმარიტების დასადგენად. ამასთან სხვა მეცნიერებათა მიღწევები გამოყენებული უნდა იქნეს როგორც გამომძიებლის, ასევე სასამართლო და საექსპერტო დაწესებულებათა მოღვაწეობის იურიდიული მხარის დასასაბუთებლად ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე. მართებულია პროფ. ა. ნ. ვასილიევის აზრი იმის შესახებ, რომ „კრიმინალისტიკა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა ტექნიკურ და ბუნებრივ მეცნიერებათა (მათ შორის ლოგიკისა და ფსიქოლოგიის, რომლებიც იმყოფებიან ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიჯნაზე) კომპლექსური შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე, წარმოადგენს სპეციალურ სამეცნიერო დახმარებას სისხლის საპროცესო სამართლებრივ მოღვაწეობაში დანაშაულთა გახსნისა და გამოძიებისათვის“.[17]

---

[16] **Ф. Ю. Бердичевский.** О предмете и понятийном аппарата криминалистики (в порядке обсуждения), «Вопросы борьбы с преступностью», 1976, вып. 24, стр. 140.

[17] «Криминалистика», Под ред. **А. Н. Васильева**, М., 1971, стр. 6—7.

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების თეორია და პრაქტიკა ნათლად გვიმტკიცებს, რომ კრიმინალისტიკა გვევლინება სხვა მეცნიერებათა მონაცემების გამოძიების პროცესში დანერგვის ორგანიზაციულ საფუძვლად; იგი ასრულებს თავისებური ხიდის როლს იურიდიულ და სხვა მეცნიერებებს შორის დანაშაულთა გამოძიებისა და თავიდან აცილებისათვის. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ნიშანი სპეციფიკურია კრიმინალისტიკის მეცნერებისათვის და მასზე მითითება საგნის განსაზღვრისას აუცილებელია. ამაზე მიგვანიშნებს ის მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, რომლებიც მიეძღვნა ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკაში დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათებისა და საძიებო სიტუაციების შემუშავების პრობლემებს.[18] მათი გადაწყვეტა კი დამოკიდებულია კრიმინალისტიკის **ორგანიზაციული** ასპექტის სრულ გამოყენებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რ. ს. ბელკინი შეეცადა თავისი განსაზღვრების ეს სუსტი მხარე შეევსო და ერთ-ერთ სახელმძღვანელოში სპეციალური თავი მიუძღვნა მართვის მეცნიერებისა და კრიმინალისტიკის ურთიერთობის საკითხს.[19] პროფ. ა. ნ. ვასილიევმა კი ეს ნიშანი ჩათვალა კრიმინალისტიკისათვის მთავარ ნიშნად,[20] ხოლო ვ. გ. ტანასევიჩმა ამ მეცნიერების საგანი განსაზღვრა როგორც „დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილებისათვის უფლებამოსილ ორგანოთა მოღვაწეობის საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების სისტემა, რომელიც შედგება ფაქტობრივი მონაცემების გამოვლენისა, შეგროვებისა და გამოკვლევისაგან, რომელთა საფუძველზე დადგინდება საზოგადოებრივად საშიში ქმედობა და პირთა ბრალი, რომლებმაც იგი ჩაიდინეს, აგრეთვე მიიღება ზომები დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად".[21]

სხვა ნაკლოვანებებთან ერთად, ჩვენი აზრით, ამ განსაზღვრებაში საგულისხმოა ის, რომ კრიმინალისტიკის მაორგანიზებელი როლი გამოძიების წარმოებისას გავრცელებულია მთელ მოღვაწეობაზე დანაშაულთა გასახსნელად და თავიდან ასაცილებლად, რაც არ შეესაბამება არც თეორიულ დებულებებს და არც საგამოძიებო ორგანოთა პრაქტიკას.

მაშასადამე, კრიმინალისტიკის საგნის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ნიშნები:

ა) ხაზი უნდა გაესვას, რომ კრიმინალისტიკა შეისწავლის მტკიცებულებათა წარმოშობის კანონზომიერებებს;

ბ) ამ კანონზომიერებათა შესწავლის საფუძველზე კრიმინალისტიკა შეიმუშავებს ტექნიკური, ტაქტიკური და მეთოდიკური ხასიათის საშუალებებს, ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მტკიცებულებათა შეგროვებასა, გამოკვლევასა და შეფასებაში;

გ) კრიმინალისტიკური საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების შემუშავება წარმოებს სხვადასხვა მეცნიერებათა მიღწევების დანერგვისა და გამოყე-

---

[18] См. Вопросы криминалистической методологии, тактики и методики расследования(материалы научной конференции), М., 1973; Методика расследования преступлений (Общие положения), М., 1976 и др.

[19] «Криминалистика», т. I, М., 1978, стр. 19—27.

[20] **А. Н. Васильев.** Следственная тактика, М., 1976, стр. 27.

[21] **В. Г. Танасевич.** О предмете советской криминалистики (в порядке обсуждения), «Вопросы борьбы с преступностью», 1976, вып. 24, стр. 121—122.

ნების გზით სისხლის საპროცესო-სამართლებრივ მოღვაწეობაში დანაშაულთა გამოსაძიებლად.

ამრიგად, კრიმინალისტიკის მეცნიერების საგანია **მტკიცებულებათა წარმოშობის კანონზომიერებათა შეცნობის საფუძველზე დანაშაულის გამოძიებ-ებისა და თავიდან აცილების ორგანიზაცია ტექნიკური, ტაქტიკური და მეთოდიკური ხერხების, საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით.**

ამ განსაზღვრებაში არ არის მითითებული, რომ კრიმინალისტიკური საშუალებანი, მეთოდები და ხერხები გამოიყენება სისხლის საპროცესო სამართლებრივ მოღვაწეობაში. მიგვაჩნია, რომ ეს ნიშანი აუცილებელია გამოძიების და საგამოძიებო მოქმედების განსაზღვრისათვის. გამოძიებას კი ახასიათებს ორი ასპექტი — პროცესუალური და კრიმინალისტიკური. კრიმინალისტიკური ასპექტი გულისხმობს პროცესუალური ფორმის რეალიზაციას, და რამდენადაც ეს საფუძველია მისთვის, განსაზღვრებაში იგი ცალკე ნიშნად არ გამოვყავით.

აქ არაფერია ნათქვამი საგამოძიებო პრაქტიკის მნიშვნელობაზეც. ვფიქრობთ, რომ ეს ნიშანი ცალკე გამოსაყოფად საჭირო იყო კრიმინალისტიკის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობდა ემპირიული მასალის შეგროვება და დამუშავება. დღეისათვის, როდესაც კრიმინალისტიკა თეორიულად საკმაოდ დასრულებული მეცნიერებაა, ჩვენი აზრით, არ არის საჭირო ამ ნიშნის საგნის განსაზღვრებაში შეტანა. მით უმეტეს, რომ არ არსებობს ისეთი მეცნიერება, რომელიც არ ეყრდნობოდეს პრაქტიკის განზოგადებას, თუმცა საგნის განსაზღვრებისას ამაზე არ მიუთითებენ.

პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება საბჭოთა სისხლის სამართალში

ა. მიქაძე,
საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების საკითხი ერთ-ერთი რთული და აქტუალურია საბჭოთა სისხლის სამართალში. მის მართებულად გაგებას აქვს არა მარტო ღრმა თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც სოციალისტური კანონიერების სწორი განხორციელებისათვის. დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითს ბუნებასთან არის დაკავშირებული რთული და საკვანძო პრობლემები — ბრალის ფსიქოლოგიური მხარე, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ნების თავისუფლება საბჭოთა სისხლის სამართალში და ა. შ., რომელთა შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

მაგრამ სწორად რომ გავიგოთ დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება, უპირველესად აუცილებელია განვიხილოთ როგორც დანაშაულის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრა, ისე ნებელობითი მოქმედების ის ძირითადი ნიშან-თვისება, რომელიც დამუშავებული და მოცემულია საბჭოთა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში.

ცნობილია, რომ საფუძვლების მე-7 მუხლით დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს კანონით დაცულ ობიექტს. დანაშაულის ზოგადი ცნების ამ განსაზღვრიდან ნათლად ჩანს, რომ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული არც ერთი დანაშაული დამნაშავის ამა თუ იმ განსაზღვრული მოქმედების ან უმოქმედობის გარეშე. უფრო მეტიც, ეს მოქმედება ყოველთვის დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელი და სავალდებულო ნიშანია.

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ კონკრეტულად სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობა? არის იგი წმინდა სისხლისსამართლებრივი ცნება, თუ თავისი ფსიქოფიზიკური კონსტრუქციით ისე უნდა გავიგოთ, როგორც მას განსაზღვრავს მარქსისტული ფსიქოლოგია?

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. ავტორთა უმრავლესობას სამართლიანად მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ყოველთვის ნებელობითია, საფუძვლად უდევს განსაზღვრული მოტივი და მიმართულია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და, ამრიგად, სრულიად შეესაბამება საბჭოთა ფსიქოლოგიის პრინციპებს.[1] კრიმინალისტთა ნაწილი კატეგორიულად უარყოფს ქმედობის ნებელობით ბუნებას არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულობებში[2]. ზოგიერთი კი დანაშაულებრივ ქმედობაზე ავითარებს სრულიად ახალ, განსხვავებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პასუხის-

---

[1] Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве, М., 1963, стр. 10; Советское уголовное право. Общая часть, М., 1969, стр. 182; Курс советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 102; Б. С. Волков. Проблема воли и уголовная ответственность. Казань, 1965, стр. 35; П. С. Дагель. Неосторожность. Уголовно-правовые и криминологические проблемы. М., 1977, стр. 37—38 и др.

[2] В. Г. Смирнов. — Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве. Рецензия. «Правоведение», 1957, № 1, стр. 155 и др.

მგებლობა დაკავშირებულია არა მარტო ნებელობით მოქმედებასთან, არამედ ისეთ მოქმედებასთან, რომელიც მათი გაგებით იმპულსურია.[3]

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა ნებელობითია, მიუხედავად იმისა ჩადენილია იგი განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, ხოლო ამის დამადასტურებელია ნებელობითი მოქმედების ან უმოქმედობის ის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც დადგენილია საბჭოთა ფსიქოლოგიის მიერ.

განმარტავს რა მოქმედების არსს, საბჭოთა ფსიქოლოგია იმით ხელმძღვანელობს, რომ მოქმედების ცნება არ ამოიწურება მხოლოდ ადამიანის სხეულის მოძრაობის ერთობლიობით. იგი ამასთან ერთად შეიცავს ფსიქიკურ პროცესსაც, რომელიც არეგულირებს და წარმართავს მას. „პრაქტიკული მოქმედება, — წერს ს. ლ. რუბინშტეინი, — არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მის გარეგან გამოვლინებამდე, თავის აღსრულების ნაწილამდე, მოძრაობებამდე, რომელთა საშუალებით იგი ხორციელდება. მოქმედება აუცილებლად შეიცავს გრძნობადს, შემეცნებითს ნაწილს. გრძნობადი შემეცნება ერთვება მოქმედებაში, როგორც მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, როგორც მისი მარეგულირებელი „მექანიზმი".[4] და შემდეგ, „ადამიანის მოქმედება წარმოადგენს ნამდვილ ფსიქოფიზიკურ ერთიანობას".[5]

მოქმედების არსის გაგების საკითხში საბჭოთა ფსიქოლოგია ხელმძღვანელობს აგრეთვე ადამიანის ქცევის მოტივის და მიზნის არსებობის აუცილებლობით, იგი თვლის, რომ ადამიანის ესა თუ ის მოქმედება ყოველთვის განისაზღვრება რაღაც გარკვეული მოტივით და მიმართულია განსაზღვრული მიზნისაკენ, რის გამოც შეგნება და მიზანმიმართულება მოქმედების აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია.

„ადამიანის მოქმედებას, — წერს ბ. მ. ტეპლოვი, — საფუძვლად უდევს განსაზღვრული მოტივები და მიმართულია განსაზღვრული მიზნისაკენ".[6] „ადამიანის მოქმედების შეგნებული, მიზანმიმართული ხასიათი, — აღნიშნავს ს. ლ. რუბინშტეინი, — წარმოადგენს მის სპეციფიკურ ნიშანს".[7]

და, ბოლოს, განმარტავს რა ადამიანის მოქმედების არსს, საბჭოთა ფსიქოლოგია ხელმძღვანელობს აგრეთვე კონკრეტული მიზნის გაგებით. იგი ამტკიცებს, რომ პირის მიზანი არის მოქმედების ძირითადი შედეგი, მოქმედება კი ამ მიზნის მიღწევის საშუალება. ამიტომ მიზანდასახული შედეგის არსებობა ადამიანის მოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია და ასეთი შედეგის უარყოფა ნიშნავს თვით მოქმედების უარყოფას. „ადამიანის მოქმედება, — წერს ს. ლ. რუბინშტეინი, — ყოველთვის მიმართულია განსაზღვრული შედეგისადმი.. მაგრამ ერთსა და იგივე მოქმედებას შეუძლია მოგვცეს მრავალი განსხვავებული შედეგი, ზოგიერთი მათგანი შეიძლება უნებლიეთ და წინასწარ განუზრახველად თან მოჰყვეს მას, მაგრამ, რამდენადაც ადამიანის საქმიანობა და უწინარეს ყოვლისა მისი შრომითი საქმიანობა შეგნებული საქმიანობაა, ამდენად, რომელიღაც შედეგი ამ შედეგებიდან მოქმედი სუბიექტის უშუალო შეგნებული მიზანია".[8]

ასეთია მარქსისტული ფსიქოლოგიის მიხედვით ნებელობითი მოქმედების აუცილებელი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, რომლებიც ამავე დროს ადამიანის ნებელობითი უმოქმედობის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებიც არის.

ჩვენი აზრით, ნებელობითი მოქმედების ან უმოქმედობის ყველა ეს ნიშანი აუცილებელია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის არა მარტო პირდაპირი განზრახვის დროს, არამედ არაპირდაპირი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დროსაც, თორემ დანაშაულებრივი ქმედობა ბრალის ყოველი სახეობის დროს მოკლებული იქნებოდა მის ფსიქოლოგიურ ხასიათს, რაც მიუღებელია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის.

აღნიშნავს რა დანაშაულებრივი ქცევის პირველ დამახასიათებელ თვისებას, რაც იმით გამოიხატება, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით იგი ქმედობაა, რომელიც ზიანს აყენებს

---

[3] Т. Г. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973, стр. 20; М. Г. Угрехелидзе. К вопросу о психологической природе неосторожности. — Вестник отделения общественных наук АН Грузинской ССР. Серия философии, психологии, экономики и права, 1972, № 4, стр. 181; Его же, Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тбилиси, 1976, стр. 51—52.

[4] С. Л. Рубинштейн. Бытие и сознание, М., 1957, стр. 52.

[5] С. Л. Рубинштейн. Основы общей психологии, М., 1946, стр. 20.

[6] Б. М. Теплов. Психология, М., 1954, стр. 178

[7] С. Л. Рубинштейн. Основы общей психологии, М., 1946, стр. 542.

[8] Там же.

სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ნ. ფ. კუზნეცოვა სამართლიანად წერს: „დანაშაულებრივი ქმედობა, რომ ასეთად იყოს აღიარებული, უწინარეს ყოვლისა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანური საქმიანობის ყველა ნიშანს მისი საერთო, ფსიქოლოგიური მნიშვნელობით“.[9]

იზიარებს, თუ არა საბჭოთა კრიმინალისტების უმრავლესობა დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების ასეთ გაგებას ყველა დანაშაულში? სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიაჩნიათ, თუ არა ნებელობითი მოქმედების ან უმოქმედობის ეს ნიშნები ყოველი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების გამომხატველ ნიშნებად საბჭოთა სისხლის სამართალში? ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება განვიხილოთ ბრალის ცალკეული სახეობების მიხედვით.[10]

დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების გაგება პირდაპირი განზრახვის დროს არ უნდა იყოს სადავო, რამდენადაც აღნიშნული ქმედობის მოტივი და მიზანი და ყოველგვარი სხვა ნებელობითი მოქმედების ან უმოქმედობის მოტივი და მიზანი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ნათლად ემთხვევა ერთიმეორეს. მაგრამ მიუხედავად ამისა ამ საკითხზე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა.

როგორც ითქვა, საბჭოთა კრიმინალისტების უმრავლესობას სამართლიანად მიაჩნია, რომ ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა არის ნებელობითი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ესა თუ ის მოტივი და მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ და სავსებით შეესაბამება მარქსისტულ ფსიქოლოგიას. მაგრამ ბრალის ცალკეული სახეობის დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების გაგების საკითხში მათი უმრავლესობა არ იყენებს ამ სწორ დებულებას, გვერდს უვლის მას. ამის ერთ-ერთი მაგალითია დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების უმართებლო გაგება ისეთ დანაშაულობებში, რომლებიც ცნობილია ე. წ. ფორმალურ დანაშაულობათა სახელწოდებით და რომელთა სუბიექტურ მხარეს პირდაპირი განზრახვა შეადგენს.

როგორც ცნობილია, საფუძვლების მე-8 მუხლის მიხედვით პირდაპირი განზრახვის შინაარსს შეადგენს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება, ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინება და მათი დადგომის სურვილი. კრიმინალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ პირდაპირი განზრახვის ასეთი გაგება გამოსადეგია მხოლოდ ეგრეთ წოდებულ მატერიალურ დანაშაულობებში. რაც შეეხება პირდაპირ განზრახვას, ფორმალურ დანაშაულობებში იქ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ არის დანაშაულის შემადგენელი ელემენტი და ამდენად, მისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ბრალის ცნებიდან ამორიცხულია, რის გამოც პირდაპირი განზრახვის შინაარსი ასეთ დანაშაულობებში ამოიწურება მხოლოდ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით[11] და რამდენადაც ბრალის შინაარსით აიხსნება დანაშაულებრივი ქმედობის ბუნება, ამდენად, ამ კრიმინალისტთა შეხედულებით ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით გაიგება.

მაგრამ ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში ქმედობის ნებელობითი ბუნების ასეთი გაგება არც ფსიქოლოგიურად და არც სამართლებრივად არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს.

როგორც ითქვა, საბჭოთა ფსიქოლოგიის მიხედვით, ყოველი ნებელობითი მოქმედების დამახასიათებელი ნიშნებია მისი ფსიქოფიზიკურ მხარეთა ერთიანობა, მოტივის და მიზნის არსებობა და ძირითადი მიზანდასახული შედეგის აუცილებლობა. ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების სფეროდან ნებელობითი მოქმედების ყველა ეს ნიშანთვისება ფაქტობრივად გამორიცხულია და მისი ფსიქოლოგიური შინაარსი ამოიწურება მხოლოდ ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით. ასეთი ნებელობითი მოქმედება კი საბჭოთა ფსიქოლოგიის მიხედვით სინამდვილეში არ არსებობს.

---

[9] Н. Ф. Кузнецова. Преступление и преступность. М., 1970, стр. 46.

[10] წინამდებარე წერილში განხილულია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება.

[11] Советское уголовное право. Часть общая. М., 1964, стр. 125; Курс советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 295; П. С. Дагель. Проблемы вины в советском уголовном праве. Ученые записки, выпуск 21, часть I, Владивосток, 1968, стр. 74—75 и др.

მაგრამ არც სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება ეს შეხედულება იყოს სწორი. ამის დამადასტურებლად ავიღოთ, მაგალითად ისეთი ფორმალური სახეობის დანაშაული, როგორიც არის ცილისწამება (რსფსრ სსკ 130-ე მუხლი) და რომლის სუბიექტურ მხარეს, რაც პირდაპირ განზრახვით გამოიხატება, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში განსაზღვრავენ არასრულყოფილად, „ე. წ. ფორმალურ დანაშაულობათა ჩადენის დროს, — ნათქვამია საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, — ჩაითვლება, რომ პირი მოქმედებდა განზრახ, თუ მისი ცნობიერება მოიცავს მის მიერ ჩადენილი მოქმედების ან უმოქმედობის ხასიათს, რამდენადაც თვითონ ეს მოქმედება ან უმოქმედობა ქმნის მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს, მაგალითად, ცილისწამების დროს (რსფსრ სსკ 130-ე მუხლი) დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის ავრცელებს სხვა პირისთვის სახელის გამტეხ მონაცემს"[12].

მაგრამ ცილისწამების, როგორც დანაშაულებრივი მოქმედების სუბიექტური მხარის — პირდაპირი განზრახვის ასეთი გაგება მცდარია. როგორც ცნობილია, ცილისწამების ობიექტი ადამიანის პატივი და ღირსებაა, ხოლო ის საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომელიც აღნიშნულ ობიექტში უნდა დადგეს ცილისწამების შედეგად, იქნება ამ პატივის და ღირსების დამცირება. და ეს ბუნებრივია, რადგან დამნაშავე სწორედ იმიტომ ავრცელებს წინასწარი შეცნობით მონაცემს, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს, რომ მას სურს ამ მონაცემის გავრცელებით შელახოს მეორე პირის პატივი და ღირსება. ცხადია ცილისწამებით გამოწვეული საზოგადობერივად საშიში შედეგის ასეთი გაგების შემდეგ პირდაპირი განზრავნის ცნება უნდა შეიცავდეს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ამ შედეგისადმიც.

როგორც ვხედავთ, ცილისწამების დროს პირდაპირი განზრახვა გაიგება ისე, როგორც ეს განსაზღვრულია საფუძვლების მე-8 მუხლით და ამ დანაშაულის ნებელობითი ბუნება კი ისე, როგორც ეს დადგენილია საბჭოთა ფსიქოლოგიის მიერ.

ამრიგად მოსაზრება, რომ ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში ქმედობის ნებელობითი ბუნება გაიგება ამ ქმედობის საზოგადობერივად საშიში ხასიათის შეგნებით სწორი არ არის.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი ავითარებს შეხედულებას, რომლის მიხედვით პირდაპირი განზრახვის შინაარსი ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებასთან ერთად შეიცავს აგრეთვე ნებელობითს ელემენტსაც, რაც გამოიხატება ამ ქმედობის ჩადენის სურვილით. სუბიექტის ნება ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში, — ნათქვამია მაგალითად, საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში — „მიმართულია თვითონ ქმედობაზე. ეს ნიშნავს, რომ მას სურს მხოლოდ მოქმედების ჩადენა. ამრიგად, ნებელობითი მომენტი პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ფორმალურ დანაშაულთა დროს შედეგებიდან გადადის ქმედობაზე"[13].

მაგრამ არც ეს შეხედულებაა სწორი. გარდა იმისა, რომ ასეთ ნებელობითს ელემენტს არ იცნობს პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრა, იგი, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე სამართლებრივად მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ცნობილია, რომ ყოველი ადამიანი სჩადის ამა თუ იმ ნებელობითს მოქმედებას ან უმოქმედობას, არა უბრალოდ მისი ჩადენის მიზნით, არამედ მხოლოდ მისთვის სასურველი შედეგის დადგომის მიზნით. „ადამიანის არც ერთი გონივრული მოქმედება, — წერს ნ. ფ. კუზნეცოვა, — არ არის თვითმიზანი — იგი ყოველთვის განსაზღვრული შედეგის მიღწევის საშუალებაა, სუბიექტური მიმართულების რეალიზაციაა"[14]. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ე. წ. ფორმალურ დანაშაულობათა დროს ზემოაღნიშნულ კრიმინალისტთა შეხედულებით პირი ქმედობას სჩადის მხოლოდ ამ ქმედობის ჩადენისათვის, მაშინ ისმის კითხვა, რა აიძულებს პირს ჩაიდინოს ესა თუ ის დანაშაულებრივი ქმედობა, რისთვისაც მას ემუქრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ იგი არ არის დაინტერესებული ასეთი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომით?

მაგრამ, როგორც ითქვა, არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ არის სწორი ეს შეხედულება, რასაც ნათლად ადასტურებს მაგალითად, ისეთი ეგრეთწოდებული ფორმალური დანაშაუ-

---

[12] Советское уголовное право. Общая часть, М., 1964, стр. 128—129.

[13] Курс советского уголовного права. Часть общая, Л., 1968, т. I, стр. 419; См. также, Советское уголовное право. Общая часть, М., 1974, стр. 157; А. И. Рарог. Умысел в формальных преступлениях, при приготовлении, покушении и соучастии. «Советское государство и право», 1977, № 1, стр. 65 и др.

[14] Н. Ф. Кузнецова. Преступление и преступность, М., 1970, стр. 49.

ლი, როგორიც არის შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა (რსფსრ სსკ 181-ე მუხლი) და რომლის სუბიექტურ მხარეს ამ შეხედულების მომხრე კრიმინალისტები ამოწურავენ მხოლოდ მოქმედების ჩადენის სურვილით. „განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე, — ნათქვამია, მაგალითად, მოსკოვში 1964 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში, — გამოიხატება პირდაპირი განზრახვით, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ იგი იძლევა ჩვენებას, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს და სურს მისცეს ასეთი ჩვენება, რომელიღაც მოტივის საფუძველზე".[15]

მაგრამ ასეთი შეხედულება შეგნებულად ცრუ ჩვენების, როგორც ნებელობითი მოქმედების მიზნის გაგების საკითხში მცდარია. ყველასათვის, ვინც ელემენტარულად ერკვევა ადამიანის ფსიქოლოგიაში. ცხადია, რომ პირი, რომელიც შეგნებულად ცრუ ჩვენებას აძლევს მართლმსაჯულების ორგანოებს, ამას იგი იმისათვის კი არ სჩადის, რომ ასეთი ჩვენება მისცეს და ამით ამოწუროს თავისი მოქმედება, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი ცრუ ჩვენებით გარკვეული ცვლილებები შეიტანოს კანონით დაცულ ობიექტში — მართლმსაჯულების ორგანოების სწორ მუშაობაში და ამით მიაღწიოს მისთვის სასურველ არაკანონიერი გადაწყვეტილების თუ განაჩენის გამოტანას.

ამრიგად, თუ ზემოაღნიშნული შეხედულების მიხედვით შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა თვითმიზანია, კანონმდებლის შეხედულების მიხედვით იგი კანონით დაცულ ობიექტში გარკვეული ცვლილებების შეტანისა და არაკანონიერი გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანის საშუალებაა.

როგორც ვხედავთ, ცრუ ჩვენების მიცემის დროსაც პირდაპირი განზრახვა გაიგება ისე, როგორც ეს განსაზღვრულია საფუძვლების მე-8 მუხლით, ხოლო ამ დანაშაულის ნებელობითი ბუნება კი ისე, როგორც ეს დადგენილია საბჭოთა ფსიქოლოგიის მიერ.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედობა ყოველთვის ნებელობითი მოქმედება ან უმოქმედობაა და აღნიშნულის მიზანმიმართულების საგანი ყოველთვის არის მისი საზოგადოებრივად საშიში შედეგი როგორც ეგრეთ წოდებულ მატერიალურ დანაშაულობებში, ისე ფორმალურ დანაშაულობებში.

მაგრამ ამით არ ამოიწურება პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების უარყოფა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც ითქვა, თ. გ. შავგულიძე ავითარებს შეხედულებას, რომლის მიხედვით ნებელობით დანაშაულებრივ ქმედობათა გარდა არსებობს აგრეთვე დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც ცნობილია იმპულსურის სახელწოდებით და ამდენად, მოკლებულია ნებელობითს ხასიათს. ასეთ დანაშაულებრივ ქმედობათა რიცხვს თ. გ. შავგულიძე მიაკუთვნებს აფექტურ მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულობებს, აგრეთვე ისეთ დანაშაულთა უმრავლესობას, რომლებიც ჩადენილია ალკოჰოლის ზეგავლენით, ხულიგნური ქმედებრძნობით, სატრანსპორტო დანაშაულობებს, აგრეთვე დაუდევრობით ჩადენილ დანაშაულობებს[16].

ნებელობით მოქმედებისაგან განსხვავებით აფექტურ ქცევას თ. გ. შავგულიძე ახასიათებს, როგორც მოუფიქრებელს და უცაბედად ჩადენილ ქცევას. „ეჭვი არ არის, — წერს იგი, — რომ აფექტური ქცევა გაუცნობიერებელი ქცევაა, მაგრამ გამონაკლისს არ წარმოადგენს აფექტური დანაშაული. მოტივაციის, მოფიქრების, აწონ-დაწონის და სხვა ამგვარის გარეშე ხშირად სჩადიან დანაშაულს მთვრალ მდგომარეობაში, ჩხუბში, სექსუალური მოტივით და ა. შ."[17]. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს — ამტკიცებს იგი, — რომ ასეთი ქცევა ადამიანის კონტროლის ქვეშ აღ იმყოფება. იმპულსური ქცევა წარმოადგენს გაუცნობიერებელს, მაგრამ სუბიექტს მაინც შესწევს უნარი გააცნობიეროს იგი[18]. ამიტომ იმპულსური მოქმედების დროს პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ თ. გ. შავგულიძის შეხედულების მიხედვით, მას ჰქონდა შესაძლებლობა ჩაერთო ნებისყოფა მის ქცევაში. ამიტომ იგი ასკვნის, რომ „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს არა მარტო ნებელობითს ქცევასთან, არამედ ისეთ იმპულსურ ქცევასთან, როდესაც სუბიექტს შესწევს უნა-

---

[15] Советское уголовное право. Часть особенная, М., 1964, стр. 305.

[16] Т. Г. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973, стр. 20.

[17] იქვე, გვ. 83.

[18] იქვე, გვ. 14.

რი ჩართოს ნებისყოფა ქცევაში"[19], ამასთან ცნობს ასეთ დანაშაულთა სუბიექტურ მხარედ პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრას, რაც მოცემულია საფუძვლების მე-8 მუხლში.

მაგრამ ასეთ შეხედულებას ვერ ვიზიარებთ. მართალია, ადამიანის ნებელობითი მოქმედების გარდა არსებობს იმპულსური მოქმედებაც, რომელიც პირველისაგან განსხვავებით მოკლებულია გაცნობიერებას[21], მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იმპულსით გამოწვეული ადამიანის ზოგიერთი მოქმედება ნებელობითი არ იყოს. დადგენილია, რომ იმპულსური ქცევა თავისი სრული სახით გაჩენიათ მხოლოდ ცხოველებს და პატარა ბავშვებს. რაც შეეხება მოზრდილ ადამიანებს, რომელთა ნებისყოფა უკვე თავის როლს ასრულებს, იმპულსით გამოწვეული ყოველი მათი გაცნობიერებული მოქმედება მხოლოდ ნებელობითია. ის გარემოება, რომ აფექტურ დანაშაულებრივ ქმედობას საფუძვლად უდევს ძლიერი გრძნობა, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი მოქმედება არ არის ნებელობითი, რამდენადაც, როგორც ენგელსი აღნიშნავს, „ნებისყოფა განისაზღვრება ან ვნებათა ღელვით ან მოფიქრებით.[22] და შემდეგ იმისათვის, რათა ადამიანმა იმოქმედოს, მისმა „სამოქმედო მოტივმა მის თავში უნდა გაიაროს და მისი ნებისყოფის სტიმულად იქცეს, რათა მოქმედება გამოიწვიოს[23].

არც ის შეიძლება ჩაითვალოს სწორად, რომ რაკი აფექტურ დანაშაულებრივ ქმედობათა ჩადენა ხდება უცაბედად და წინასწარი სერიოზული მოფიქრების გარეშე, ამდენად თითქოსდა ასეთი დანაშაულებრივი ქმედობანი მოკლებული იყოს ნებელობითს ხასიათს, რამდენადაც საბჭოთა ფსიქოლოგიის მიხედვით ნებელობითი მოქმედება არსებობს, როგორც მარტივი, ისე რთული სახის. „ნებელობითი მოქმედება, — წერს ს. რუბინშტეინი — შეიძლება განხორციელდეს მეტად მარტივი და მეტად რთული ფორმებით. მარტივ ნებელობითს აქტში სწრაფვა მოქმედებისადმი, რომელიც ისახავს მეტ-ნაკლებად აშკარა გაცნობიერებულ მიზანს, თითქოს უშუალოდ გადადის მოქმედებაში წინასწარი რამდენადმე რთული და გრძელი შეგნებული პროცესის გარეშე, თვითონ მიზანი არ გამოდის უშუალო სიტუაციის ჟარგლებს გარეთ, მისი განხორციელება ხდება ჩვეული მოქმედებების საშუალებით, რომლებიც მიმდინარეობს თითქმის ავტომატურად, რაც მხოლოდ იმპულსით არის მოცემული. რთული ნებელობითი აქტისათვის მის ყველაზე უფრო მეტად გამოსახულ სპეციფიკურ ფორმაში არსებითია უწინარეს ყოვლისა ის, რომ იმპულსსა და მოქმედებას შორს იჭრება რთული შეგნებული პროცესი, რომელიც წარმართავს მოქმედებას"[24].

ფსიქოლოგიური ასპექტით ასევე გაიგება დანაშაულებრივი ქმედობაც, რომ ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენა ხდება უცაბედად, ხოლო ზოგიერთის — კი ხანგრძლივი მოფიქრების შემდეგ. ამაზე მეტყველებს უპირველესად უცაბედი და წინასწარ მოფიქრებული განზრახვის არსებობა განზრახ ჩადენილ დანაშაულობებში.

ის გარემოება, რომ აფექტური დანაშაულებრივი მოქმედებები მოკლებული არ არის მათს გაცნობიერებას და ამდენად ნებელობითს ბუნებას, მტკიცდება ამ დანაშაულთა სუბიექტური მხარის განსაზღვრით. როგორც ითქვა, ასეთ დანაშაულთა სუბიექტურ მხარეს, თ. გ. შავგულიძის შეხედულებით, წარმოადგენს მხოლოდ პირდაპირი განზრახვა, ხოლო პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრით კი ბრალის ამ სახეობით დანაშაულის ჩამდენ პირს ყოველთვის შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებს ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურს ასეთი შედეგების დადგომა, რასაც არ უარყოფს თ. გ. შავგულიძეც აფექტურ დანაშაულობათა სუბიექტური მხარის განსაზღვრისას. „აფექტის დროს, — წერს იგი, — ძნელი არ არის დავასაბუთოთ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის სურვილი, რადგან აფექტური ქცევა შეიძლება განხორციელდეს ამ შედეგისათვის. ასეთ შემთხვევაში თვალსაჩინოა დანაშაულებრივი მიზნის მიღწევის აშკარად გამოხატული სურვილი, და სწორედ ეს სურვილი გვევლინება ქცევის აქტიურობის წყაროდ. ამგვარად, აფექტურ დანაშაულში გვაქვს პირდაპირი განზრახვის ყველა ელემენტი"[25]. ხოლო თუ ეს ასეა, ნაშინ ბრალის ასეთი სა-

---

[19] იქვე, გვ. 23.

[20] იქვე, გვ. 91.

[21] См. С. Л. Рубинштейн. Основы общей психологии, М., 1946, стр. 544; რ. ნათაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1977, გვ. 549-550 და სხვ.

[22] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბილისი, 1950, გვ. 470.

[23] იქვე, გვ. 474—475.

[24] С. Л. Рубинштейн. Основы общей психологии. М., 1946, стр. 512—513.

[25] Т. Г. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973, стр. 91.

ხელობის გამო აფექტური დანაშაულებრივი მოქმედებები არ შეიძლება არ იყოს ნებელობით ხასიათის მოქმედებები. „სწორია მტკიცება, — წერს ნ. დურმანოვი რეცენზიაში აღნიშნულ წიგნზე, — რომ განზრახ დანაშაულობათა დროს, რომლებიც ჩადენილია აფექტის მდგომარეობაში, დამნაშავე ითვალისწინებს თავის მოქმედებათა შედეგებს და სურს მათი დადგომა. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, ნიშნავს, რომ თუ მოქმედება გაცნობიერებულია, იგი ნებელობითია. აფექტის ხანმოკლეობა არ გამორიცხავს მოტივაციას, მოქმედებათა გაცნობიერებას, მათ ნებელობითს ხასიათს. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც განპირობებულია აფექტით, ასეთი მოქმედებები შეიძლება ვაღიაროთ ნებელობით მოქმედებად“[26],

ის გარემოებაც, რომ აფექტური დანაშაულებრივი მოქმედება თითქოსდა მოკლებულია გაცნობიერებას, ეწინააღმდეგება ამ მოქმედების ჩამდენ პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხს. მართლაცდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ აფექტური მოქმედების დროს პირს არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისი მოქმედება, რაც მისი ბიზეზით არ ყოფილა გამოწვეული, მაშინ ის არც უნდა დაისაჯოს ჩადენილი მოქმედებისათვის. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ მართალია პირს არ ჰქონდა გაცნობიერებული თავისი მოქმედება, მაგრამ იგი პასუხს აგებს იმისათვის, რომ ჰქონდა შესაძლებლობა ჩაერთო ნებისყოფა ამ მოქმედებაში, არ არის სწორი, რამდენადაც გაცნობიერების გარეშე ნებისყოფის გამოყენება ყოვლად შეუძლებელია.

გარდა ამისა, ქმედობაში ნებისყოფის ჩართვის შესაძლებლობით პირის პასუხისმგებლობის დადგენა მაინც არ შეიძლება, რადგან პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ რეალური ნებისთვის, რაც მან დანაშაულის ჩადენის დროს გამოავლინა „კანონით გათვალისწინებული შედეგისადმი. „...ადამიანი, — წერს ფ. ენგელსი, — მხოლოდ იმ შემთხვევაშია მთლიანად პასუხისმგებელი თავისი მოქმედებისათვის, თუ ეს მოქმედება მან სრულიად თავისუფალი ნებისყოფით ჩაიდინა“[27].

ავითარებს რა ზემოაღნიშნულ შეხედულებას, თ. გ. შავგულიძე ეყრდნობა დ. უზნაძის განწყობის თეორიას.[28] მაგრამ დ. უზნაძის განწყობის თეორია სრულებით არ მეტყველებს თ. გ. შავგულიძის აღნიშნული შეხედულების სასარგებლოდ. „ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებას, — წერს დ. უზნაძე, — რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება ცხოველისაგან, ის გარემოება შეადგენს, რომ წამყვან როლს მის ცხოვრებაში ცნობიერება ასრულებს, იგი აქტუალური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას არ ემორჩილება, როგორც ამას ცხოველის შემთხვევაში აქვს ადგილი. იგი წინასწარ აცნობიერებს თავის ქცევას და ამა თუ იმ აქტს მხოლოდ იმის მიხედვით მიმართავს, თუ რას მიიღებს ამ გაცნობიერების შედეგად“.[29]

ამიტომ ჩვენი აზრით, აფექტურ დანაშაულობათა დროს პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმისათვის, რომ იგი, აცნობიერებდა რა თავის საპასუხო მოქმედებას გამაღიზიანებელთა მიმართ, ვალდებული იყო და შეეძლო შეეკავებია თავი და არ ჩაედინა დანაშაული. სავსებით სწორია თ. ვ. წერეთელი, როდესაც წერს: „რამდენადაც ნებელობითი ქცევის უნარის წყალობით ადამიანს შეუძლია დაუსხლტეს უშუალო სიტუაციის იმპულსთა ზეგავლენას და თავისი მოქმედება საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმათა მოთხოვნებს დაუმორჩილოს, ამდენად სისლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაკავშირებულ იქნეს სწორედ ადამიანის ნებელობითს ქცევასთან. პირიქით, სისხლის სამართალმა არ შეიძლება მხედველობაში მიიღოს ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის ნებისყოფის გამოვლინებას არ წარმოადგენს“.[30]

აღნიშნულ გარემოებათა გამო ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ, მართალია, აფექტურ დანაშაულებრივ ქმედობებს საფუძვლად უდევს იმპულსი, მაგრამ ვინაიდან პირის მიერ ჩადენილი ქმედობა გაივლის მის ცნობიერებაში და მას ნებისყოფის ბეჭედი ესმება, ამდენად ასეთი დანაშაულებრივი ქმედობა ყოველთვის ნებელობითია, რომელსაც საფუძვლად უდევს განსაზღვრული მოტივი (ბრძნობა) და მიმართულია გარკვეული მიზნის მისაღწევად. ამდენად შეხედულება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მთელ რიგ შემთხვევებში დაკავშირებულია იმპულსურ

---

[26] Н. Дурманов — Т. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность. «Социалистическая законность», 1975, № 11, стр. 94.

[27] К. Маркс, Ф. Энгельс, соч., т. 21, изд. второе, стр. 82.

[28] Т. Г. Шавгулидзе. Аффект и уголовная ответственность, Тбилиси, 1973, стр. 12.

[29] დ. უზნაძე. შრომები III-IV, თბილისი, 1964, გვ. 92-93.

[30] თ. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი. თბილისი, 1966, გვ. 17; იხ. აგრეთვე Б. С. Волков. Проблема воли и уголовная ответственность. Казань, 1965, стр. 10; Б. З. Харазишвили. Вопросы мотива поведения преступника в советском праве. Тбилиси, 1963, стр. 9. и др.

მოქმედებასთან, რომელიც გაუცნობიერებელი მოქმედებაა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ასევე ითქმის აგრეთვე ალკოჰოლის ზეგავლენით და ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ ისეთ დანაშაულობებზეც, რომელთა სუბიექტური მხარე პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვაა. რაც შეეხება ძლიერ სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულს, რომლის დროს დამნაშავე მართლაც ვერ აცნობიერებს, თუ რა ზიანს აყენებს იგი კანონით დაცულ ობიექტს და არც ახსოვს არაფერი, ეს საკითხი, ჩვენი აზრით, შედარებით სხვანაირად უნდა იქნეს გაგებული.

როგორც ცნობილია, ძლიერი სიმთვრალის დროს, როდესაც დანაშაულებრივი შედეგების დადგომა გაუცნობიერებელია, პირი „მოქმედებს" ცნობიერების ყოველგვარი კონტროლის გარეშე ისე, როგორც ამას უკარნახებს შექმნილი სიტუაცია. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რაში უნდა ვცნოთ პირი დამნაშავედ ასეთ დროს? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა შეეძლო ამ მომენტში გაეკეთებინა პირს და რა არ გააკეთა, რომ აეცდინა დანაშაულებრივი შედეგების დადგომა?

დადგენილია, რომ დამნაშავე პირი ასეთ დროს მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას შეგნებულად თავი დააღწიოს დანაშაულებრივი შედეგების დადგომას. მოცემულ მომენტში მას არათუ არ გააჩნია ნებისყოფა, არამედ არ არსებობს ამ ნებისყოფის გამოვლენის რაიმე შესაძლებლობაც კი. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ამ მდგომარეობაში დანაშაულის ჩამდენ პირებს უკვირთ, თუ რატომ ცნობენ მათ დამნაშავედ მაშინ, როდესაც ისინი ძლიერ მთვრალები იყვნენ და არაფერი არ ახსოვთ თუ რა ჩაიდინეს. მაგრამ ასეთ პირებს ზოგჯერ დამაჯერებლად განუმარტავენ, რომ მათი დანაშაულია ალკოჰოლიანი სასმელების ზომაზე მეტად მიღება, რამაც ისინი საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომამდე მიიყვანა. ამ განმარტებაში მთელი სიმართლეა მოცემული.

როგორც ცნობილია, ყოველი პირი ვალდებულია დაიცვას წინდახედულების წესები არა მარტო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიც. ხოლო თუ პირმა დაარღვია ეს წესები და მას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოჰყვა, მაშინ იგი პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილი ქმედობისათვის. წინდახედულების წესების დარღვეის ერთ-ერთი სახეობაა ალკოჰოლიანი სასმელების მიღება ან მათი გადაჭარბებით მიღება. ალკოჰოლიანი სასმელების მიღება, რა ზომითაც არ უნდა იყოს, ეკრძალებათ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს, ხოლო მათი გადაჭარბებით მიღება კი—ყოველ მოქალაქეს, მაგრამ როგორც ზოგიერთი მძღოლი, ისე მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა არ იცავს ამ წესებს, გადაჭარბებით სვამს ალკოჰოლიან სასმელებს, რის შედეგადაც კარგავს ცნობიერებას და ამით საფრთხეში აყენებს თავის თავსაც და სხვებსაც.

პირმა, რომელიც გადაჭარბებით სვამს, თავისი გამოცდილებით ბევრ შემთხვევაში არ შეიძლება არ იცოდეს, რომ მის ამ ქმედობას შესაძლებელია მოჰყვეს ან უნდა მოჰყვეს ცნობიერების დაკარგვა და აღნიშნულის საფუძველზე რაიმე დანაშაულებრივი თუ სხვა არასასურველი შედეგების დადგომა. მაგრამ პირი ისეა გატაცებული სმით, რომ ასეთ შედეგთა დადგომის შესაძლებლობას ან გარდაუვალობას იგი შეგნებულად უშვებს, ანდა ვარაუდობს, რომ ასეთი შედეგები არ დადგება ან კიდევ არ ითვალისწინებს მათი დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებია ისინი.

ამრიგად ძლიერი სიმთვრალის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა ყოველთვის ნებელობითია, იგი იწყება ალკოჰოლიანი სასმელების გადაჭარბებით მიღების მომენტიდან და მთავრდება ცნობიერების დაკარგვით და კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომით. ასეთ ქმედობას ყოველთვის უდევს საფუძვლად გარკვეული მოტივი, მიმართული გარკვეული მიზნისაკენ და, ამდენად, წარმოადგენს დამნაშავის სავსებით შეგნებულ აქტს. ხოლო, რომ ეს ასეა, ეს მტკიცდება ასეთ პირთა პასუხისმგებლობითაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

როგორც ითქვა, კანონით დაცული ობიექტისადმი ზიანის მიყენების მომენტში აღნიშნული პირები, ცნობიერების უქონლობის გამო, ფაქტობრივად მოკლებული არიან შესაძლებლობას შეგნებულად აღკვეთონ ამ შედეგთა დადგომა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ფაქტს სხვა გარემოებისაგან იზოლირებულად განვიხილავთ, მაშინ აღნიშნული ზიანის მიმყენებელი პირები არ უნდა დაგვესაჯა სისხლის სამართლის წესით. მაგრამ პირის ბრალი აქ იმით გამოიხატება, რომ მოცემულ მომენტში მისი ეს შეუძლებლობა ცნობიერების დაკარგვამდე ალკოჰოლიანი სასმელების გადაჭარბებით მიღების შედეგი იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს შეუძლებლობა მისი ბრა-

ლით იყო გამოწვეული[31]. ხოლო თუ დადგინდება რომ ეს მისი ბრალით არ ყოფილა გამოწვეული (მაგალითად, პირს მოტყუებით მისცეს ისეთი ძალის მოქმედი შხამი, რომელმაც იგი ცნობიერების დაკარგვამდე და საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომამდე მიიყვანა), მაშინ ასეთი პირი უნდა განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მიუხედავად დამდგარი შედეგისა.

ასეთია, ჩვენი აზრით, ძლიერ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების გაგება საბჭოთა სისხლის სამართალში, რომლის სუბიექტურ მხარეს როგორც განზრახვა, ისე გაუფრთხილებლობა წარმოადგენს.

ამრიგად, პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა ყოველთვის ნებელობითია, მას საფუძვლად უდევს გარკვეული მოტივი, მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ და შეიცავს ნებელობითი მოქმედების ყველა იმ დამახასიათებელ ნიშანს, რომლებიც მოცემულია საბჭოთა ფსიქოლოგიის მიერ.

---

[31] სწორად მსჯელობს ამ მიმართებით ო. ვ. წერეთელი. იგი წერს: „შეგნებული ქცევის ძალებობა არ გამოირიცხება იმ შემთხვევებში, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია actio libera in causa სახელწოდებით. ამ უკანასკნელთა არსი გამოიხატება იმაში, რომ თუმცა მაგნე შედეგის მიყენების მომენტში პირი იმყოფება უგონო მდგომარეობაში, მაგრამ ეს მდგომარეობა გამოწვეულია თითონ ქმედი პირის ბრალით“
Причинная связь в уголовном праве, М., 1963, стр. 16; См. также М. М. Исаев. Вопросы уголовного права и уголовного процесса в Судебной практике Верховного Суда СССР, М., 1948, стр. 76.

განწყობა დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში

ალ. ჟღენტი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ქცევა ცოცხალი არსების აქტივობის რთული სტრუქტურული მთლიანობაა, რომელიც არსებული თუ მოსალოდნელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. ქცევა ყოველთვის მოთხოვნილების ნიადაგზე აღმოცენდება, იგი მისი პროდუქტია. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, სათანადო სიტუაციაში, სუბიექტი სამოქმედოდ განეწყობა. ასახვის ამ სპეციფიკურ ფორმას დ. უზნაძე განწყობას უწოდებს და მას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ქცევის ორგანიზაციასა და წარმართვაში.

ნებელობითი ქცევა დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის, როგორც სოციალური არსებისათვის. ნებელობითი ქცევა არის ჩანაფიქრის შეგნებული, მიზანდასახული, გეგმიური განხორციელება, რომლის დროსაც იმპულსები შეგნებულ კონტროლს ექვემდებარება.

ადამიანის ქცევა საზოგადობერივად საშიშია, დანაშაულებრივია მხოლოდ მაშინ, უკე თუ იგი შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რაიმე დასჯად ქმედობას ე. ი. შეიძლება ადამიანმა თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სათანადო სიტუაციის არსებობისას ქცევის ისეთი კონკრეტული ფორმა აირჩიოს, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ სსხლისსამართლებრივ ნორმებს.

დანაშაულებრივი შეიძლება იყოს არა თვით მოთხოვნილება (მაგალითად, მანქანის ან ხელოვნების ნიმუშის შეძენა ოჯახის საჭიროებისათვის და ა. შ.), არამედ ქცევა (ქმედობა), რომელსაც სუბიექტი ახორციელებს ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, (მიმართავს სპეკულაციას, მოტყუებას, ფალსიფიკაციას და სხვ.).

ქცევის მოტივის განსაზღვრისას ადამიანი მიუთითებს იმ ღირებულებებზე, რომლის მიღწევასაც ცდილობს ამ ქცევის შედეგად. თეორიული გააზრების ანუ ობიექტივაციის თითოეული აქტის დროს ადამიანი იმეცნებს ამ ღირებულებებს და საკუთარ „მე"-ს. დამნაშავე ხშირად შინაგანად ებრძვის კიდეც მიუღებელ საკუთარ ტენდენციებს, მაგრამ არ ძალუძს მათი დაძლევა (უკე თუ იგი ასეთს დაძლევს, დანაშაულსაც აღარ ჩაიდენს). ამდენად, დანაშაულთან ბრძოლაში, სხვა საშუალებებთან ერთად, მნიშვნელოვანი ეტაპია დამნაშავის ფსიქოლოგიური ბრძოლა საკუთარ თავთან.

დანაშაულებრივი ქცევა, ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა) ყოველთვის გულისხმობს, ოვალისწინებდა თუ არა სუბიექტი ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, შეეძლო თუ არა გაეთვალისწინებინა ეს შედეგი. თ. წერეთელი სწორად მიუთითებს, „რომ... მოქმედების ფსიქოლოგიური ცნება არ შეიცავს სამართლებრივი შეფასების მომენტს; მოქმედება ფსიქოლოგიური მნიშვნელობით შეიძლება იყოს იურიდიული თვალსაზრისით მართლზომიერიც და მართლსაწინააღმდეგოც, ბრალეულიც და უბრალოც. ამიტომ მოქმედებას ცნების განსაზღვრაში არ შეიძლება შეტანილ იქნას პირის წარმოდგენათა ხასიათი და შინაარსი, რომელსაც, პირიქით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ბრალისათვის"[1]. როცა მოქმედება ბრალეულია, ასეთი ქცევის განწყობა. აქტივობის პირველ (იმპულსურ) საფეხურზე ვერ ჩამოყალიბდება, იგი მხოლოდ თეორიული აზროვნების (ობიექტივაციის) პლანშია შესაძლებელი.

ა) ობიექტივაცია. დ. ნ უზნაძის მიხედვით, ადამიანისათვის სპეციფიკური ქცევის განწყობა ყალიბდება აქტივობის მეორე დონეზე — ობიექტივაციის პლანში, თეორიული მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის ნიადაგზე. ამ დონეზე ცნობიერება ჩნდება იქ, სადაც იგი უცხო და უჩვეულო სიტუაციის თავისებურებათა გარკვევისათვის აუცილებელი ხდება. ამ დროს პრაქტიკული ქცევის განწყობა გზას უთმობს თეორიული ქცევის განწყობას. ობიექტურ პლანში გარკვეული სიტუაცია შემდეგ ხშირად განწყობის მდგომარეობაში გადადის და იქიდან არაცნობიერად საფუძვლად ედება აქტიურობას. განწყობის შესაძლებლობა და მოცულობა ცნობიერებაზე გაცილებით დიდია. განწყობაში შეიძლება ერთბაშად დინამიკურ ფორმაში იყოს ასახული მოთხოვნი-

---

[1] თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, 1, ობ., 1969 წ. გვ. 131.

ლება, მისი დაკმაყოფილების სიტუაცია, შესატყვისი აქტიურობისათვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება და ძირითადი მომენტები ქცევისა, რომელიც უნდა განხორციელდეს.

„ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენები ქმნიან ერთ მთლიან სტრუქტურას, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ სულიერ ცხოვრებას ედება საფუძვლად“2.

„განწყობა ყოველთვის ობიექტური ვითარების ზემოქმედების შედეგად ჩნდება და ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელშიაც თვითონ მისი გამომწვევი ობიექტური ვითარებაა ასახული. განწყობა, მაშასადამე, წმინდა სუბიექტური მდგომარეობა კი არ არის, იგი ობიექტური ვითარების სუბიექტში გადატანაა, იგი, ასე ვთქვათ, სუბიექტში გადასული ობიექტური ვითარებაა“3.

დ. უზნაძის აზრით, ცნობიერების შინაარსები განწყობის ნიადაგზე ჩნდება და ვითარდება, მაგრამ თვითონ განწყობა არასოდეს არ იქცევა ცნობიერების შინაარსად მისი პირდაპირი და უშუალო ხედვის საგნად.

სპეციფიკურ-ადამიანური ქცევის განწყობა, რომელიც ობიექტივაციის პლანში ინტელექტუალური ძიების (თეორიული მოთხოვნილების საფუძველზე) გზით მოპოვებული სიტუაციური გეგმის ნიადაგზე ვითარდება, თვითონვე წარმართავს ამ გეგმის შემუშავებისათვის შინაგან აქტიურობას. „ამ განწყობას უფრო ხშირად საფუძვლად ედება, ერთი მხრივ, მოთხოვნილება, რომლის ღაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის გეგმა დგება, ხოლო მეორე მხრივ — ის ცოდნა-გამოცდილება, რომელსაც ქცევის სუბიექტი ფლობს და ახალ ცოდნას, საჭიროების შემთხვევაში, გეგმის შედგენასთან დაკავშირებით, დამატებით იძენს სხვადასხვა გზით“4. პიროვნების მიერ ობიექტივაციის დონეზე ქცევის დაგეგმვა, მოცემული სიტუაციის სტრუქტურული თავისებურებების გაცნობიერება, ქცევის მიზნისა და საშუალების მოტივის გააზრება, მათი ღირებულების განსაზღვრა და გადაწყვეტილების ფენომენი, რომელიც ცნობიერების ამ პროცესის შემდეგ იჩენს თავს, არის განწყობის მიერ ნაწარმოები მოვლენები. თეორიული ქცევის განწყობა ნებელობის მეშვეობით პრაქტიკული ქცევის განწყობად იქცევა და პრაქტიკული ქცევის განხორციელებით მთავრდება. დ. უზნაძის მიხედვით, პიროვნების დონეზე (ობიექტივაცია) მიმდინარე ქცევის განწყობის ფორმირების საქმეში მონაწილეობენ: მაღალი სოციალური ბუნების მოთხოვნილებები, ობიექტივაციის აქტზე დაფუძნებული ცნობიერება და ნებელობა.

იმის გამო, რომ „ცნობიერების ფენომენიდან პირდაპირ ქცევის აქტზე გადასვლა შეუძლებელია, განწყობა ისაა, რაც ქცევის აქტებს — შინაგანსა და გარეგანსაც აწარმოებს. „განწყობა არის ის „შინაგანი“, რომლის მეშვეობითაც „გარეგანი“ მოქმედებს და ქცევის მიმდინარეობის თავისებურებებს განსაზღვრავს“5.

ერთი მხრივ, ობიექტივაციისა და მის ნიადაგზე აღმოცენებულ ფსიქიკურ აქტივობასა და, მეორე მხრივ, განწყობის მოქმედებას შორის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით ყოველი ფსიქიკური პროცესი გამოდის ერთსა და იმავე დროს, როგორც ყოფიერების ასახვა და როგორც ქცევის რეგულაციის რგოლი.6 ცნობიერების მიერ შემუშავებული ქცევის გეგმა რომ მოქმედ ძალად იქცეს, აუცილებელია ცნობიერებიდან განწყობაში გადავიდეს. მთელი სიტუაციური გეგმის გაცნობიერება ყოველთვის არ ხერხდება. ასეთებს განწყობა პირდაპირ — გაცნობიერების გარეშე ჩაირთავს. „ასე, რომ, ქცევის მოქმედი გეგმა ყოველთვის ერთობლივ ცნობიერ და არაცნობიერ აქტივობათა შედეგადაა შემუშავებული: იგი გაცილებით სრულყოფილია იმაზე, რაც ცნობიერებაშია მოცემული“7.

ამრიგად, დ. უზნაძის თანახმად, განწყობა, როგორც ქცევის სუბიექტის მოდუსი, არის ქცევის მიმდინარეობის თავისებურების განმსაზღვრელი და წარმმართველი. აქედან — აუცილებელი დასკვნა, რომ დანაშაულებრივ ქცევასაც განწყობა უდევს საფუძვლად, იგი ფორმირდება აქტიურობის მეორე დონეზე — ობიექტივაციის დონეზე. მის ორგანიზაციაში გადამწყვეტია აზროვნება და ნებისყოფა — ფსიქიკური მოვლენები, რაც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს. დანაშაულებ-

---

2 შ. ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975 წ. გვ. 174.

3 დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ; 1940 წ. გვ. 73.

4 შ. ჩხარტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 88.

5 შ. ჩხარტიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51. და მისივე, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974, გვ. 40.

6 А. С. Прангишвили, Исследования по психологии установки, Тб., 1967, стр. 73.

7 შ. ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, გვ. 91.

რავი ქცევა თეორიული გააზრებით (ობიექტივაციით) იწყება. აქ, თეორიული მოთხოვნილება საფუძვლად ედება სიტუაციური გეგმის შემუშავებას და სრულიად ახალი ტიპის, მიმართულების (და არა თვისობრივად განსხვავებული, როგორც ზოგიერთ ავტორს მიაჩნია) განწყობის — **თეორიული განწყობის)** აღმოცენებას. ამ განწყობის ნებელობა აძლევს ძალას და აქცევს **პრაქტიკული მოქმედების განწყობად,** რაც პრაქტიკული (დანაშაულებრივი) ქცევით მთავრდება. ყოველი ქცევა (მათ შორის დანაშაულებრივი), რომელიც ადამიანის მიერ სრულდება, მოიცავს როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ მოქმედებასაც. განვითარების ადამიანურ დონეზე არ არსებობს ისეთი ქცევა, რომლის განხორციელებაც მხოლოდ პრაქტიკული ან მხოლოდ თეორიული ქცევის აქტების გზით ხდის შესაძლებელი. მათ ერთი საერთო განწყობა უდევთ საფუძვლად. განწყობა თვითონ მის მიერვე აღძრული შემეცნების აქტებით არკვევს და ასახავს თავის თავში ქცევის სიტუაციის თავისებურებას ამა თუ იმ უბანზე, და ამის საფუძველზე აპროგრამებს და ახორციელებს ქცევის პრაქტიკულ აქტებს, რასაც სუბიექტი მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე მიჰყავს. ამდენად, როცა პიროვნებას კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზაზე ხვდება რაიმე დაბრკოლება, პრობლემატური ან კონფლიქტური სიტუაცია, ან პირი დანაშაულებრივი ქცევის სამოქმედო გეგმას ადგენს, მიმართავს ობიექტივაციას, **აცნობიერებს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესს, ე. ი. იდეურ პლანში განიხილავს იმას, რაც პრაქტიკულად უნდა განახორციელოს. ხდება ყველა იმ მოვლენის, სუბიექტური და ობიექტური ხასიათის ფაქტორების გაცნობიერება, რომელთა ურთიერთმოქმედების შედეგადაც ყალიბდება ნებისმიერი ქცევის მიზანი, მოტივი, გადაწყვეტილება.**

აქ დიდ როლს ასრულებს ლოგიკური აზროვნება, რაც უშუალო კავშირშია ობიექტივაციის აქტთან. სინამდვილის სწორი ასახვა და გადამუშავება ხდება აზროვნების პროცესში სრულყოფილი ობიექტივაციის საშუალებით; როცა ასეთი შეფერხებულია, არ არის გამორიცხული მოვლენათა არასწორი შეფასება (გაგება), არასწორი ლოგიკური აზროვნებისას, „განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არსებობს მისი ძირითადი პირობა — ნამდვილი დასრულებული ობიექტივაცია“[8].

ბ) მოტივაცია. სწორედ სრულყოფილი ობიექტივაციით, ლოგიკური აზროვნებით ხდება დანაშაულებრივი ქცევის მოტივის ძიება, მოტივაცია; „...მასში სუბიექტური ფაქტორების გარდა, მონაწილეობენ მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური ფაქტორები. მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მრავალმხრივი შეპირისპირებისა და ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოიშობა ამა თუ იმ მოქმედების მოტივი“.[9] ობიექტივაციის დონეზე, როდესაც მოთხოვნილება გაცნობიერდება, სუბიექტის წინაშე აუცილებლად დგება კითხვები: დაკმაყოფილოს თუ არა იგი, რა გზები და საშუალებები შეარჩიოს მისი დაკმაყოფილებისათვის. მოტივაციის პროცესი სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესია. „მოტივაცია ეს არის სუბიექტის მიერ მისი მოთხოვნილების განსჯა მოცემულ სიტუაციაში“[10].

დ. უზნაძე განმარტავს, რომ ნებელობისას, აზროვნების საშუალებით (ინტელექტუალური პროცესი) ჯერ დგინდება მიზანშეწონილი ქცევა, შემდეგ მიმდინარეობის მოტივაციის პროცესი და, ბოლოს, გადაწყვეტის აქტი[11]. **მოტივაციის აზრი ის არის, რომ იგი ეძებს და პოულობს პიროვნების ძირითადი, ცხოვრებით განმტკიცებული, განწყობის შესაფერის მოქმედებას**[12]. დ. უზნაძის აზრით, ზოგი ადამიანისათვის უმაღლეს მოთხოვნილებას აქვს სტიმულის მიმცემი ძალა, ზოგისათვის ვიტალურ მოთხოვნილებას. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თითოეულის წარსულს — ე. ი. სიტუაციას, რომელშიც იგი ჩამოყალიბდა, და როგორი ფიქსირებული განწყობა აქვს შექმნილი. ადამიანის პიროვნებას განსაკუთრებით ეს განწყობები ქმნიან. მათი მიზეზით ზოგისათვის მოთხოვნილებათა ერთი სისტემაა ენერგიის წყარო, ზოგისათვის მეორე. **გადაწყვეტის დროს პირს უჩნდება განცდა: „მე ნამდვილად მინდა“ და განწყობაც ნებას რთავს მოქმედებას, გადაწყვეტილების შესრულებას.**

მოტივის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების მთელი ეს პროცესი აისახება სუბიექტის განწყობაში, რომელიც თვითონ წარმართავს ამ პროცესს. სასურველი ქცევის პოვნა ჯერ კი-

---

[8] Д. Н. Узнадзе, Экспериментальные основы психологии установки, Тб., 1961 г. стр. 199.

[9] დ. კიკნაძე, ადამიანის მოქმედების საკითხისათვის. თბ., 1971, გვ. 7.

[10] იქვე, გვ. 118, 121.

[11] დ. უზნაძე, შრომები, 3-4, 1964, გვ. 207.

[12] იქვე, გვ. 215-216.

დევ არ არის გარანტია, რომ განხორციელდება ნებისმიერი აქტი. საამისოდ საჭიროა სასურველსა ღა მისაღებს მიენიჭოს აქტიური ძალა, გადაიქცეს იგი რეალურ ქცევად. სწორად ამაში იჩენს თავს პიროვნება. სწორედ სპეციფიკური ფსიქიკური აქტიურობის მეშვეობით პიროვნება მისაღებ ქცევას გადააქცევს რეალობად, ხოლო მიუღებელს — უარყოფს. დ. უზნაძის თანახმად, პიროვნებისათვის მიუღებელ ქცევად ჩაითვლება ისეთი, რომელიც ეწინააღმდეგება მის უმაღლეს მოთხოვნილებებს. **არსებითად ამით განსხვავდება პიროვნებისაგან, დამნაშავე პირი, დანაშაულის სუბიექტი, რომელიც პირიქით, საზოგადოებრივად, სამართლებრივად უარყოფილ ქცევას აქცევს მისთვის მისაღებად, ხოლო სოციალურად მისაღებს, დადგენილს, სასარგებლოს — უარყოფს.**

ნებისმიერი ქცევის პროცესში განასხვავებენ სამ პერიოდს. პირველია, ობიექტივაციის, მოდიფიკრების პროცესი, რომლის დროსაც ხდება საჭირო ქცევის და აგრეთვე მისი შესაბამისი მოტივის შერჩევა, ძიება. ამ პერიოდს ხშირად მოტივთა ფაქტორების ურთიერთშოლის ბრძოლის პერიოდს უწოდებენ. მეორეა გადაწყვეტილების მიღება, ანუ ქცევისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს. მესამეა გადაწყვეტილების შესრულების პერიოდი. ნებისყოფის სპეციფიკურობა გადაწყვეტილების აქტის მიღებაში მდგომარეობს.

ნებელობით პროცესებში ჩართული ინტელექტუალური აქტივობა ხორციელდება სწორედ თეორიული განწყობის საფუძველზე. სწორად გადაწყვეტის შემდეგ, მთლიანი ნებისმიერი პროცესის ინტელექტუალური ამოცანა შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს და ნებისყოფის მეშვეობით იგი პრაქტიკული ქცევის განწყობასა და მოქმედებაში გადავიდეს, რომლის შესრულებაც უკვე აღარავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. „ასეთი განწყობის სუბიექტური ფაქტორია „მე"-ს მოთხოვნილება, ობიექტური კი ის წარმოსახული სიტუაცია, რომელშიც უნდა განხორციელდეს ნებისმიერი ქცევა"[13]. ამდენად, განწყობა (არაცნობიერი) და ობიექტივაცია, მოტივაცია (ცნობიერი) პროცესები, ქცევის ორგანიზაციასა და წარმართვაში ურთიერთს ავსებენ;

როგორც დ. უზნაძე მიუთითებს, პიროვნება სოციალური ქცევისათვის საჭირო განწყობის შექმნისას იყენებს პიროვნულ, სოციალურ მოთხოვნილებებსა და აზროვნება-წარმოდგენის უნარს, რომელთა მეშვეობითაც იგი წარმოსახავს იმ სიტუაციას, სადაც შეიძლება განხორციელდეს საჭირო სოციალური ქცევა.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს მოტივი — ეს არის პიროვნების განწყობის ფორმა[14]. ვერც იმ მოსაზრებას, თითქოს დანაშაულებრივი ქმედობის მოტივია სინამდვილეში არსებული და ადამიანის ცნობიერებაში ასახული ან ადამიანის წარმოდგენით შექმნილი მოთხოვნილება[15].

თუ პირველ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ შეიძლება განწყობის გაცნობიერება, რომ განწყობა — ეს არის ცნობიერი ფენომენი, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფორმა მოტივის სახით და შესაბამისი შინაარსი. ეს კი ეწინააღმდეგება დ. უზნაძის ფუნდამენტურ დებულებას იმის შესახებ, რომ განწყობა არ არის ცნობიერების ფენომენი, იგი არ გვეძლევა რაიმე გარკვეული, განცდადი, კერძოული ფსიქიკური შინაარსის სახით. იგი ცნობიერებაში მოცემულობის გარეშე მოქმედებს. განწყობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ცნობიერების შინაარსად, ვინაიდან იგი სუბიექტის მთლიანი მდგომარეობაა და არა მისი ერთ-ერთი რომელიმე ორგანოს თვისება. განწყობა ეს არის „სინამდვილის თავისებური ასახვის ახალი სფერო", რომელიც წარმართავს ცნობიერების მიმართულებას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ამასთან, გარემო პირობებთან განწყობის მიმართება განისაზღვრება მოთხოვნილებით. ჩვენ ვიცით, რომ ქცევა —ეს არის ადამიანის აქტივობის რთული სტრუქტურული მთლიანობა, რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს ემსახურება. **ქცევის ხასიათს განსაზღვრავს გარე სინამდვილის ზემოქმედება, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ „სუბიექტის ქცევის განწყობის შუალობით".** ამიტომ ვამბობთ, რომ ქცევის ცალკე აქტები, მთელი ფსიქიკური ცხოვრება, მათ შორის მოტივიც, მეორადი წარმოშობის მოვლენებია. ცხადია, მეორადი წარმოშობის მოვლენა არ შეიძლება იყოს იმის ფორმა, რაც მის არსებობას განაპირობებს.

განწყობა, მაროალია, შეიძლება იყოს ცნობიერების ობიექტი, მისი შინაარსი, წინააღმდეგ შემთხვევაში არც არაფერი გვეცოდინება მასზე, მაგრამ იგი ჩვენი ცნობიერების შინაარსი ხდება

---

[13] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია; გვ. 172.

[14] В. Звирбуль и друг., Выявление причин преступления и принятие предупредительных мер по уголовному делу. М., 1967, стр. 8.

[15] В. Н. Кудрявцев, Социальная обусловленность преступного поведения и роль биологических факторов, «Социалистическая законность», 1967, № 6, стр. 49.

არა როგორც რეალური, დროითა და ადგილით კონკრეტულად განსაზღვრული ცნობიერების ფაქტი, არამედ როგორც კატეგორია, როგორც ცნება. განწყობა ყოველთვის გვეძლევა შუალობითი გზით, კერძოდ, აზროვნების მეშვეობით. ჩვენ მას ვერც ვხედავთ და ვერც განვიცდით, ჩვენ მხოლოდ აზროვნების მოვლენათა თავისებურებების გათვალისწინებით ვასკვნით მის არსებობას. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განწყობა ეს არის ცნობიერების გარე პროცესი, რომელიც ისე განსაზღვრავს ცნობიერების მოვლენათა მთელ მსვლელობას, რომ თვითონ არასდროს არ შედის ცნობიერების სფეროში და არ ხდება მისი უშუალო ჭვრეტის საგანი. მას, ბუნების მოვლენების მსგავსად, შეიძლება ჩავწვდეთ მხოლოდ ლოგიკური აზროვნებით. ასე რომ არ იყოს, განწყობა არც იქნებოდა ცნობიერების შინაარსის განმსაზღვრელი ცნება. ამის შემდეგ მოტივის გამოცხადება პიროვნების განწყობის ფორმად, უხერხულიც კია. ვინც ამას ამტკიცებს, ცხადია, მას ვერ გაუგია დ. უზნაძის განწყობის თეორია.

ასევე მცდარია მოსაზრება, რომელიც მოტივს მოთხოვნილებასთან აიგივებს და დანაშაულებრივი ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილება ამ დანაშაულის მოტივად მიაჩნია. მოთხოვნილება პირველადია, მოტივი — წარმოებული, მეორადი. **მოთხოვნილება არის სუბიექტის რაიმე საჭიროების განცდის მდგომარეობა, ხოლო მოტივი არის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ან არადაკმაყოფილების შესატყვისი მოქმედების დასაბუთება-გამართლება.**

მოტივი გვიჩვენებს, თუ რატომ მოიქცა პიროვნება ასედა არა სხვანაირად, რით ხელმძღვანელობდა ამ დროს; ხოლო მიზანია ის, რისკენაც იგი მიისწრაფვის. როგორც მოტივი, ისე მიზანი ყოველთვის გაცნობიერებულია. ყოველგვარ ქცევას (რა თქმა უნდა პიროვნების დონეზე) განსაზღვრული მოტივები და მიზნები უდევს საფუძვლად. ისინი კონკრეტდებიან ქცევის ხასიათის მიხედვით. თუ მიზანს გაცნობიერებული მოთხოვნილება წარმოშობს, მოტივი განსაზღვრავს, რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა ამ მიზნის მისაღწევად.

ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ „...თვითეული ცალკე ადამიანის სამოქმედო მოტივმა მის თავში უნდა გაიაროს და მისი ნებისყოფის სტიმულად იქცეს, რათა მოქმედება გამოიწვიოსო“[16].

კონფლიქტურ სიტუაციაში, თავისი მდგომარეობის რეორგანიზაციისას ადამიანი ყოველთვის მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რომელი მიმართულებით და რატომ ხდება რეორგანიზაციით გადაწყვეტილების მიღება. შ. ნადირაშვილის მიხედვით, ამ საერთო შინაარს ადამიანი განიცდის ქცევის მოტივის სახით. ქცევის მოტივი ერთნაირად ასაბუთებს და ამართლებს პიროვნების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას[17].

რაც შეეხება მიზანს, ადამიანის მიზანი წარმოიშობა მოთხოვნათა და მისწრაფებათა გაცნობიერების ბაზაზე. ადამიანი გეგმავს იმ შესაძლებელ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, რომლებიც მან უნდა დაიკმაყოფილოს მომავალში. ამასთანავე იგი ანგარიშს უწევს იმ ობიექტურ გარემოსაც, რომელშიც უნდა განხორციელდეს ეს მიზნები. ქმნის რა მიზანთა სისტემას, ადამიანი ამასთანავე თავის პირად მოთხოვნილებებს უკავშირებს სოციალურ ღირებულებათა შექმნის საქმიანობას.

მიზნებში, რომლის მიღწევასაც ადამიანი ცდილობს, იგულისხმება მათი დამაკმაყოფილებელი საგნები და მოვლენები არა მარტო ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც ცოდნის სახით.

მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების გარდა მიზნებში აისახება მათი დაკმაყოფილების ობიექტები.

ი. ლეკშასი მიუთითებს, რომ დანაშაულებრივი ქცევის მოტივი საერთოდ განსაზღვრავს დამნაშავის ნებასურვილის მიმართულებასა და შინაარსს[18].

რ. ნათაძის აზრით, მოტივი ეს არის რეალური საფუძველი, რომლის ნიადაგზე ადამიანი იძენს ნებელობით მოქმედებას[19].

ბ. ხარაზიშვილი განმარტავს, რომ მოტივი არის პირის ემოციური მდგომარეობა, გამოხატული ნების გამოვლენაში, რაც დაკავშირებულია მოცემული ქცევის აუცილებლობის შეგნებასთან და მისი განხორციელების სურვილთან. მიზნისათვის კი დამახასიათებელია პირის მოქმედებასთან თუ უმოქმედობასთან დაკავშირებით გარკვეული შედეგის დადგომის ნდომა. მიზანი ქცევის მიმარ-

---

[16] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 474-475.

[17] Ш. Надирашвили. Понятие установки в общей и социальной психологии, Тб., 1974, გვ. 71; მისივე, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 257, 271.

[18] И. Лекшас, Вина как субъективная сторона преступного деяния. М., 1958, стр. 83.

[19] რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1956, გვ. 475.

თულების მაჩვენებელია, „მოტივი არის ქცევის საზრისი... მიზანი არის საზრისიანი ქცევის უზრუნველყოფის ფინალი“..[20].

დ. კიკნაძის მიხედვით, „მოტივი ამა თუ მოქმედების გადაწყვეტილების საფუძველი და სუბიექტური გამართლებაა მოცემულ სიტუაციაში; რაც შეეხება მიზანს, „მიზანი ყოველთვის გულისხმობს ამა თუ იმ მოქმედებას, რომლის შედეგიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკმაყოფილებს მის წარმომშობ მოთხოვნილებას“[21].

ალ. ვაჩეიშვილის აზრით „ადამიანის ცნობიერი ნებისყოფითი აქტის დაწყებითი მომენტი, სწორედ მოტივია, როგორც ის ფსიქიკური აქტი, რომელიც განაპირობებს ნებისყოფის პროცესს, მოყავს უკანასკნელი მოძრაობაში“[22].

ვ. აფანასიევი აღნიშნავს, რომ მოთხოვნილების შეცნობით ინტერესების, მიზნების, სურვილების სახით, ყალიბდება მოქმედების მოტივაცია. მოტივაცია თან იახლებს სოციალური და ბუნებრივი გარემოთი განპირობებულ მოთხოვნილებებს, გამდიდრებულს წარმოდგენებით, გარემო ობიექტების ცოდნით, მოვლენებით და პროცესებით, რომელთაც უნარი შესწევთ დააკმაყოფილოს ადამიანის ეს მოთხოვნილება[23].

ა. ლეონტიევს მოტივი მიაჩნია საქმიანობის პიროვნულ აზრად, იგი აღნიშნავს, რომ მოტივი არა მარტო იწვევს საქმიანობას და ქმნის მის მიმართულებას, არამედ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მოტივი ამასთან ერთად საქმიანობას (ყველა მის სარეალიზაციო პროცესებს) აძლევს გარკვეულ პიროვნულ აზრს (შეიძლება აგრეთვე ითქვას) — სუბიექტურ ღირებულებას[24].

როგორც გ. კარვაცკაია მიუთითებს, მოტივი ერთ-ერთი აუცილებელი მაჩვენებელია პიროვნების მორალური შეგნებისა, რომ მოტივაციის წყალობით პიროვნება ახორციელებს თვითანალიზს და თვითშეგნებას, შეიგრძნობს მორალურ დაკმაყოფილებას (ან დაუკმაყოფილებლობას) თავისი ქცევისაგან.[25]. თ. შავგულიძე დანაშაულებრივი ქცევის მოტივის შემუშავებად, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მრავალი შესაძლებელი ქცევიდან სუბიექტის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზანშეწონილობის აღიარებას თვლის. „**მოტივაციის პროცესი, — აღნიშნავს იგი, ინტელექტუალური პროცესია, სადაც ცნობიერების საშუალებით, სოციალური სიმბოლოების მანიპულაციის გზით, მომავალი ქცევის სურათის წარმოდგენა, მისი გზების გამონახვა ხდება. ეს ხერხდება სწორედ იმ სოციალური სიმბოლოების ცნობიერებაში გადატანით ანუ აქტუალიზაციის გზით, ცოდნის რომელ სფეროშიც იკვლევს გზას მოტივაციის პროცესი**“[26].

ამრიგად, ქცევის მოტივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას (ან დაუკმაყოფილებლობას) ემსახურება და წარმოადგენს შესატყვისი ქმედობის დასაბუთება-გამართლებას. მოტივი მიზნის მიღწევისათვის ამა თუ იმ მოქმედების სუბიექტურ აუცილებლობად ქცევაა მოცემულ სიტუაციაში. იგი უჩვენებს ,თუ რატომ მოიქცა პირი ახე და არა სხვანაირად, რით ხელმძღვანელობდა ამ ღროს. მოტივი ნებისყოფის პროცესის მარეგულირებელი ცნობიერი ფსიქიკური აქტია, რომელიც განსაზღვრავს პირის (დამნაშავის) ნებასურვილის მიმართულებას და შინაარს.

მიზანი კი, ის ცნობიერი ფსიქიკური აქტია, რომლის მიღწევასაც სუბიექტი ცდილობს, იგი ქმედობის წინასწარგანზრახული შედეგია და გულისხმობს მოქმედებას, რომლის შედეგმაც უნდა დააკმაყოფილოს მისი წარმომშობი მოთხოვნილება; როგორც მოტივი ისე მიზანი მჭიდროდ არიან დაკავშირებული; რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას, იგი ეყრდნობა ქცევის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შეფასებას და წარმოადგენს აქედან გამომდინარე დასკვნას. სუბიექტის თავისუფალი ნებისყოფის გამოვლინება ნიშნავს „მხოლოდ საქმის ცოდნით გადაწყ-

---

[20] Б. В. Харазишвили, Вопросы мотива поведения преступника в советском праве, Тб; 1963, 44—45, მისივე, სიცრუის ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 54.

[21] დ. კიკნაძე, ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, გვ. 7, 169.

[22] ალ. ვაჩეიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ. 1957, გვ. 7.

[23] В. Г. Афанасьев, Человек в управлении обществом, М., 1977, с. 223.

[24] А. Н. Леонтьев, Проблема развития психики, М., 1972, 513. Психическое исследования, М., 1970, вып. 2, стр 6.

[25] Г. В. Карвацкая, Моральная мотивация и нравственная целостность личности. Доклады высшей школы: «Философская наука», 1973, № 6, стр. 41.

[26] თ. შავგულიძე, მართლშეგნების ადგილი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფაქტორთა შორის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1977, № 1, გვ. 36, 42.

ვეტილების მიღების უნარს"[27]. მიზნის, მოტივის, გადაწყვეტილების მიღება ინტელექტუალური პროცესია, რომელშიც ყველა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი მონაწილეობს; მთელ ამ პროცესს განწყობა წარმართავს.[28]

ᲒᲐ) ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲪᲔᲕᲘᲡ (ᲡᲥᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ) ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ. ზოგიერთი ავტორი ქცევის ფსიქოლოგიურ ფაქტორს სისტემურ ხასიათს აძლევს[29]. თ. შავგულიძე იძლევა დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურისა და მოტივაციის პროცესის საინტერესო წყობას[30]. საერთოდ ქცევის მოტივაციის პროცესის სუბიექტური მხარის ფაქტორებად დასახელებულია მოთხოვნილება და სუბიექტის უნარი და მისი შესაბამისი ობიექტური მხარის ფაქტორები — „მე" — მოთხოვნილების ობიექტი და სიტუაცია. სამართლებრივი მნიშვნელობის ქცევის მოტივაციის დროს ამ ფაქტორებს, ავტორი უმატებს სუბიექტური მხარის ფაქტორებს: „მე" — კონცეფცია და მართლშეგნება და მისი შესაბამისი ობიექტური მხარის ფაქტორები, — საზოგადოებრივი აზრი — სოციალური კონტროლის სახით და სამართლებრივი ნორმები — სამართლებრივი კონტროლის სახით. იგი დასძენს, რომ „მოტივაციის სუბიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება ადამიანის ემოციურ სფეროზე განიცდება, როგორც „მე მინდას" — ფენომენი, ხოლო ობიექტური მხარის ფაქტორთა ზემოქმედება, როგორც „მე უნდა"-ს ფენომენი. დანაშაულებრივი ქცევის მოტივი ყველა ამ ფაქტორთა შეპირისპირების შედეგია"[31]. ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგიურ ფაქტორთა შორის გარკვეულ როლს ასრულებენ აგრეთვე აზროვნების გარე ისეთი პროცესები, როგორიც არის ინსტიქტები, მიდრეკილებები, ემოციები, ინტუიციები, აფექტის მდგომარეობა და სხვ. როგორც ვთქვით დანაშაულებრივ ქცევასაც განწყობა უდევს საფუძვლად. იმპულსური ქცევისას (აქტიობის დაბალ დონეზე, რაც ერთნაირია ყველა ცოცხალი არსებისათვის, მათ შორის ადამიანისათვის), ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სათანადო აქტუალური სიტუაციისა და მის ნიადაგზე შემუშავებული პირველადი (პრაქტიკული) განწყობის (მოქმედების მზაობა) რეალიზაციით დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.

ნებელობითი ქცევის განხორციელებისას (ადამიანურ დონეზე), ინდივიდი „მე"-ს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის. პრობლემატურ ან კონფლიქტურ სიტუაციაში, (როცა რაიმე სახის დაბრკოლებაა გადასალახავი), პრაქტიკული მოქმედება წყდება, დაბრკოლების მიზეზის გასარკვევად საჭირო ხდება ობიექტივაცია, აზროვნების ჩართვა, ე. ი. თეორიული გააზრება, დაბრკოლების გადალახვა, მოტივის ძიება და გადაწყვეტა. აქ, პრაქტიკული ქცევის განწყობა გზას უთმობს თეორიულს, ლოგიკური აზროვნებით არკვევს დაბრკოლებას და ნებისყოფის ჩართვით, გააზრებული სიტუაციის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებით, ისევ პრაქტიკული მოქმედების განწყობაში გადაწყვეტილ, რასაც ქცევის გაგრძელება და განხორციელება მოჰყვება.

დ. უზნაძის თანახმად, ნებელობა (განწყობისეული მოვლენა) განწყობის მიმართ მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად. მას უშუალოდ არ შესწევს უნარი განწყობის შეცვლის, გამოწვევის ან აღკვეთის. ე. ი. ნებელობის აქტიურობა ან პასიურობა განწყობის მიმართ წარმოსახვითი, გააზრებული სიტუაციის მიხედვით რეგულირებს[32]. „ნებელობითი მოქმედება, — განმარტავს თ. წე-

---

[27] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 136.

[28] ამასთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ თ. შავგულიძის მოსაზრებას, რომ „მოტივაციის პროცესის მეშვეობით გამომუშავდება... ქცევის განწყობა". (იხ. ჟურნ. საბჭოთა სამართალი, 1975 წ. № 1, გვ. 43-44). ჩვენის აზრით, მეტი სიცხადისათვის, აქ უმჯობესი იქნებოდა აკტორს ეხმარა **პრაქტიკული ქცევის განწყობა**, რადგან ციტირებული მსჯელობიდან შესაძლოა დაბადოს აზრი, რომ მოტივაცია ყოველთვის წინ უსწრებს განწყობის გამომუშავებას, რაც ეწინააღმდეგება დ. ნ. უზნაძის ძირითად დებულებას: იმის შესახებ, რომ ინტელექტუალური პროცესი, ობიექტივაცია, აზროვნება, მოტივაცია, მეორადია, ისინი თვითონ არიან განწყობისეული წარმონაქმნი. „ცნობიერების შინაარსები განწყობის ნიადაგზე ჩნდებიან და ვითარდებიან". ამრიგად, თუმცა დანაშაულებრივი ქცევა ყოველთვის პრაქტიკულია, იგი მაინც ნაყოფია თეორიული გააზრებისა. (ფაქტიურად დანაშაულებრივი ქცევა, ისევე, როგორც ადამიანურ დონეზე ყველა ნებელობითი ქცევა, თეორიული გააზრებისა და პრაქტიკული მოქმედების ჯამია), რასაც საფუძვლად საერთო (თეორიულ-პრაქტიკული) განწყობა უდევს. მოტივისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ნებისყოფის მეშვეობით, თეორიული განწყობა, გადაიზრდება პრაქტიკული ქცევის განწყობაში, რასაც დანაშაულებრივი ქცევა მოჰყვება.

[29] მაგალითად იხ. Д. А. Кикнадзе, Потребности. Поведение. М., 1968, стр. 75.

[30] თ. შავგულიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34-46.

[31] იქვე, გვ. 37.

[32] დ. უზნაძე, შრომები, III-IV, გვ. 218.

რეთელი, — შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ადამიანის შეგნებული მიზანსწრაფული ზემოქმედება მის გარემომცველ ობიექტურ სამყაროზე,... მოქმედება... ობიექტური და სუბიექტური მომენტების დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს"[33].

დანაშაულებრივი (ნებელობითი) ქცევა, ობიექტივაციით, თეორიული, ლოგიკური აზროვნებით იწყება. ამ შემთხვევაში მას საფუძვლად ედება განწყობა თეორიულ პლანში, ვინაიდან მოთხოვნილებას თეორიული და სიტუაციას გააზრებული ხასიათი აქვს. დგება ქმედობის (ქცევის) გეგმა, ხდება დანაშაულის მიზნის, მოტივის, გადაწყვეტილების ძიება. მასში მონაწილეობენ სუბიექტური (სუბიექტის უნარი, „მე"-ს განცდა), შეგნება (მართლშეგნება) და სხვ., რაც „მე მინდას" განცდაში აისახება. და ობიექტური (მოთხოვნილების ობიექტი, მორალური, საზოგადოებრივი აზრი — საზოგადოებრივი კონტროლის სახით და სხვ). ფაქტორები, რაც „მე უნდას" განცდაში აისახება. ყველა ამ ფაქტორის ურთიერთ შეპირისპირებით დგინდება დანაშაულებრივი ქცევის მიზანი, მოტივი (აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ნებელობის უნარს) და გადაწყვეტილება.

მთელი ეს პროცესი (მოტივაცია) გაცნობიერებულია და მას (თეორიულ პლანში) განწყობა წარმართავს, ისე რომ თითონ არასდროს არ შედის ცნობიერების სფეროში. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ცნობიერების მიერ შემუშავებული ქცევის გეგმა, მოქმედებისათვის თეორიული განწყობიდან პრაქტიკულ განწყობაში გადადის (ნებისყოფა მათ პრაქტიკული მოქმედების განწყობაში ჩართავს), რაც დანაშაულებრივი ქცევის განხორციელებით მთავრდება. პრაქტიკულად კმაყოფილდება ის თეორიული მოთხოვნილება, რაც გააზრებული იყო დანაშაულის (ვთქვათ, ფალსიფიკაციის) ჩასადენად. დანაშაულის სუბიექტის, დამნაშავე პირის მიერ[34].

დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის დროს, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს სუბიექტის მართლშეგნების დონეს და იმას, თუ როგორ ზემოქმედებს მასზე მორალურ-საზოგადოებრივი და სამართლებრივი კონტროლი. ამასთან დაკავშირებით სწორია თ. შავგულიძე, როცა მიუთითებს, რომ „..დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში და მოტივაციის პროცესში მართლშეგნებასა და საერთოდ სოციალურ და სამართლებრივ სიმბოლოებს, გადამწყვეტი ადგილი უჭირავს".[35] ობიექტივაციის პროცესში, როცა დანაშაულებრივი ქცევის მოტივის ძიება ხდება, სუბიექტმა არ შეიძლება არ გაითვალსწინოს საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა, სამართლებრივი ნორმების ზემოქმედება და სასჯელის საშიშროება, რამაც შესაძლოა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაცია შეაფერხოს, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შეუთანხმებლობა გამოიწვიოს, პრაქტიკული, დანაშაულებრივი ქცევის განწყობა არ ჩამოყალიბდეს და დანაშაულზე ხელის აღებით დამთავრდეს.

როგორც დავინახეთ დანაშაულებრივი ქცევისას ყველა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორის (პირობების) ურთიერთშეპირისპირება, ბრძოლის მიმდინარეობა და შედეგი, გაცნობიერებული, მიზეზობრიობის ჯაჭვის შეკვრის ან არშეკვრის პროცესია (პირის განწყობაში ასახული), სადაც მთავარი როლი სხვა გარემოებებთან ერთად მაინც დანაშაულის სუბიექტს, დამნაშავე პირს ენიჭება.

შეარჩევს თუ არა პირი დანაშაულებრივ ქცევას, იმისათვის, რომ დაიკმაყოფილოს ესა თუ ის მოთხოვნილება, ეს თვით მოთხოვნილებებზე არ არის დამოკიდებული, თუმცა მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს და მისით განისაზღვრება ადამიანის მოქმედების ყველა სხვა ფაქტორი, ფსიქიკური აქტი და ქცევის მიმართულება[36]. ამასთან, არის შემთხვევები, როცა მოთხოვნილება ყოველთვის შეიძლება არც იყოს ქცევის გამომწვევი ფაქტორი. მაგალითად, ბრძანება, ადამიანზე სხვისი ზემოქმედება და სხვა[37]. ისეთ ქცევას, რომელთა ფაქტორებიც ითვლებიან შუალედ ფორმებად

---

[33] თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 168.

[34] აქ შესაძლოა მთელი სიტუაციური გეგმა არც გაცნობიერდეს, ამ ნაწილს განწყობა გაცნობიერების ვარეშე ჩაირთავს (ამიტომ ამბობენ, რომ ქცევის გეგმა ერთიანლივ, ცნობიერ და არაცნობიერ აქტივობათა შედეგადაა შემუშავებული). არ არის აგრეთვე გამორიცხული ქცევის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შეუთნხმებლობა, მაშინ ობიექტივაცია (მოტივის ძიება) კვლავ და კვლავ მეორდება; სერთოდ შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი (აქ დიდია ნებისყოფის როლი), შესაძლებელია პრაქტიკული მოქმედების განწყობა არ ჩამოყალიბდეს და გააზრებული დანაშაულებრივი ქცევა არ განხორციელდეს, იგი შეწყდეს.

[35] თ. შავგულიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36.

[36] В. Смирнов, Высшая нервная деятельность человека. Мотивационно-эмоциональные аспекты. М., 1975, стр. 6.

[37] «Теоретические проблемы личности». М., 1975, стр. 138, 229.

იმპულსურ და ნებისმიერ აქტივობათა შორის. დ. უზნაძე უწოდებს მოქმედებას, რომელიც გამოწვეულია შთაგონებითა და ბრძანებით.

ქცევა, განხორციელებული სხვა ადამიანის შთაგონებით ან იძულებით, ქცევის თავისებური გარდამავალი ფორმაა იმპულსურ ქცევიდან ნებისმიერ აქტივობაზე.

ნებისმიერი ქცევის დროს იმის გაუთვალისწინებლობა, რომ მოთხოვნილებები გაზომონ თავისი შრომითი დანაზოგებით, ხშირად ხდება გადამწყვეტი პირობა, ამორალური ქცევისა, დანაშაულისა, თუმცა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ასეთი ქცევა, სრულიად არ იყო საჭირო, მაგალითად, სპეკულაციის ,მყიდველთა მოტყუების, ქურდობის და სხვა სახის დანაშაულის ჩადენას ზოგჯერ ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ყველამ ვერ ისწავლა (გაიგო) ან არ სურს თავისი მოთხოვნილების შეხამება, თავის ვალდებულებასთან, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობასთან. აქ თავისთავად მნიშვნელობა აქვს არა მოთხოვნილების ხასიათს, არამედ იმას, თუ როგორია მისი დაკმაყოფილების, მისი რეალიზაციის გზები და საშუალებები, მიზანი და მოტივი. მაგალითად, სასაწყობო მეურნეობის კეთილმოწყობის, მისი შეკეთების ან გაფართოების მოთხოვნილება (სურვილი) თავისთავად მისასალმებელი და წასახალისებელია. მაგრამ, თუ ამას აკეთებს არა სათანადო უწყება, არამედ თვით საწყობის გამგე ან სხვა ,ხელმძღვანელი პირი ანგარებით, თვითნებურად, იმ სახსრებით, რაც მათ დანაშაულებრივი გზით (თაღლითობით, ფალსიფიკაციით, მომხმარებელთა მოტყუებით და ა. შ.) შეიძინეს, ანდა თუნდაც პატიოსანი გზით მოპოვებული სახსრებით, მაგრამ გამორჩენის მიღების მიზნით, მაშინ, ცხადია, დანაშაულთან, ე. ი. ისეთ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან გვექნება საქმე, რომელსაც სჯის საბჭოთა კანონი. რა თქმა უნდა ,იგივე მოთხოვნილება აღნიშნულ პირებს შეეძლოთ დაეკმაყოფილებიათ კანონიერი გზით, სათანადო უწყების თანხმობითა და სახსრების მიღების საფუძველზე. სასაწყობო მეურნეობის შეკეთების ასეთი დანაშაულებრივი გზის არჩევა შეიძლება განპირობებული იყოს ისეთი, ერთი შეხედვით, მისაღები მოსაზრებებით, როგორიც არის დროის მოგება (ვიდრე მას ოფიციალურად ვინმე შეაკეთებს), პრემიის მიღება, გეგმის შესრულება, ხელმძღვანელის თვალში ნდობის მოპოვება, მალფუჭადი პროდუქტების დაცვა და ა. შ. მაგრამ საზოგადოებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით იგი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიუღებელი, გაუმართლებელი გზაა.

რომელი ქცევა შეირჩევა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის (მოტივაციის დროს), დანაშაულებრივი თუ მართლზომიერი, ეს დამოკიდებულია სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთშეპირისპირების შედეგზე, განწყობის შესატყვისი მოტივის სახით.

სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ჩაიდენს თუ არა პირი დანაშაულს, ეს დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა მის ზნეობრივ აღზრდაზე, პიროვნულ განწყობაზე, იმ მიკრო და მაკრო გარემოზე, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და საქმიანობა.

დანაშაულს იწვევს არა ერთი რომელიმე ფაქტორი, არამედ ფაქტორთა და გარემოებათა მთელი ერთობლიობა, რომელიც მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოქმედებენ ადამიანზე.

ჩვენ არ ვიზიარებთ შეხედულებას ე. წ. „ანტისაზოგადოებრივ" განწყობაზე, როგორც დანაშაულის უშუალო მიზეზზე. თავისთავად განწყობა (ობიექტივაციის დონეზე) ადამიანის არაცნობიერ შინაგან სულიერ სამყაროს ასახავს და არც შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, საზოგადოებრივად სასარგებლო ან ანტისაზოგადოებრივი, მისი შეფასების კრიტერიუმი ქცევის გამომჟღავნებაა, რომელიც საზოგადოებრივად სასარგებლოა ან ანტისაზოგადოებრივი, დანაშაულებრივია. თუ როგორი განწყობა ჩამოუყალიბდება პირს, ეს უშუალოდ არის დაკავშირებული მის ზნეობრივ აღზრდასთან, ცოდნასთან, გამოცდილებასთან, შეხედულებებთან, ჩვევებთან, ჩვეულებებთან, იმ გარემოსთან, რომელშიც უხდება მას ცხოვრება. სწორედ ამის მიხედვით და გამოვლინებული ქცევის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ **დანაშაულებრივი, ანტისაზოგადოებრივი ან საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევის** განწყობის არსებობის შესახებ.

გაუმართლებელი მოთხოვნილებების, დანაშაულებრივი ქცევის განწყობების, მოტივებისა და მიზნების უმრავლესობის აღმოცენება და რეალიზაცია, უწინარეს ყოვლისა პირის ცუდი აღზრდა-ჩამოყალიბების შედეგია. დამნაშავეობის აღმოფხვრის გზაზე საჭიროა ისეთი კომპლექსური ღონისძიებების გადაჭრა, როგორიც არის ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, სამართლებრივი და აღმზრდელობითი. აუცილებელია აგრეთვე ამაღლდეს სოციალური და სამართლებრივი კონტროლის დონე და გააქტიურდეს მათი ზემოქმედება.

წინასწარ გამოძიებაში დამცველის მონაწილეობის საკითხისათვის

მ. ჟურდაძე,
ქ. რუსთავის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

წინასწარ გამოძიებაში ბრალდებულს უფლება აქვს იყოლიოს დამცველი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის[1] 43-ე მუხლით დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს გამოუცხადებენ, რომ წინასწარი გამოძიება დამთავრდა და გასაცნობად წარუდგენენ საქმის მთელ წარმოებას. ამავე მუხლით ცალკეულ შემთხვევებში გათვალისწინებულია პროკურორის დადგენილების საფუძველზე დამცველის მონაწილეობა საქმეში პირისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

კანონის ამ ზოგად მოთხოვნას ავსებს და აზუსტებს ამავე კოდექსის 44-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს დამცველის სავალდებულო მონაწილეობის საკითხს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებისას.

კანონმდებელი წინასწარ გამოძიებაში დამცველის მონაწილეობას სავალდებულოდ თვლის იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს აუწყებენ წინასწარი გამოძიების დამთავრებას და გასაცნობად წარუდგენენ საქმის მთელ წარმოებას, იმ პირის მიმართ, ვინც არ იცის ენა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება, აგრეთვე მათ ბრალი ედებათ ისეთ დანაშაულში, რისთვისაც სასჯელად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა.

წინასწარ გამოძიებში დამცველის დაშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან სავალდებულოა არასრულწლოვანთა, ყრუ-მუნჯთა, აგრეთვე უსინათლო და სხვა ისეთ პირთა საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავისი დაცვის უფლება.

ამგვარად საპროცესო კანონმდებლობა დღეისათვის იცნობს დაცვის ორ სახეს: **აუცილებელს** და **ფაკულტატურს**.

მიუხედავად იმისა, მოიწვიეს თუ არა ბრალდებულმა ან მისმა ახლობლებმა დამცველი, დაცვის ფუნქციის აუცილებელი განხორციელება გულისხმობს იმას, რომ სათანადო ორგანოები კანონით ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საქმეზე დამცველის მონაწილეობა. დაცვის ფაკულტატური პრინციპის დროს კი კანონი არ მოითხოვს საქმეში დამცველის აუცილებელ მონაწილეობას, რადგან ეს დამოკიდებულია ბრალდებულის ნებასა და ინიციატივაზე.

დაცვის ფუნქციის განხორციელების **აუცილებელ** და **ფაკულტატურ** სახეებად დაყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

დამცველის საქმეში სავალდებულო მონაწილეობის მოთხოვნის შეუსრუ-

---

1 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნაცვლად შემდგომში მივუთითებთ მხოლოდ სსსკ, სადაც ყველგან იგულისხმება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

ლებლობა პროცესუალური ნორმის უხეშ დარღვევად ითვლება და იწვევს განაჩენის უცილობელ გაუქმებას[2].

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანაა არა მარტო ის, რომ სწრაფად გაიხსნას დანაშაული, მხილებულ იქნეს დამნაშავე და კანონის სწორად გამოყენებით სამართლიანად დაისაჯოს დამნაშავე, არამედ ისიც, რომ **არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და უსაფუძვლოდ მსჯავრდადებული.**

კანონის ამ მოთხოვნის რეალური განხორციელების ერთ-ერთი პირობაა იმ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომელსაც ბრალად ედება დანაშაული. აუცილებელია მას დაუყოვნებლივ წარმოეშვას რეალური დაცვის უფლება ბრალდების წარდგენის მომენტიდან და მოიწვიონ მისთვის დამცველი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებდა ადვოკატის მონაწილეობას საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაში. შემდგომ კანონმა საერთოდ უარყო წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობა. ეს ინსტიტუტი აღდგენილ იქნა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებით, რომელიც მიღებულია 1958 წლის 25 დეკემბერს. მის მიღებამდე და შემდეგაც იურიდიულ ლიტერატურაში ავტორები მოითხოვენ წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობის ფარგლების გაფართოებას იმ მხრივ, რომ ადვოკატი ყველა საქმეზე **დაშვებულ იქნეს პირისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან.**

სწორად შენიშნავს მ. ს. სტროგოვიჩი, რომ წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობამ დადებითი შედეგი მოგვცა და დღეისათვის გაუმართლებელია, რომ ადვოკატს ბრალდების წარდგენის მომენტიდან უშვებენ მარტოოდენ გარკვეული კატეგორიის საქმეებზე[3].

ეჭვგარეშეა, რომ წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობა თანდათან ფართოვდება. ჩვენი კანონმდებლობა სწორედ ამ გზით მიდის. ბოლო წლებში მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის პროცესში შეტანილია ცვლილებები იმ მხრივ, რომ გაფართოებულია გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობის ფარგლები. ამას ადასტურებს საქართველოს სსრ სსსკ 43-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც **პროკურორის დადგენილებით დამცველი შეიძლება დაშვებულ იქნეს საქმეში მონაწილეობისათვის ბრალდების წაყენების მომენტიდან.** როგორც აქედან ჩანს, კანონმდებელი არ აწესებს რაიმე შეზღუდვას ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავე პიროვნების მიხედვით.

კანონმდებლის მიერ წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობის სფეროს გაფართოება სათანადოდ ვერ აისახა როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე წინასწარი გამოძიების ორგანოთა პრაქტიკაშიც.

---

[2] **Ф. Н. Фаткулин, З. З. Зинатуллин, Я. С. Аврах.** Обвинение и защита по уголовным делам, Казанский университет, 1976, стр. 110—121; Постановление Верховного суда СССР от 16 июня 1978, № 5, «О практике приминения судами законов, обеспечивающих обвиняемому право на защиту», «Бюллетень Верховного суда СССР, № 4, 1978, стр. 3—12.

[3] **М. С. Строгович.** Курс советского уголовного процесса, том I, М., 1968, стр. 241.

ამ საკითხს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავისი 1978 წლის 16 ივნისის დადგენილებაში (მე-6 პუნქტი) ყურადღება დაუთმო მხოლოდ იმ მხრივ, რომ სასამართლოებს მისცა შემდეგი სახელმძღვანელო მითითება: ბრალდების წარდგენისას ბრალდებულს უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვს მიმართოს პროკურორს შუამდგომლობით ბრალდების წარდგენის მომენტიდან დამცველის დანიშვნის შესახებ[4].

საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლით კი ვრწმუნდებით, რომ ხშირად გამომძიებლები არ ასრულებენ პლენუმის ამ სავალდებულო მოთხოვნას, ხოლო თუ ასრულებენ, ფორმალურად. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი საქმეებიდან, როგორც წესი, თითქმის არავის არ მიუმართავს პროკურორისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან დამცველის დაშვების შესახებ, ხოლო პროკურორის მიერ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების ფაქტი საერთოდ არ შეგვხვედრია. მარტოოდენ ნორმის არსებობა დამცველის მონაწილეობის გაფართოების საკითხს ვერ გადაწყვეტს, საჭიროა კანონის ამ მოთხოვნის დამკვიდრება პრაქტიკაში. ამის ერთერთი აუცილებელი წახამძღვარი ის იქნება, რომ სრულყოფილად გაანალიზდეს ამ მხრივ საგამომძიებო და სასამართლო პრაქტიკა. ეს დაგვეხმარება შემდგომში გონივრულად **გადავჭრათ დამცველის დაშვების ან არ დაშვების საკითხი ბრალდების წარდგენის მომენტიდან ყველა კატეგორიის საქმეზე**[5].

ვიდრე ეს საკითხი საბოლოოდ გადაიჭრებოდეს საკანონმდებლო წესით, საჭიროა სრულყოფილად განისაზღვროს ბრალდების წაყენების მომენტიდან დამცველის მონაწილეობის სფერო, მისი უფლებები საქმის მასალების გაცნობის და გამოძიების წინაშე შესაბამის შუამდგომლობათა წაყენების შესახებ.

დამცველის უფლებანი და მოვალეობანი განსაზღვრულია სსსკ 46-ე მუხლით. სხვა უფლებებთან ერთად კანონი დამცველს ნებას რთავს **საქმეში მონაწილეობის დაშვებიდან შეხვდეს ბრალდებულს, გაეცნოს საქმის მთელ მასალას და ამოწეროს საქმიდან საჭირო ცნობები.**

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული პლენუმის დადგენილებაში კი სათანადოდ არ არის განმარტებული დამცველის მიერ საქმის მთელი მასალების გაცნობისა და იქიდან საჭირო მონაცემების ამოწერის საკითხი — თუმცა სწორედ ეს იწვევს დავას, როგორც სწავლულ, ისე პრაქტიკოს იურისტთა შორის[6].

დაცვა გულისხმობს პროცესუალურ მოქმედებათა ერთიანობას, რომელიც

---

[4] «Бюллетень Верховного суда СССР», № 4, 1978, стр. 9.

[5] სასურველია ეს საკითხი სრულყოფილად იქნეს შესწავლილი რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ, უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა კი საჭირო განმარტება მოგვცეს კანონის ამ მოთხოვნის რეალურად გამოყენების თაობაზე.

[6] **С. П. Шерба.** Расследование и судебное разбирательство по делам лиц страдающим физическими или психическими недостатками, «Юридическая литература», М., 1975, стр. 43—56; **Г. П. Саркисянц.** Участие защитника на предварительном следствии в советском уголовном процессе, Ташкент, 1966, стр. 37—40; **Н. А. Акинча.** Участие защитника на предварительном следствии в советском уголовном процессе, Саратов, 1967, стр. 25; **Н. И. Гуковская, А. И. Долгова, Г. М. Минковский.** Расследование и судебное разбирательство дел о преступлениях несовершеннолетних, М., 1974, стр. 45.

მიმართულია წარდგენილი ბრალდების გასაბათილებლად, ბრალდებულის უდანაშაულობის დასადგენად ან მისი პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.[7]

ბრალდების წარდგენის მომენტიდან დამცველისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ გაეცნოს საქმის მთელ მასალებს, მრავალ წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. იგი კოლიზიაშია მატერიალურ სისხლის სამართლის და საპროცესო ნორმებით დაწესებულ სხვა მოთხოვნებთან.

დამცველი წინასწარ გამოძიებაში კანონით დადგენილი წესით იცავს კონკრეტული პირის (ბრალდებულის) ინტერესებს. ბრალდებულს უფლება აქვს სამართალწარმოების ყველა სტადიაში უარი თქვას არა მარტო კონკრეტული პირის მხრივ დაცვაზე, არამედ საერთოდ დაცვის უფლების გამოყენებაზე.

კანონმდებელი საკმაო პირობების არსებობისას, დაცვით უზრუნველყოფს პირს, რომელიც ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, პირს, რომელიც მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში კონკრეტულ ქმედობასთან დაკავშირებით. დამცველი გვევლინება კონკრეტული პირის წარმომადგენლად, მისი ინტერესების დამცველად, ასეთ პირობებში დამცველი უფრო მეტი უფლებებით არ უნდა იყოს აღჭურვილი, ვიდრე თვით ის პირი, ვისი ინტერესების დაცვაც მას აქვს დაკისრებული.

საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლის შესაბამისად **ბრალდებულს ყველა შემთხვევაში,** მიუხედავად იმისა, თუ გამოძიების რა სტადიაში დაენიშნა დამცველი, **საქმის მასალები გასაცნობად წარედგინება მხოლოდ და მხოლოდ საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ.**

დამცველს უფლება აქვს საქმის მასალების გაცნობამდე და მის შემდეგაც დაუბრკოლებლივ შეხვდეს ბრალდებულს და მასთან ერთად შეიმუშაოს დაცვის ვერსიები. ჩვეულებრივ პირობებში დამცველმა ყურად უნდა იღოს ბრალდებულის მოსაზრება დაცვის წარმართვის შესახებ. ასეთ პირობებში ეჭვგარეშეა, რომ დამცველი მოვალეა ბრალდებული ჩააყენოს საქმის კურსში საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა შესახებ. ამდენად ბრალდების წარდგენიდან საქმის მასალების გაცნობის უფლების მარტოოდენ დამცველისათვის მინიჭება არაფრით არ არის გამართლებული. ამ თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბრალდებულისათვის ამ მომენტიდან საქმის მასალების გაცნობა იწვევს წინასწარი გამოძიების საიდუმლოების პრინციპის დარღვევასა და ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას[8].

სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას სათანადო ნებართვის გარეშე მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურების გამო. დამცველის გაფრთხილება ამ მუხლით პასუხისმგებლობის შესახებ, როგორც ეს საკმარისად მიაჩნია ზოგიერთ ავტორს, საქმეს ვერ შველის. დაუჯერებელია, რომ ბრალდებულმა, რომელმაც იცის, რომ მისი დამცველი გაცნობილია საქმის მთელ მასალებს, არ მოსთხოვოს დამცველს ასეთი ცნობები, რომლებიც წარმოადგენს გამოძიების საიდუმლოებას[9].

---

[7] **М. С. Строгович.** Курс советского уголовного процесса, т. I, М., 1968, стр. 196.

[8] **С. П. Шерба.** Расследование и судебное разбирательство по делам лиц, страдающих физическими или психологическими недостатками, М., 1975, стр. 46.

[9] იქვე, გვ. 55.

ჯერ ერთი, ბრალდებულმა შეიძლება არც იცოდეს, კონკრეტული მომენტისათვის, რა არის საიდუმლოება და მეორეც, დამცველს არ შეუძლია ბრალდებულს დაუმალოს რაიმე ცნობა, რომელიც მისი ბრალდების საქმეს შეეხება.

ეს საკითხი კიდევ უფრო მტკივნეულია, როდესაც დანაშაული ჩაიდინა რამდენიმე პირმა, დამცველი კი ბრალდების წარდგენის მომენტიდან დაენიშნა ერთერთს ან რამდენიმეს (არა ყველას). ასეთ პირობებში დამცველისათვის საქმის მთელი მასალების წარდგენისას (კანონი კი ამ მხრივ რაიმე გამონაკლისს არ უშვებს) შეუძლებელია აღიკვეთოს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება.

არასრულწლოვან ლ-ს გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული ოთხი პირი, რომელთაგან ერთი დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვანი იყო. დამცველმა სავსებით სამართლიანად მოითხოვა საქმის მასალების გაცნობა და შემდგომში ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებზე დასწრება. ამასთან ამავე დამცველმა არასრულწლოვანის დაცვის ორდერთან ერთად წარმოადგინა სრულწლოვანი ბრალდებულის დაცვის ორდერი.

რამდენადაც ამ პირების ერთდროულად დაცვისათვის ხელის შემშლელი პირობები არ არსებობდა, გამომძიებელმა დამცველი არასწლოვანის დასაცავად დაუშვა მისთვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან, ხოლო სრულწლოვანი ბრალდებულის დასაცავად კი საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ. ასეთი შემთხვევა იშვიათი არ არის და ამას საჭირო მოწესრიგება სჭირდება კანონმდებლობის მხრივ.

კონკრეტული მაგალითი ცხადყოფს, რომ დამცველს შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა საქმის მასალებს ყველა ბრალდებულის მიმართ. აღარაფერი რომ არ ვთქვათ დანარჩენ ორ სრულწლოვან ბრალდებულის მიმართ არსებულ მტკიცებულებათა გახმაურების შესაძლებლობაზე, დამცველი ფაქტობრივად არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან გაეცნო აგრეთვე მის მიერ დასაცავი სრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ არსებულ მასალებსაც.

მხედველობაშია მისაღები და, ალბათ, ანგარიშგასაწევიც ის ფაქტი, რომ კანონით ბრალდების წარდგენის მომენტიდან დამცველის დაშვებისას დამცველი უფლებამოსილია საქმის მასალებს ეცნობოდეს გამოძიების მიმდინარეობის მთელ პროცესში, რამდენადაც კანონი ამ მხრივ რაიმე შეზღუდვას არ აწესებს.

ვ-ს ბრალდების საქმეზე დამცველი დაშვებულ იქნა ბრალდების წარდგენის მომენტიდან. იგი დაესწრო ვ-ს ბრალდებულად დაკითხვას, რის შემდეგ გაეცნო საქმის მასალებს. შემდგომ კი ადვოკატი ესწრებოდა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას და გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად, სსსკ 46-ე მუხლის თანახმად, ითხოვდა მის დაუსწრებლად შეკრებილ მტკიცებულებათა გაცნობას, რაც გამომძიებელმა დააკმაყოფილა. საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ ამავე ადვოკატმა იკისრა ამ საქმეში გამავალი (ერთერთი) სხვა ბრალდებულის დაცვაც. კანონის ხარვეზის გამო ერთი ბრალდებული დაცვის მხრივ უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ვხედებით შემთხვევებს, როდესაც დამცველს მტკიცებულებათა შეფასებისას მერყევი პოზიცია უკავია და ბრალდებულის დაცვის განხორციელებისას წინასწარ გამოძიებაში აყენებს ალტერნატიულ მოთხოვნას.

ადვოკატმა რ-მ წინასწარ გამოძიებაში იშუამდგომლა, რომ დ.-ს მიმართ, რომელიც პასუხისგებაში მიცემული იყო 169-ე მუხლით, საქმე წარმოებით შეწყვიტათ „წარდგენილ ბრალდების დაუდასტურებლობის გამო“, ხოლო თუ ამ შუამდგომლობას გამოძიება არ გაიზიარებდა, მხედველობაში მიეღოთ, რომ დ. 169-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი არ იყო და მისი ქმედობა დაეკვალიფიცირებინათ თაღლითობით. ბრალდებული კი მოითხოვდა მის მიმართ საქმე შეწყვეტილიყო ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის მოტივით.

საქმის მასალებს ადვოკატი ბრალდების წარდგენის მომენტიდან გაეცნო, ბრალდებული კი — მხოლოდ საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ. ბრალდებული ბრალდების წარდგენის მომენტიდან საქმის მასალებს რომ გასცნობოდა, მას რეალური შესაძლებლობა ექნებოდა დაერწმუნებინა დამცველი მის მიერ წამოჭრილი ალტერნატიული მოთხოვნის უსაფუძვლობაში. ასეთი ფაქტები კი არცთუ იშვიათია საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

დამცველისა და ბრალდებულის პოზიციათა განსხვავებულობას პროცესში ამართლებენ იმ დებულებით, რომ დამცველი დამოუკიდებელი ფიგურაა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, სამართლიანია ზოგიერთი ავტორის მოსაზრება, რომ პროცესუალური დამოუკიდებლობის თეორიის საბაბით ზოგჯერ ადვოკატი ნაადრევად მიიჩნევს წარდგენილ ბრალდებას დადასტურებულად, რითაც აშკარა წინააღმდეგობაში ვარდება ბრალდებულის ჩვენებებთან, რომელიც წარდგენილ ბრალდებას უარყოფს.

დამცველის პროცესუალური დამოუკიდებლობის შეუზღუდველობა დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან იგი ბევრჯერ აძნელებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

31 შემთხვევიდან, როდესაც დამცველი წარდგენილ ბრალდებას დადასტურებულად თვლიდა, ხოლო ბრალდებული ასეთს უარყოფდა, ადვოკატის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ 6 შემთხვევაში გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 25 შემთხვევაში სასამართლომ, დაეთანხმა რა დაცვის პოზიციას, დაუშვა სერიოზული შეცდომა, სამართალში მიცემული დამნაშავედ ცნო. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ყველა ამ საქმეზე დადგინდა ბრალდებულთა უდანაშაულობა და მათ მიმართ საქმე შეწყდა[10].

ადვოკატის პროცესუალური დამოუკიდებლობის გაზვიადება ზოგჯერ ხელს უშლის მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას, არყევს ადვოკატის ავტორიტეტს, როდესაც მისი და ბრალდებულის პოზიცია განსხვავებულია. საბოლოოდ კი სწორედ ბრალდებულის პოზიცია აღმოჩნდება მართებული.

ამდენად, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით დიდი მნიშვნელობა **აქვს დამცველისა და ბრალდებულის პროცესუალური სოლიდარობის პრინციპის სწორად გადაწყვეტას.**

საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლი აწესრიგებს დამცველის უფლებებსა და მოვალეობებს საქმეში მისი მონაწილეობის დაშვების მომენტიდან. ამ მხრივ რაიმე გამონაკლისი კანონმდებელს არ დაუწესებია.

---

[10] «Эффективность правосудия и проблема устранения судебных ошибок», часть 2, М., 1975, стр. 240—241.

კანონის ასეთი მოთხოვნა მართებული იქნებოდა მაშინ, თუ დამცველი დაშვებული იქნებოდა საქმეზე სამართალწარმოების მხოლოდ რომელიმე ზუსტად განსაზღვრულ სტადიაში და ამ მხრივ რაიმე გამონაკლისი საქმეზე არ გვექნებოდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლში უნდა აისახოს ის გარემოება, რომ საქმეში დამცველის დაშვების მომენტიდან დამცველს უფლება აქვს „ბრალდებულთან ერთად **გაეცნოს ბრალდებულის დაკითხვებს და ყველა იმ საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებს, რომლებიც ჩატარდა მის დაცვის ქვეშ ყოფ ბრალდებულის მონაწილეობით**". ამავე მუხლით დადგენილი დამცველის ის უფლება, რომ გაეცნოს საქმის მთელ მასალებს, დაკავშირებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტთან, როგორც ეს გათვალისწინებულია სსსკ 202-203-ე მუხლებით.

საკანონმდებლო გზით საკითხის ამ სახით მოგვარება ხელს შეუწყობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, თავიდან აგვაცილებს წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებას. ბრალდებული და მისი დამცველი კი ერთნაირი უფლებით იქნებიან აღჭურვილი საქმის მასალების გაცნობისას, რაც მათ საშუალებას მისცემს ბრალდების წარდგენის მომენტიდანვე ერთად შეაფასონ წარდგენილი მტკიცებულებანი და დაცვის საშუალებათა და ხერხების გამოძებნისას იყვნენ სოლიდალურნი. დაბოლოს, ბრალდების წარდგენის მომენტიდან დამცველისა და ბრალდებულისათვის ამ სახით საქმის მასალების წარდგენის დაწესება თავიდან აგვაცილებს საქმეზე გამავალ სხვა ბრალდებულთა უფლებების შელახვასა და სხვა ბრალდებულებთან შედარებით მათ არასასურველ პირობებში ჩაყენებას.

განაჩენი მთელი სიზუსტით უნდა უპასუხებდეს კანონის მოთხოვნებს

ჯ. მიქელაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე

შრომა-გასწორების დაწესებულებებში მსჯავრდადებულის აღზრდა და გამოსწორება სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის განუხრელ აღსრულებაზე. სასამართლოს განაჩენი მხოლოდ მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ იგი აბსოლუტური სიზუსტით უპასუხებს კანონის მოთხოვნებს.

მაგრამ ზოგიერთი სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენის აღსრულება ძნელდება, რადგან მასში დაშვებულია ისეთი შეცდომები, რომელთა გამოვლინება და კანონის შესაბამისად მათი გასწორება დიდ დროს, ცოდნასა და დამატებითს შრომას მოითხოვს.

სასამართლოების შეცდომები ძირითადად იმით გამოიხატება, რომ მცდარად განსაზღვრავენ შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობას (რეჟიმს) და სახალხო მეურნეობის ობიექტებიდან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის შრომა-გასწორების დაწესებულებებში შემობრუნებული პირებისათვის დარჩენილი სასჯელის ოდენობას, არ აზუსტებენ მსჯავრდადებულის დემოგრაფიულ მონაცემებს (გვარს, სახელს, დაბადების თარიღს და სხვ.).

მაგალითად, ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ 3 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გ. კანთელაშვილს, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით და პირობით სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სამუშაოდ გაიგზავნა 2 წლით, 2 თვითა და 11 დღით. სახალხო მეურნეობის ობიექტებზე გ. კანთელაშვილი სისტემატურად არღვევდა შრომის დისციპლინას, რისთვისაც ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ო. ხარატიშვილი) 1979 წლის 31 მაისის განჩინებით იგი ხელახლა დააბრუნა შრომა-გასწორების დაწესებულებაში. სასამართლომ შემოსახლების ვადის გამოთვლაში დაუშვა შეცდომა: გ. კანთელაშვილს მოსახდელად განუსაზღვრა 1 წელი, 1 თვე და 17 დღე, მაშინ, როდესაც მოუხდელი სასჯელის ოდენობა შეადგენდა 1 წელს, 2 თვესა და 6 დღეს. კოლონიის ადმინისტრაციის ინიციატივით შეცდომა გასწორდა 1979 წლის 2 ივლისის განჩინებით. ასეთივე შეცდომა იქნა დაშვებული მსჯავრდადებულ ე. დოდინის მიმართ, რომელიც შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — რ. ფუტკარაძე) 1978 წლის 5 ივნისის განჩინებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შემოასახლა 2

წლითა და 2 თვით, ნაცვლად 2 წლისა და 28 დღისა. აღსანიშნავია, რომ მთელი 1978 წლის განმავლობაში შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციასა და სასამართლოს შორის ამის თაობაზე წარმოებდა მიმოწერა. მოსამართლე რ. ფუტკარაძემ შეცდომა მხოლოდ მეოთხედ გამოტანილი განჩინებით გაასწორა.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ე. გურგენიძე), 1978 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდადებული რ. კვეზერელი 1 წლის, 4 თვისა და 16 დღის ნაცვლად შრომა-გასწორების დაწესებულებაში შემოასახლა ორი თვითა და 19 დღით (სხვაობა შეადგენდა 1 წელს 1 თვესა და 26 დღეს მსჯავრდადებულ რ. კვეზერელის სასარგებლოდ).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ (მოსამართლე — ა. ბაღდასაროვა) 1979 წლის 28 მაისის განაჩენით მსჯავრდადებულ ზ. მარკარიანს წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელის ოდენობა განუსაზღვრა 51 დღით, მაშინ როდესაც იგი შეადგენდა 4 თვესა და 15 დღეს.

ზოგიერთი მოსამართლე ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან პირობით განთავისუფლებისა და კოლონია-დასახლებაში (რეჟიმის სახეობის შეცვლა) გადაყვანის ინსტიტუტებს.

ქ. თბილისის პირველი მაისის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — თ. შანიძე) 1978 წლის 28 დეკემბრის განაჩენით პ. სუპრუნს საქართველოს სსრ სსკ 17-91 და 150 მუხლების მეორე ნაწილებით მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაუმატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელი 3 წელი და საბოლოოდ განუსაზღვრა 7 წლის თავისუფლების აღკვეთა. განაჩენში მითითებულია თითქოს პ. სუპრუნს თვითნებურად მიეტოვებინოს სახალხო მეურნეობის მშენებლობის ობიექტი და ჩაედინოს ახალი დანაშაული. სინამდვილეში კი საქმის მასალებიდან ჩანს, რომ პ. სუპრუნი გადაყვანილი იყო კოლონია-დასახლებაში, საიდანაც იგი გაიქცა და მიმალვის პერიოდში ჩაიდინა ახალი დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლს კოდექსის 17-91 და 150 მუხლების მეორე ნაწილებით. იგი უნდა გასამართლებულიყო აგრეთვე გაქცევისათვის.

გუდაუთის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ხ. დაშელია) 1979 წლის 3 ივნისს 2 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა რ. კონჯარიას (სასჯელს იხდიდა 1977 წლის 22 სექტემბრიდან). სასჯელისა და მისი დასაწყისის განსაზღვრის დროს მოსამართლეს მხედველობიდან გამორჩა, რომ რ. კონჯარია წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ 1979 წლის 20 ოქტომბერს პირობით იყო განთავისუფლებული და გაიგზავნა სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ქ. გაგრის სახალხო სასამართლომ 1979 წლის 28 მარტს იგი ხელახლა შეასახლა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში 9 თვითა და 24 დღით, რომლის მოხდა რ. კონჯარიას დაეწყო 1979 წლის 9 მარტიდან (მისი პატიმრობაში მეორედ აყვანის თარიღი). ამიტომ 2 წლისა და 6 თვის ნაცვლად კონჯარიას სასჯელის ოდენობა შეადგენდა 1 წელს, 3 თვესა და 24 დღეს, რომლის დასაწყისია 1979 წლის 9 მარტი.

ბევრ შეცდომებს უშვებენ სასამართლოები სასჯელის დასაწყისის განსაზ-

ღვრაში. ქ. თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ც. უბერი), 1979 წლის 5 იანვარს ს. მელიქსეტიანს მიუსაჯა 10 წლის თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის დასაწყისი კი უჩვენა 1978 წლის 29 ივლისი, ნაცვლად 1978 წლის 21 ივლისისა.

ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ა. წიქარიძე) 1979 წლის 16 აპრილის განაჩენით მსჯავრდადებულ გ. შერბინინას სასჯელის დასაწყისად 1978 წლის 19 ნოემბრის ნაცვლად დაუნიშნა 1978 წლის 26 ნოემბერი.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ნ. მგალობლიშვილი) 1979 წლის 24 იანვრის განაჩენით მსჯავრდადებულ შ. მოვსესიანს 2 წლის თავისუფლების აღკვეთა 1978 წლის 30 ნოემბრიდან დაუნიშნა, განაჩენში არაფერია ნათქვამი, რომ შ. მოვსესიანი წინასწარ პატიმრობაში იყო აყვანილი 1978 წლის 24 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე. ამავე სასამართლომ (მოსამართლე — ვ. ყვანია) 1979 წლის 11 ივნისის განაჩენით მსჯავრდადებულ ლ. აილოიანს 7 წლის თავისუფლების აღკვეთა 1978 წლის 22 ნოემბრის ნაცვლად დაუნიშნა ამავე წლის 25 ნოემბრიდან.

ყველა ზემოაღნიშნული შეცდომა გასწორებულია შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის ინიციატივით კანონით დადგენილი წესით.

ზოგიერთი სასამართლო შეცდომას უშვებს კოლონიის სახეობის განსაზღვრაში.

გალის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — მ. ბლიაძე) 1979 წლის 3 იანვრის განაჩენით მსჯავრდადებულ რ. გაგუას მიუსაჯა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, მაშინ როდესაც რ. გაგუა წინათ სამართალში არ ყოფილა მიცემული და მას სასჯელის მოხდის ადგილად საერთო რეჟიმი უნდა განსაზღვროდა.

ოჩამჩირის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — კ. ცხვიტარია) 1979 წლის 1 ივნისის განაჩენით მსჯავრდადებულ ვ. ჯღამაძეს მიუსაჯა 3 წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, მაშინ როდესაც ვ. ჯღამაძეს წინათ შეფარდებული ჰქონდა სსკ 25[1] მუხლი და მას სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის კოლონიაში უნდა განსაზღვროდა. ორივე საქმეზე რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილებამ აფხაზეთის ასსრ პროკურატურაში შეიტანა წარდგინება რეჟიმის ნაწილში ზემოაღნიშნული განაჩენის გაუქმების შესახებ.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — მ. ღვინიაშვილი) 1978 წლის 18 მაისს მსჯავრდადებულ კ. შამირიანს მიუსაჯა 4 წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, მაშინ როდესაც კ. შამირიანი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის წინათ რამდენჯერმე ყოფილა ნასამართლევი, საქართველოს სსრ სსკ 44-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს იგი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად უნდა ეცნო და სასჯელის მოხდის ადგილად განესაზღვრა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონია. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ განაჩენი გააუქმა რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში.

საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — თ. მასურაშვილი) 1978 წლის 28 მარტის განაჩენით მსჯავრდადებულ ტ. მამუკელაშვილს საქართველოს სსრ სსკ 243 მუხლის I ნაწილით და 241 მუხლის II ნაწილით მიუსაჯა 1 წლის თავისუფლების აღკვეთა კოლონია-დასახლებაში (რაც განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული გაუფრთხილებლობით) მოხდით, ნაცვლად საერთო რეჟიმის კოლონიისა (მამუკელაშვილის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული, როგორც გაუფრთხილებლობით —241 მუხლი, ასევე განზრახ — 243 მუხლი).

მესტიის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ბ. მჭედლიანი) 1978 წლის 17 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდადებული რ. ქოჩქიანი, რომელიც წინათ საქართველოს სსრ სსკ 54² მუხლის გამოყენებით პირობით იყო განთავისუფლებული შრომაში ჩაბმით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად შრომა-გასწორების დაწესებულებაში შემოასახლა, ამასთან არ განსაზღვრა, თუ რომელი რეჟიმის კოლონიაში მოიხადოს სასჯელი.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ო. ღლოხტი) 1978 წლის 12 სექტემბრის განაჩენით ბ. ჩინჩალაძეს მიუსაჯა 3 წლის თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის ადგილად ყოველგვარი მოტივის გარეშე განუსაზღვრა გაძლიერებული რეჟიმის კოლონია, ნაცვლად საერთო რეჟიმისა.

წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — კ. ბარბაქაძე) 1979 წლის 1 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდადებულ ნ. ოზმანოვს საპატიმროს რეჟიმზე ყოფნის ვადა 2 თვისა და 18 დღის ნაცვლად (რაც მას განაჩენით აქვს დარჩენილი მოსახდელად), განუსაზღვრა 2 თვე და 21 დღე.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ე. გურგენიძე) 1979 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდადებულ ვ. ნამგლიაშვილს, რომელიც წინათ თავისუფლების აღკვეთით მრავალჯერ არის ნასამართლევი, თავისუფლების აღკვეთის ადგილად, ნაცვლად მკაცრი რეჟიმის კოლონიისა, განუსაზღვრა საერთო რეჟიმის კოლონია.

ხშირად სასამართლოები არღვევენ საქართველოს სსრ სსკ 41-42-ე მუხლების მოთხოვნებს სასჯელების შეკრების წესის შესახებ. აგრეთვე საქართველოს სსრ სსკ 383-ე მუხლის მოთხოვნას სასჯელების ლმობიერების მოტივით, სასამართლო ზედამხედველობის წესით გამამტყუნებელი განაჩენის, დადგენილებისა და განჩინების გადასინჯვის, დაუშვებლობის თაობაზე, თუკი განაჩენის, დადგენილებისა და განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგე ერთი წელია გასული.

ქ. ტყვარჩელის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ხ. დაშელია) 1977 წლის 18 ოქტომბერს ი. ჩაჩხელია გასამართლა საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის III ნაწილით და მიუსაჯა 4 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ 41-42-ე მუხლების გამოყენებით დაუმატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელი თავისუფლების აღკვეთა პირობით 1 წელი და საბოლოოდ მოსახდელად დაუტოვა 5 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა. ი. ჩაჩხელია წინათ 1972 წლის 30 მარტს გასამართლებული იყო გაუფრთხილებლობით ჩა-

დენილი დანაშაულისათვის (241-ე მუხლი) 6 წლის თავისუფლების აკლვეთით. 1975 წლის 5 მაისს იგი გაათავისუფლეს სსკ 54-ე მუხლის გამოყენებით ვადამდე პირობით 2 წლითა და 10 თვით, რომლის გასვლამდე (1977 წლის 28 ივლისს) კვლავ ჩაიდინა დანაშაული. ასეთ ვითარებაში ტყვარჩელის სახალხო სასამართლოს, სსკ 54-ე მუხლის თანახმად, არ ჰქონდა საფუძველი ახალი განაჩენით დადგენილი სასჯელისათვის დაემატებინა პირობითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი — 1 წელი, რადგან ი. ჩაჩხელიამ 1977 წლის 28 ივლისს ჩაიდინა დანაშაული გაუფრთხილებლობით.

შეცდომა კოლონიის ადმინისტრაციის ინიციატივით გასწორდა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1978 წლის 12 აპრილის დადგენილებით, ი. ჩაჩხელიას სასჯელად განესაზღვრა 4 წელი და 6 თვე.

ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლომ 1974 წლის 25 ივლისს საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის II ნაწილით 3 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ზ. ბერძენიშვილს. წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1975 წლის 12 ივლისის განჩინებით იგი საქართველოს სსრ შრომაგასწორების კოდექსის 66-ე მუხლის გამოყენებით დარჩენილი სასჯელის მოსახდელად გადაიყვანა კოლონია-დასახლებაში, საიდანაც ზ. ბერძენიშვილი გაიქცა, რისთვისაც 1976 წლის 16 აგვისტოს გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — გ. თოფურია) იგი გაასამართლა საქართველოს სსრ სსკ 203-ე მუხლის I ნაწილით და მიუსაჯა 3 წლის თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაუმატა წინა განაჩენით სასჯელის მოუხდელი ნაწილი 9 თვისა და 25 დღის ოდენობით, მაშინ როდესაც ბერძენიშვილის მიერ მოუხდელი სასჯელი შეადგენდა 1 წელსა და 1 დღეს. სასჯელის დასაწყისად მას დაენიშნა 1976 წლის 13 ივნისი, მაშინ როდესაც ზ. ბერძენიშვილი პატიმრობაში აყვანილი იყო 1976 წლის 27 ივლისიდან, საბოლოოდ ზ. ბერძენიშვილს მოსახდელად განესაზღვრა 3 წელი და 25 დღე, ნაცვლად 4 წლისა და 1 დღისა. ეს შეცდომა მოსამართლემ გასწორა 1978 წლის 27 სექტემბერს გამოტანილი განჩინებით ე. ი. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 წლისა, 1 თვისა და 8 დღის გასვლის შემდეგ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ სსკ 383-ე მუხლს. ამის თაობაზე წარდგინება გაეგზავნა საქართველოს სსრ პროკურატურის სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოებში განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილებას.

რესპუბლიკის თითქმის არც ერთი სასამართლო არ იცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 325-ე მუხლის მოთხოვნებს მსჯავრდადებულებისათვის 3 დღის ვადაში განაჩენის ასლების ჩაბარების შესახებ. ხშირად საგამოძიებო იზოლატორში განაჩენები მოდის რამდენიმე თვით დაგვიანებით, რითაც ირღვევა მსჯავრდადებულთა საგამოძიებო იზოლატორიდან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაყვანის 10-დღიანი ვადა მისი გასამართლებიდან.

მაგალითად, მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — მ. ჭაფოძე) 1979 წლის 30 მარტს გაასამართლა ტ. ირემაშვილი, რომლის მიმართ ცნობა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ (როგორც გაუსაჩივრებელი) გამოგზავნა იმავე წლის 15 მაისს. ესე იგი 45 დღის დაგვიანებით. თეთრი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — თ. დარჩიაშვილი) 1979 წლის 3 მაისს გაასამართლა ტ. მამედოვი, რომლის მიმართ ცნობა განაჩე-

ნის კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ (როგორც გაუსაჩივრებელი) გამოგზავნა იმავე წლის 2 ივლისს, ესე იგი 2 თვის დაგვიანებით. ხოლო მსჯავრდადებულ ნ. მგელაძის მიმართ 2 თვისა და 7 დღის დაგვიანებით (გაასამართლა 1979 წლის 10 მაისს, ცნობა გამოიგზავნა 17 ივლისს).

ძალიან ბევრი შეცდომაა მსჯავრდადებულთა დემოგრაფიულ ცნობებში. დამახინჯებულია სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, კმაყოფაზე მყოფ პირთა შესახებ მონაცემები და სხვა, რომლებიც აუცილებელია არა მარტო განაჩენების ზუსტი აღსრულებისათვის, არამედ მსჯავრდადებულთა მიმართ მრავალი სხვა საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის (შეღავათების გამოყენება, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეწყალების მასალების სწორად გაფორმება, ამნისტიის თაობაზე ბრძანებულებათა გავრცელება და სხვ.).

ყველა ამ შეცდომების აღმოჩენა და მათი კანონიერი გზით შესწორება დიდძალ დროსა და ენერგიას ართმევს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაკებს. თუ მოსამართლეები განაჩენების გამოტანის დროს დაიცავენ კანონის მოთხოვნებს, ეს გაუადვილებს საქმიანობას შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციას, საშუალებას მისცემს მათ უფრო მეტი დრო მოანდომონ მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის საქმეს.

ვინ არის დამნაშავე?

ვინ არის დამნაშავე? — ეს კითხვა ხშირად დგას გამომძიებლის წინაშე. განსაკუთრებული სიმწვავით იგი მაშინ წამოიჭრება ხოლმე, როცა ერთი ამხელას მეორეს — დანაშაული ჩაიდინაო, მეორე კი, პირიქით, ამტკიცებს, ცილს მწამებენო. სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ხერხდება ამ კითხვაზე ნათელი, დამაჯერებელი პასუხის გაცემა. ხანდახან ობიექტური მიზეზების გამო ან დაშვებული შეცდომების შედეგად გამოძიება ჩიხში ექცევა ხოლმე, შეუძლებელი ხდება საჭირო მტკიცებულებათა შეგროვება და საქმის წარმოება წყდება. უმეტესად კი გამოძიება აღწევს ჭეშმარიტებას, უცილობელ პასუხს იძლევა დასმულ კითხვაზე. ქვემოთ სწორედ ერთი ასეთი შემთხვევაა აღწერილი.

1.

რაიონის პროკურორის მისაღებში ორი აქლოშინებული ახალგაზრდა შევიდა. ერთმა მათგანმა გაოცებული სქელი კისერი ცხვირსახოცით შეიმშრალა და მიმართა გოგონას, რომელიც პირადი მდივნის მაგიდას უჯდა:

— პროკურორი გვინდა...

— პროკურორს მიღება არა აქვს, მიბრძანდით თანაშემწესთან.

— პირადად პროკურორი უნდა ვინახულოთ, გადაუდებელი საქმე გვაქვს. გთხოვთ მოახსენოთ. — მკვახედ წარმოთქვა მეორემ, რომელსაც მღელვარებისაგან ფერი წასვლოდა. გოგონამ შეწყვიტა წიგნის კითხვა, მაგიდის ნასევრად გამოღებულ ზემო უჯრაში რომ ედო გაშლილი, და მთხოვნელებს შეხედგა. იგი აღგზნებულ, გამომწვევ მზერას წააწყდა. უნებლიეთ უჯრა მიხურა, წამოდგა და ზლაზვნით პროკურორის კაბინეტისაკენ გაეშურა. კარებთან შეჩერდა, ოდნავ შემობრუნდა და იკითხა:

— რა საკითხზე ხართ, ვინ ბრძანდებით?

— ძმები ვართ, მარშანიები[1], ხოლო იმას თუ რაზე მოვედით, იქ ვიტყვით. — ამაყად უთხრა იმავე ახალგაზრდამ და ხელი პროკურორის კაბინეტისაკენ გაიშვირა.

მდივანი მალე დაბრუნდა და მარშანიებს აუწყა, თანაშემწე მიგიღებთო. ამ წინადადებას ძმები ცივი უარით შეხვდნენ. პროკურორი იძულებული გახდა საქმე გადაედო და მათთვის მოესმინა.

მარშანიებმა პროკურორს მაგიდაზე დაუდეს ქაღალდი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ორი საათის წინათ მისცეს ქრთამი—600 მანეთი — რაიონის მილიციის მუშაკს — ცინაძეს, რომელიც აწარმოებდა მოკვლევას მათი მამის — ჯოტოს საქმის გამო. თხოვნის ავტორები ჩიოდნენ, ცინაძემ უსაფუძვლოდ დასდო ბრალი ჯოტოს ავტომანქანის ქურდობაში და დააკავაო, გარდა ამისა, ერთ-ერთ ძმას ხუტას დევნის როგორც დანაშულის თანამონაწილესო. ბოლო რომ მოეღოთ ცინაძის ძალმომრეობისათვის, გადაწ-

[1] გვარები შეცვლილია.

ყვიტეს მიეცათ ქრთამი და მაშინვე ემხილათ. თხოვნას თან ერთვოდა ფულის ნომრებისა და სერიების სია, ხუტამ მოკლედ გააცნო თხოვნის შინაარსი და დასძინა, ძმასთან ერთად დაინახა, თუ როგორ გამოცვალა ცინაძემ ფული ადგილობრივ შემნახველ სალაროში ვიღაც ახალგაზრდის მეშვეობით.

პროკურორმა ყურადღებით წაიკითხა თხოვნა და როცა მარშანიებმა ლაპარაკი დაამთავრეს, ხუტას მიუბრუნდა:

— რატომ ქრთამის მიცემამდე არ მიმართეთ საგამოძიებო ორგანოებს?

— ვერ მოვისაზრეთ, ამხანაგო პროკურორო! — დაუფიქრებლად მიუგო ხუტამ. მის სახეზე სინანული გამოიხატა.

— ასეთ საქმეში არა ვართ გამოცდილი, ბატონო! — ღიმილით დააყოლა მეორე ძმამ, რომელსაც ვაჟა ერქვა.

პროკურორმა შუბლი შეიჭმუხნა და მუქარით თქვა:

— თუ იცით, რომ განზრახ ცილისწამება მკაცრად ისჯება კანონით?!

— რას ბრძანებთ, თავს დავდებ მოსაჭრელად, თუ ერთი სიტყვა იქნება ტყუილი. მხოლოდ აჩქარდით, ფული არ გადამალოს...—მუდარით ნარმოთქვა ვაჟამ.

პროკურორმა მარშანიებს სთხოვა, მისაღებში მომიცადეთო, თვითონ კი დაფიქრდა. მომჩივანთა ნაამბობი დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მაგრამ მას წესად ჰქონდა, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდა, ყველაფერი აეწონ-დაეწონა. აშკარა იყო, ძმები განაწყენებული იყვნენ ცინაძეზე, რაც საეჭვოდ ხდიდა მათს განცხადებას და მოითხოვდა სიფრთხილეს შემოწმების მეთოდის შერჩევაში. მაგრამ თავისთავად ეს არ გამორიცხავდა ცინაძის მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. ასე იყო თუ ისე, მთელი სიგრძე-სიგანით ისმოდა საკითხი: უნდა დაწყებულიყო თუ არა დაუყოვნებლივ ფულის ძებნა ცინაძესთან. თუ ეს უკანასკნელი მექრთამე იყო, არ შეიძლებოდა ხელსაყრელი მომენტის გაშვება ნივთიერი მტკიცების აღმოსაჩენად. იქნებ პირიქით, მას ცილს სწამებდენ, გაჩხრეკა კი პატიოსანი ადამიანის დაუმსახურებელ შეურაცხყოფას ნიშნავდა. ცინაძის ბინის ჩხრეკის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო იმის საფუძველზე, სწორი იყო თუ არა მარშანიების განცხადება. მაგრამ სწორედ ამ განცხადების შესამოწმებლად იყო საჭირო ჩხრეკა. ყოველივე ეს მოჯადოებულ წრეს წააგავდა.

2

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ გადაწყდა გაჩხრეკა.

ცინაძე შინ იყო. მისვლის მიზანი რომ შეიტყო, კრინტი არ დაუძრავს. მოლუშული, უსიტყვოდ ადევნებდა თვალს ჩხრეკას. ოჯახის სხვა წევრებსაც არ გამოუმჟღავნებიათ მღელვარება. მხოლოდ ცინაძის ექვსი წლის გოგონა შეცბა, რომელიც მაშინვე ატირდა. პროკურორი გვერდით მიუჯდა მიუალერსა, შემდეგ გასართობი ამბავიც მოუთხრო და დაამშვიდა.

ცინაძის სახლში ფული ვერ იპოვეს...

ჩხრეკის დამთავრებისთანავე რაიონის პროკურატურაში მის დაკითხვას შეუდგნენ. ცინაძემ გადაჭრით უარყო ქრთამის მიღება და აღნიშნა, რომ დღეს ძმები მარშანიები თვალით არ მინახავსო. თუმცაღა მის ჩვენებას სიმტკიცე, თანმიმდევრობა აკლდა, თვით მას კი დაბნეულობა ეტ-

ყობოდა, ხშირად აზრი უწყდებოდა, იძულებული იყვნენ კითხვები გაემეორებინათ, დროდადრო აღშფოთებას გამოთქვამდა მარშანიების მისამართით, მათ პროვოკატორებს უწოდებდა.

მარშანიები — ჯერ ხუტა, მერე კი ვაჟა უყოყმანოდ დაადგნენ პირზე ცინაძეს, წარბშეუხრელად ჩამოთვალეს ყველა წვრილმანი, რაც ქრთამის მიცემასთან იყო დაკავშირებული. ცინაძე კი დამნაშავის გამომეტყველებით იღიმებოდა.

დასკვნა პიროვნების ბრალეულობის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს საქმის ირგვლივ შეგროვილი ყველა მტკიცებულების ანალიზის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ეს არის ერთ-ერთი უმარტივესი დებულება მართლმსაჯულებისა, მაგრამ რწმენა იმისა, დამნაშავეა თუ არა განსასჯელი, გამომძიებელს, ჩვეულებრივ, გამოუმუშავდება გაცილებით ადრე. მის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებს ცალკეული ღონისძიებანი, რომლებსაც იგი განახორციელებს. ამას შედეგად მოჰყვება ობიექტური მონაცემების, მტკიცებულებათა მოპოვება. სწორედ მათ უნდა ემყარებოდეს როგორც გამომძიებლის, ისე სასამართლოს რწმენა. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ საგამოძიებო მოქმედება არ გვირგვინდება წარმატებით. მიუხედავად ამისა, მან შეიძლება გარკვეული შთაბეჭდილება შეუქმნას გამომძიებელს. ასე იყო მარშანიებთან ცინაძის დაპირისპირების შემდეგ. მართალია, დაპირისპირებას შედეგი არ მოჰყოლია, ორთავე მხარე გაიძახოდა, მე ვარ მართალიო, მაგრამ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცინაძე ტყუოდა, ნან ქრთამი აიღო და ფულის გადამალვა მოასწრო. შთაბეჭდილება, თუ ის არ არის დაფუძნებული ობიექტურ მონაცემებზე, რასაკვირველია, ნაკლებად სანდოა. მაგრამ იგი როგორღაც თავისთავად აეკვიატება გამომძიებელს, განსაკუთრებით საქმის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ ყველაფერი ბინდით არის მოცული. ასეთი შთაბეჭდილებები რომ არსებობს, ამაში არაფერია ცუდი. შეუწყნარებელი ის არის, რომ გამომძიებელი მათი გავლენით მოქმედებს, რადგან ამას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს.

ხუტა მარშანიას წინადადება მიეცა თანამონაწილეების თანდასწრებით ეჩვენებინა ფულის გადაცემის ადგილი. მან მიუთითა პურის სარეალიზაციო ფარდული, რომლის ახლოს პატარა არხი გადიოდა. არხის მარცხენა ნაპირზე, ფარდულიდან ათიოდე მეტრზე იდგა ნაძვის ხე. ხუტამ განაცხადა, ცინაძეს ფული ამ ხის ახლოს გადავეციო. ამის თაობაზე შედგა სათანადო ოქმი. შემდეგ ანალოგიური წინადადება მიეცა ვაჟას. როცა ფარდულთან მივიდა, მან ხელით საკმაოდ დიდი ფართობი მოხაზა და თქვა:

— აი, აქ.

როცა უფრო კონკრეტული პასუხი მოსთხოვეს, ვაჟამ გაუბედავად, ყოყმანით მიუთითა ადგილზე, რომელიც არხის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა.

— კარგად გახსოვთ?

გამომძიებლის ეს სიტყვები გაისმა როგორც გაფრთხილება. ვაჟა არ დაიბნა.

— არა, აქ კი არა, აი იქ!

წამოიძახა და არხის მოპირდაპირე ნაპირისაკენ გაიშვირა ხელი ისე, რომ გამომძიებლისათვის თვალი არ მოუშორებია. გამომძიებელი მიხვდა

შეცდომა რომ დაუშვა. სიბრაზისაგან ტუჩი მოიკვნიტა, მაგრამ გვიან იყო.

უწინარეს ყოვლისა, გამომძიებელს უნდა ახასიათებდეს მიუკერძოებლობა, თავშეკავება. მისი მოვალეობაა ზუსტად აღნუსხოს ყველაფერი, რასაც ნახავს და გამოარკვევს. ერთია მტკიცებათა გამოვლენა და სწორი ფიქსირება, მეორე —მათი შეფასება. შთაბეჭდილებამ, რწმენამ გამომძიებელს არ უნდა დააკარგვინოს ობიექტურობის გრძნობა.

3.

გამომძიებელმა 6 აგვისტოს დალუქა ქალაქის შემნახველი სალარო, მეორე დღეს კი შეუდგა ფულის ნიშნების ნომრებისა და სერიების აღწერას. მათ შორის არ აღმოჩნდა ის ნომრები, რომლებიც მარშანიების მიერ წარმოდგენილ სიაში ირიცხებოდა. დაადგინეს ყველა პირი, ვინც 6 აგვისტოს შემნახველ სალაროდან ფული გაიტანა. მაგრამ ამანაც არაფერი მოიტანა. ზოგს მიღებული თანხა უკვე დაეხარჯა. ვისაც შემონახული ჰქონდა, გამოძიებისათვის საინტერესო არ აღმოჩნდა.

დაკითხეს მოლარეც, რომელმაც გაიხსენა, რომ ფულის გამოსაცვლელად დილით შემნახველ სალაროში მივიდა ერთი ყმაწვილი. ცინაძეს ვიცნობო, განაცხადა მან, მაგრამ დღეს არ მინახავსო. დაუყოვნებლივ გამოიძახეს ის ყმაწვილიც, რომლის გვარი და სახელი მოლარემ იცოდა. გამოირკვა, რომ იგი ცინაძეს არ იცნობდა, ხოლო სალაროში გამოცვალა საკუთარი ფული (წვრილი მსხვილზე), რასაც კოსტიუმის საყიდლად აგროვებდა.

დაკითხვაზე ვაჟა მარშანია გაეცნო შემნახველი სალაროს შემოწმების შედეგს. მან ყველაფერი მშვიდად მოისმინა და უდრტვინველად დაასკვნა:

— ესე იგი ცინაძეს არ გადაუცია ფული ყმაწვილისათვის. ნუთუ მომეჩვენა? ნეტა, რას დაბორიალობდა სალაროში?

პირველ დაკითხვაზე ვაჟა გადაჭრით ამტკიცებდა, დავინახე ცინაძემ ხუტას მიერ შეხვეული ექვსასი მანეთი ჯიბიდან რომ ამოიღო, ქაღალდი გახსნა და ნაწილი ფულისა ახალგაზრდას გადასცაო. ახლა, ვითომც აქ არაფერიო, უარი თქვა ამ ჩვენებაზე. საქმე არც ისე მარტივი ჩანდა.

ხუტა მარშანია პირველ დაკითხვაზე გამოძიებას არწმუნებდა, ცინაძეს ერთამის მიცემის თაობაზე სამ აგვისტოს შევუთანხმდი, როცა ამ მიზნით მას ქალაქის ცენტრში შევხვდიო. ჯოტო მარშანიას ბრალდების საქმეში იყო ორი ოქმი, შედგენილი იმასთან დაკავშირებით, რომ ცინაძეს ორჯერ მიუკითხავს ხუტასათვის სოფელში, მაგრამ იგი შინ არ დახვედრია. ოჯახის წევრებს განუცხადებიათ, რამდენიმე კვირაა შინ არ მოდის და არც გვატყობინებს, სად არისო. ხუტამ, რასაკვირველია იცოდა ეს და საეჭვო იყო, რომ ალალბედზე წასულიყო იმ კაცთან შესახვედრად, რომელიც მას დასაჭერად ეძებდა.

მოხერხდა ალიბის შემოწმება, რომელიც მარშანიამ პირველსავე დაკითხვაზე წამოაყენა. შემოწმება ისე მოეწყო, რომ გამოირიცხა მარშანიას მიერ დასახელებულ პირებთან ცინაძის შეხვედრის, აგრეთვე ამ პირებს შორის ერთმანეთთან მოლაპარაკების შესაძლებლობა. დადგინდა, თუ რა დროს, სად იყო იგი ექვს აგვისტოს, მოწმეები, რასაკვირველია, შეიძლება

შემცდარიყვნენ დროის განსაზღვრაში, მაგრამ მათი ჩვენებების მტკიცებითი მნიშვნელობა ის იყო, რომ, როგორც გამოირკვა, ცინაძე მთელი დღე ამა თუ იმ წრეში ყოფილა, არ განმარტოვებულა და ქრთამის ასაღებად მარშანიებს არ შეხვედრია. ისიც დადგინდა, რომ პურის ფარდულის გამყიდველი კარგად იცნობდა ცინაძეს და იმ დღეს იგი ფარდულის ახლოს არ უნახავს.

ძალიან ცუდად გამოიყურებოდენ საქმიდან ჯოტო და ხუტა მარშანიები. მათ ბრალი ედებოდათ მეზობელი სოფლის კოლმეურნის ეზოდან მანქანის ქურდობაში. მამა-შვილს მალულად გაუყიდიათ მოპარული მანქანის ნაწილები. ცინაძე დიდი გულმოდგინებით მოჰკიდებია საქმეს, გამოუვლია და დაუკითხავს მოწმეები, უპოვია წივთმტკიცებანი.

საჭირო იყო მარშანიების ოჯახის კარგად შესწავლა.

თანასოფლელები მათ აუგად იხსენიებდნენ. ზოგი ხმამაღლა, ზოგიც შიშნარევი ხმით ამბობდა: „კოლმეურნეობაში მუშაობით ისინი არ იწუხებდნენ თავს. მიუხედავად ამისა, გამართული სახლ-კარი აქვთ მარტო სოფელში კი არა, ქალაქშიც“.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ვაჟა მარშანია ორჯერ ყოფილა ნასამართლევი. პირველად — პირუტყვის ქურდობისათვის, მეორედ კი ბოროტი ხულიგნობისათვის. როცა ჰკითხეს, რატომ დამალა ეს ფაქტი, ვაჟამ შეუტია:

— რად უნდა მეთქვა, ორჯერვე ტყუილად ვიჯექი.

4.

გამოძიება დაინტერესდა გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმეებით შინაური პირუტყვის ქურდობის თაობაზე ზუგდიდსა და მის ახლომახლო რაიონებში. ყურადღება მიიქცია რაიმილიციაში აღმოჩენილმა საქმემ ხუტა მარშანიას ბრალდების გამო, რომელიც შეჩერებული იყო წარმოებით დამნაშავის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის საბაბით. საქმიდან ირკვეოდა, რომ მან რაიონის კოლმეურნეებს მოჰპარა და სხვა რაიონში გაყიდა ექვსი კამეჩი, გამოიყენა ამ მიზნით ყალბი ცნობები, ვითომც კამეჩები მას ეკუთვნოდა. ხუტა მარშანია ამოსაცნობად წარუდგინა მყიდველებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ კამეჩები მისგან შეიძინეს. გრაფიკულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ყალბი ცნობები ხუტას ხელით იყო შედგენილი. ამის შემდეგ დამნაშავე იძულებული გახდა გამომტყდარიყო, მან აღიარა, კამეჩები მოვიპარე და სხვა რაიონში გავყიდეო.

ხუტა მარშანია დააპატიმრეს.

მომჩივანთა სახე უკვე საკმაოდ ნათლად იყო გამოკვეთილი. მამა-შვილი ჯოტო და ხუტა მარშანიები გამოცდილი ქურდები იყვნენ. ბრალდება ქრთამის მიცემაზე ბევრ ნაწილში არ დადასტურდა, მაგრამ ამოცანა, რომელიც გამოძიების წინაშე იდგა, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი იყო.

ძმებმა მარშანიებმა დაკითხვაზე განაცხადეს — ექვსასი მანეთი, რომელიც ქრთამის სახით ცინაძეს მივეცით, ზუგდიდში ვისესხეთ მამიდის—ოზეფინა მანიას რეკომენდაციით ნაპო ერაძისაგანო. როგორც მოსალოდნელი იყო, ერაძემ დაადასტურა მათი ჩვენება და თანაც განმარტა, ფული მანიას ეკუთვნოდა, შესანახად მქონდა მობარებულიო. მანიამაც ასეთივე

ჩვენება მისცა, თუმცა ხეირინად ვერ ახსნა, თუ რატომ ინახავდა ფულს ერაძესთან. ჩატარდა ვაჟა მარშანიას, ნაპო ერაძის და ჟოზეფინა მანიას პარალელური, დეტალიზებული დაკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რამაც არსებითი წინააღმდეგობანი გამოავლინა მათ ჩვენებებში. აი ზოგი მათგანი:

ვაჟა მარშანიამ თქვა, ჩემთვის სასესხებელი ფულის ნაწილი ერაძემ მეზობელს წაართვა, ნახევარ საათზე მეტი მალოდინა, ვიდრე მისგან დაბრუნდებოდაო. ერაძემ კი აჩვენა, ფული კარადაში მქონდა შენახული, გამოვიღე და იქვე გადავეცი მარშანიასო.

ჟოზეფინა მანიამ კარგა ხანს დააგვიანა პასუხი, როცა ჰკითხეს, როდის მიუტანა ფული შესანახად ერაძეს, ბოლოს უკმაყოფილოდ შეხედა გამომძიებელს და მიახალა:

— დაახლოებით ერთი თვის წინათ!

ეს კითხვა არც ერაძეს მოეწონა, რომელმაც ამჯობინა თავი აერიდებინა პირდაპირი პასუხისათვის. მან თავი დახარა და წაიბურტყუნა, არ მახსოვსო. გამომძიებელი არ მოეშვა, მაინც რამდენი ხანი იქნება გასული მას შემდეგ, კვირა, თვე თუ წელიწადიო. არ შემიძლია გიპასუხოთო, ჯიუტად გაიმეორა მან.

გამომძიებელი ემზადებოდა ახალი ღონისძიებების განსახორციელებლად, მაგრამ მოულოდნელად კვანძი გაიხსნა.

მარშანიების მიერ წარმოდგენილ სიაში, რომელიც მათ განცხადებას ერთვოდა, სხვადასხვა ღირებულების ას სამოცდაათი ფულადი ნიშანი იყო ჩამოთვლილი, შემოწმებით დადგინდა, რომ სიაში ნაჩვენები სერიების თითქმის ნახევარი მოგონილი იყო, ფული ასეთი სერიებით არ ყოფილა გამოშვებული.

ამ საკითხზე მიღებული წერილი გამომძიებელმა ნინ დაუდო ვაჟა მარშანიას და აუხსნა საქმის ვითარება. იგი ფეთიანივით წამოხტა, თვალები მუჭის ოდენა გაუხდა. მერე თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდაო, დიდხანს იჯდა უსიტყვოდ თავი ჩაქინდრა, მხრებში მოიკუნტა. ბოლოს საწყალი კაცის ვამომეტყველებით ძლივს ამოილუღლუღა.

— უფროსო, ახლა ნუ დამიჭერთ, საზამთროდ ბავშვებისათვის შეშა მაქვს დასამზადებელი, პირობას გაძლევთ სრულ სიმართლეს გეტყვით.

— თქვით, გისმენთ! — უთხრა გამომძიებელმა.

— არა, მეორედ რომ მოვალ, მაშინ გეტყვით.

მარშანიამ შინ წასასვლელად საპატიო მიზეზი დაასახელა, მაგრამ მისი თხოვნა გამომძიებელმა არ შეიწყნარა. არ უნდოდა მეორედ დაეშვა შეცდომა — იგი დააკავეს.

5.

ორი სათის შემდეგ ვაჟა მარშანიამ მოითხოვა, გამომძიებელმა გამომიძახოსო.

როცა ეს თხოვნა შეუსრულეს, მან გამომძიებელს გაუწოდა განცხადება. გამომძიებელმა სწრაფად ჩაიკითხა უშნოდ დაწერილი ირიბი სტრიქონები და მოკლე პასუხის შემდეგ ჰკითხა:

— აკი პირადად ცინაძეს მივეცით ფულიო?

— მაპატიე უფროსო, შევცდი, არ გამოვიდა კარგად... — ჩაილაპარაკა

მარშანიამ და გამომძიებელს თვალი აარიდა. მერე თითქოს რაღაც მოაგონდა, თამამად განაგრძო: — თუმცა რა განსხვავებაა. მე და ხუტა ვუთვალთვალებდით, როცა ქაღალდში შეხვეული ფული შუამავალმა წიკლაურმა ცინაძეს გადასცა. ეს იყო 6 აგვისტოს, იმ შენობის წინ, სადაც წიკლაური მუშაობს. სამ რიცხვში იგი პირველად მოელაპარაკა ცინაძეს. წიკლაურს არ სურს სიმართლე თქვას, მაგრამ პირზე დაადგებიან მოწმეები, რომლებიც მასთან ჩემს საუბარს ესწრებოდნენ.

განცხადებაში მარშანია მოწმედ ასახელებდა რამდენიმე პირს თავისი ახლო ნათესავების წრიდან.

გამომძიებელს უნებლიეთ თვალწინ წარმოუდგა დაკითხვები, როცა ძმები მარშანიები თავგამოდებით არწმუნებდნენ, ფული პირადად ცინაძეს მივეცით პურის ფარდულის ახლოსო.

— რა პირობით მიეცით ფული წიკლაურს? — ჰკითხა მას მშვიდად.

— ჩვენ გვინდოდა ცინაძე გამოგვეჭირა.

— მაინც როგორი მოლაპარაკება იყო?

— საქმე უნდა შეწყვეტილიყო, მამაჩემი პატიმრობიდან უნდა გაეთავისუფლებინათ.

— რა თანხა მიეცით?

— ფულის შესახებ ხომ უკვე გითხარით?

— თქვენ რომ გაქვთ ნათქვამი, ის ფული არ არსებობს.

— ჩვენი შედგენილი სია შეცვლილია. თქვენ არ გაბრალებთ... ალბათ, ვილაცამ იცულლუტა.

გამომძიებელს მწარედ ჩაეცინა.

საჭირო იყო ვაჟა მარშანიას ახალი ჩვენების სასწრაფოდ შემოწმება.

გრაფიკულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ საქმეში არსებული მარშანიების პირველ განცხადებაზე დართული ფულადი ნიშნების სია მათი ხელით იყო შედგენილი...

წიკლაური მარშანიების შორეული ნათესავი ყოფილა. მისი ჩვენება ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. იმ დღეებში, როცა მარშანიებმა ცინაძე დაასმინეს, განმარტა მან (შემდეგ ეს მართლაც დადასტურდა), პირველიდან რვა აგვისტომდე მივლინებით თბილისში ვიმყოფებოდიო.

მივლინებაში გამგზავრების წინ წიკლაურთან მისულა ჯოტო მარშანიას მეუღლე და უთხოვია, ქმრის საქმეზე ცინაძესთან მიმეგზავნეო, მაგრამ მასპინძელს იგი უარით გაუსტუმრებია, ცინაძესთან წაჩხუბებული ვარ და ორი წელია არ ველაპარაკებიო. თბილისიდან დაბრუნების შემდეგ წიკლაურთან მისულან ძმები მარშანიები ორი ნათესავის თანხლებით და უთხოვიათ, დაგვემოწმე, რომ ცინაძეს ქრთამი მივეცით, ამ წინადადებით აღშფოთებულმა, მარშანიები შინიდან გავყარეო, თქვა წიკლაურმა.

ეს ჩვენება დაადასტურა სამმა მოწმემ, რომლებიც მეზობელ ოთახში იმყოფებოდნენ და გაიგონეს მარშანიების საუბარი წიკლაურთან.

ცინაძემ უარყო შუამავლის მეშვეობით ქრთამის მიღების ახალი ვერსიაც. მარშანიების თხოვნით ჩემთან არავინ მოსულაო: წიკლაურთან დიდი ხანია დამდურებული ვარ იმის გამო, რომ ერთ-ერთ ქორწილში უმიზეზოდ შეურაცხყოფა მომაყენაო. ეს გარემოება რამდენიმე მოწმემაც დაადასტურა.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ერთ დეტალსაც. ცინაძეს სამ აგვისტოს უთხოვია რაიონის პროკურორისათვის სანქცია ჯოტო და ხუტა მარშანიების დაპატიმრებაზე. პროკურორს დაუკმაყოფილებია ეს თხოვნა ჯოტოს მიმართ, ხუტას შესახებ კი უთქვამს, ჯერ დაჰკითხე და საკითხი მერე გადავწყვიტოთო. ამის შემდეგ ცინაძეს ხუტასათვის შინ მიუკითხავს, მაგრამ ვერ უნახავს. ექვსში ნაშუადღევს, როცა მარშანიები უკვე სხვა რაიონში იყვნენ, ცინაძე კვლავ მისულა პროკურორთან ხუტას დაპატიმრებაზე სანქციის მისაღებად...

გამომძიებელმა გამოიძახა მოწმეები, რომლებიც ვაჟა მარშანიამ დაასახელა. მათმა დაკითხვამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ შეუძლებელია მოგონილი ფაქტის ყველა წვრილმანის გათვალისწინება და მათ ირგვლივ წინასწარი შეთანხმება.

წიკლაურთან დაპირისპირების დროს ვაჟა მარშანია უკვე აღარ გამოიყურებოდა ისე ყოჩაღად, როგორც წინათ. უკვე გრძნობდა, რომ ბრძოლა წაგებული ჰქონდა.

როცა გამომძიებელმა ცრუ დასმენის ყველა მამხილებელი საბუთი წარუდგინა, ერთხელ კიდევ გაიბრძოლა როგორც მომაკვდავმა:

— მზად ვარ დავიფოცო ილორის ხატზე, რომ ფული მივეცით...

გამომძიებელს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ქართული ანდაზით ეპასუხა:

— ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებსო.

6.

ქურდობა მძიმე დანაშაულია. მაგრამ ყველა, ვინც ამ დანაშაულს სჩადის, ერთნაირად საშიში როდია საზოგადოებისათვის. ბევრი გმობს თავის საქციელს და ცდილობს სწორ გზას დაუბრუნდეს. აღწევს კიდეც ამას. ზოგს კი მიაჩნია, რომ უფლება აქვს პატიოსან ადამიანთა შრომის ხარჯზე იარსებოს. ესენი არიან ქურდი-რეციდივისტები, საზოგადოების ხორცმეტნი. მათი ცხოვრება ბოროტმოქმედებათა ერთიან ჯაჭვს მოგვაგონებს. ისინი მზად არიან აღმართონ მზაკვრული ხელი ყველას თავზე, ვინც წინ აღუდგება მათს ბნელ საქმიანობას. ასეთ საშიშ დამნაშავეთა რიცხვს ეკუთვნიან მარშანიები, ისინი საძრახისად არ მიიჩნევდნენ იმას, რომ კოლმეურნეებს ჰპარავდნენ მანქანას, ძროხას. როცა მილიციის მუშაკი ცინაძე გადაეღობა მათ, ისინი გაცოფებული დაეძგერნენ მას. იცოდნენ, რომ კანონი სასტიკად დევნის მექრთამეს და გადაწყვიტეს ეს გამოეყენებინათ შურისძიების მიზნით. მაგრამ დაივიწყეს, რომ კანონი მხოლოდ ნამდვილ დამნაშავეს სჯის. ისინი მოტყუვდნენ ანგარიშში, რაც ძვირადაც დაუჯდათ...

სახალხო სასამართლომ ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ვაჟა და ხუტა მარშანიებს. საკადრისად მიეზღოთ ჯოტო მარშანიას და ცრუ მოწმეებს. ზემდგომმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ფ. ქოსაშვილი,

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი.

გურამ უგრეხელიძე



გურამ უგრეხელიძემ, პროფესიონალმა ადვოკატმა, თავისი ცხოვრების უმეტესი დრო ცოცხალ სიტყვასთან მუდმივ და დაუღალავ ჭიდილს მოანდომა. სიტყვასთან ჭიდილს მე აქ იმიტომ ვახსენებ, რომ ადვოკატისათვის თავის პროფესიულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ცოცხალი სიტყვა მთავარი იარაღია. ამის გამო ადვოკატი ამ იარაღს, როგორც მეომარი ისე უნდა ლესავდეს და სულ მუდამ საბრძოლოდ გამზადებული ჰქონდეს.

გურამ უგრეხელიძე დაიბადა 1909 წლის 25 დეკემბერს ქ. ქუთაისში. იგი ჯანსაღ ოჯახურ გარემოცვაში აღიზარდა. ადრეულ წლებში მის სულიერ საზრდოს ქართული ხალხური პოეზია, ზღაპრები და ლეგენდები წარმოადგენდა. მოგვიანებით ადვოკატი იხსენებდა ბავშვობაში გაგონილ ერთ ხალხურ ლექსს, რომელსაც უდიდესი გამაკეთილშობილებელი ზეგავლენა მოუხდენია მასზე. „ამ ლექსის ნამდვილი პოეტური ღირსება, — წერს იგი გაზეთ „ქუთაისში“ (1965, № 179) გამოქვეყნებულ ერთ წერილში — ჩემთვის გასაგები გახდა სიმწიფის წლებში და იგი მშველოდა კლასიკური მწერლობის შესწავლაში“.

გურამ უგრეხელიძემ ჩინებული განათლება მიიღო თბილისის უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, სადაც ის 1926 წელს ჩაირიცხა. აქ იგი ისმენდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, გიორგი (ზოზო) ნანეიშვილის, იროდიონ სურგულაძის და სხვა პროფესორების ღრმაშინაარსიან ლექციებს. მომავალი სასამართლო ორატორის პროფესიულ ფორმირებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა მაინც ლუარსაბ ანდრონიკაშვილს უნდა მოეხდინა. ლ. ანდრონიკაშვილი სტუდენტობას მარტო თეორიულ ცოდნას კი არ გადასცემდა. იგი ახალგაზრდებს აყვარებდა მჭევრმეტყველების კულტურასაც, რომლის უბადლო ოსტატიც თვითონ გახლდათ როგორც რევოლუციამდელი რუსეთის გამოჩენილი ადვოკატი და თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი პიროვნება.

სტუდენტობის წლებში გურამ უგრეხელიძე დიპლომატიურ კარიერაზე ოცნებობდა და ამიტომ ძლიერ იყო გატაცებული საერთაშორისო სამართლის კურსის შესწავლით. მაშინ ამ დისციპლინას იურიდიულ განყოფილებაზე საერთაშორისო სამართლისა და ევროპული ენების, განსაკუთრებით კი ინგლისურის, შესანიშნავი მცოდნე ერეკლე ტატიშვილი კითხულობდა. გურამ უგრეხელიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე ტატიშვილთან, რომლის შემწეობით არა მარტო საერთაშორისო სამართლის მეცნიერებას ეუფლებოდა, არამედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით გულდასმით ემზადებოდა აგრეთვე ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში.

გურამ უგრეხელიძემ საუნივერსიტეტო განათლება 1931 წელს დაასრულა. ერთხანს იგი მოსკოვის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრაზე მუშაობდა პროფესორ კოროვინთან. მაგრამ ამ კათედრის გაუქმების გამო 1933 წელს საქართველოში დაბრუნდა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის იურისკონსულტად დაიწყო მუშაობა, ხოლო შეთავსებით საადვოკატო პრაქტიკასაც ეწეოდა. 1937 წლიდან კი მთლიანად ამ საქმიანობას მოჰკიდა ხელი.

ადვოკატურაში მოღვაწეობის ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გურამ უგრეხელიძემ მრავალ სასამართლო პროცესში მიიღო მონაწილეობა და არაერთი შთამაგონებელი დაცვითი სიტყვაც წარმოთქვა. დასანანია, რომ მის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული დაცვითი სიტყვის ნიმუშები ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი, რადგანაც მათი სტენოგრაფირება არ ხდება, თვითონ ადვოკატი კი თავისი გამოსვლის ტექსტს წინასწარ არ წერს. ძველ ბერძენ მოა-

ზროვნეთა მსგავსად მას მიაჩნია, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატის პოლემიკური გამოსვლა ვერ ეტევა წინასწარ შემზადებული ტექსტის ჩარჩოებში და რომ მსმენელებზე ჯეროვანი ზემოქმედების მოსახდენად უშუალოდ წარმოთქმულ ცოცხალ სიტყვას ვერაფერი შეედრება. ამის საწინააღმდეგო აბა ვის რა უნდა ჰქონდეს! მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ზეპირად ნათქვამი სიტყვა მალე იშლება მსმენელის მეხსიერებიდან და დავიწყებას ეძლევა.

ადვოკატის პროფესია ძალზე რთულია და ამ სირთულეს სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მაინც ის გახლავთ, რომ ადვოკატი, უპირველეს ყოვლისა, შესანიშნავი მჭევრმეტყველი უნდა იყოს, რაც რჩეულთა ხვედრია. მჭევრმეტყველობა, როგორც ცნობილია, თავისებური ხელოვნებაა და ადამიანისაგან საგანგებო ნიჭიერებას მოითხოვს. სასამართლო მჭევრმეტყველებაც ოდითგანვე ორატორული ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად სახედ არის აღიარებული. გურამ უგრუხელიძე შესანიშნავად ფლობს ამ ხელოვნებას. მას ამისათვის კარგი ბუნებრივი მონაცემები აქვს: საკმარისი სიძლიერის ხმა, საუკეთესო დიქცია, აზრის ზუსტად და ნათლად გადმოცემის უნარი, რასაც ემატება მშობლიური ენის ღრმა ცოდნა. ამიტომ არის, რომ იგი ბუნებრივად, ლაღად, დაუძაბავად მეტყველებს და ძალაუნებურად იზიდავს მსმენელის ყურადღებას. მის გამოსვლაში იგრძნობა აგრეთვე ძლიერი ტემპერამენტი, რაც კიდევ უფრო ზრდის მსმენელებზე გავლენის ძალას. მაგრამ ემოციურ ელემენტს გურამ უგრეხელიძე უზომოდ, არაეკონომიურად როდი იყენებს. ემოცია მის გამოსვლაში ვერასდროს ვერ ჩრდილავს ლოგიკას. მსმენელებზე ზემოქმედებას იგი ძირითადად სწორედ ლოგიკური არგუმენტაციის წყალობით აღწევს.

გურამ უგრეხელსათვის, როგორც სასამართლო ორატორისათვის, მჭევრმეტყველება თვითმიზანი როდია. მისთვის უცხოა და მიუღებელი სიტყვის უსაგნო თამაში. მას შეუძლია თამამად გაიმეოროს პოეტის სიტყვები: „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა“. გურამ უგრეხელიძე უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეულ საქმეს. იგი ამ დროს მთელი არსებით არის განმსჭვალული პროფესიული მოვალეობის გრძნობით და ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ განსასჯელის სკამზე ზის ადამიანი, რომელიც ზოგჯერ ალალმართალია, ზოგჯერ შეიძლება დამნაშავეც, მაგრამ მაინც ადამიანი, ვინც წუხს, დარდობს, ვისაც ტკივა, ყავს ოჯახი, აქვს კანონიერი უფლებები და დამცველისაგან შველას ითხოვს.

სამსჯავრო პროცესის წარმართვა, როგორც ცნობილია, თავისებური და რთული ხელოვნებაა, სადაც მთავარ როლს სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს. მაგრამ პროცესის სხვა მონაწილეებსა და, მათ შორის, ადვოკატსაც შეუძლია ღრმა კვალი დაამჩნიოს პროცესის მსვლელობას. თანამედროვე სამჯავრო პროცესი შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული. ბრალდებასა და დაცვას შორის შეჯიბრებაა გამართული და იმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც უფრო ძლიერია. გურამ უგრეხელიძე ამ ორთაბრძოლაში, შეიძლება ითქვას, ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. თუმცა გამარჯვება პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. შეჯიბრება ამ შემთხვევაში ემყარება არგუმენტაციისა და დარწმუნების ძალას. თუკი ადვოკატმა შეძლო დაერწმუნებინა საზოგადოება თავისი პოზიციის სისწორეში, იგი უთუოდ გამარჯვებულია, მიუხედავად იმისა, გაიზიარა თუ არა მისი აზრი სასამართლომ.

გურამ უგრეხელიძე, როგორც კარგი რეჟისორი სპექტაკლს, ისე წარმართავს სამსჯავრო პროცესს და უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ, თუნდაც სულ უმნიშვნელო დეტალს, რომელიც სამართალში მიცემულის სასარგებლოდ მეტყველებს. როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგე და მებრძოლი, იგი არა მარტო საუკეთესო ტაქტიკოსია, არამედ დიდებული სტრატეგიც. მის მიერ პროცესის მონაწილეთათვის დასმული კითხვები მოულოდნელ ეფექტებზეა აგებული და ფრიად გონებამახვილურია. ამავე დროს ეს კითხვები ღრმად გააზრებული და შორს გაფიზნულია. სამსჯავრო გამოძიების დროს იგი ოსტატურად ახდენს სამართალში მიცემულისა და სხვათა დაკითხვას და ააშკარავებს მათ შორის არსებულ წინააღმდეგობებს, იშვიათი ხელოვნებით ავლენს ბრალდების სუსტ მხარეებს და უხვად აგროვებს მასალებს პროცესის დასკვნითი სტადიის — მხარეთა კამათისათვის. გურამ უგრეხელიძის გამოსვლას სასამართლო პროცესზე თავიდან ბოლომდე გასდევს ერთიანი ხაზი, რომელიც სასამართლოს ლოგიკური აუცილებლობით აიძულებს გაიზიაროს მხოლოდ ადვოკატის მიერ წამოყენებული ვერსია.

გურამ უგრეხელიძე სასამართლოში, მართალია, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოდის, მაგრამ ამ სფეროდან ის ყველა საქმეს კი არ ჰკიდებს ხელს. მას უმთავრესად აინტერესებს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული

დანაშაულებები: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, უკანონო აბორტი და ზოგიერთი სხვ. ეს იმიტომ, რომ ადვოკატს ძლიერ იზიდავს ადამიანის ემოციური სამყარო. მას უყვარს დამნაშავის სულის სიღრმეში ჩაწვდომა, სწორედ ამ დანაშაულების ჩადენის დროს გდაეჯაჭვება ხოლმე ერთმანეთს დაზარალებულისა და დამნაშავის ზნეობრივ-სამართლებრივი მოვალეობანი, როცა არც ისე იოლია იმის გარკვევა, თუ შექმნილ ვითარებაში, რამაც დანაშაული გამოიწვია, ვინ უფრო მეტი შესცოდა, დამნაშავემ თუ დაზარალებულმა. ბევრ შემთხვევაში სწორედ ამის გარკვევაზეა დამოკიდებული პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაც.

მინდა ყურადღება გავამახვილო გურამ უგრეხელიძის როგორც ადვოკატის კიდევ ერთ მეტად საინტერესო თვისებაზე. ხშირად ამა თუ იმ პროფესიას ხალხის თვალში ავტორიტეტს ამ პროფესიის ცალკეული საუკეთესო წარმომადგენლები უქმნიან. ასეა ამ შემთხვევაშიც. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია გურამ უგრეხელიძისათვის პროცესზე, შეუძლებელია ღრმად პატივისცემის გრძნობით არ განიმსჭვალოს საზოგადოდ ადვოკატის პროფესიის მიმართ. მისი ყოველი გამოსვლა სასამართლოში ნამდვილი სკოლაა დამსწრეთათვის. ისინი თვალნათლივ ხედავენ და გრძნობენ, რომ სამართალში მიცემულის დაცვა არ არის ვინმეს კერძო საქმე, რომ დაცვის ინსტიტუტს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. პროცესზე გამოსვლისას გურამ უგრეხელიძე იმ მწერალს ჰგავს, რომელსაც ცხოვრების რომელიმე კერძო შემთხვევის აღწერიდან საზოგადოებრივი მორალი გამოჰყავს და მკითხველს ამ მორალური ნორმის დაცვისათვის განაწყობს. გურამ უგრეხელიძის დაცვითი სიტყვა როდი გახლავთ პასიური დაცვის ნიმუში. მე მას ვუწოდებ აქტიურ დაცვას. ეს არ არის მხოლოდ იმ კონკრეტული ადამიანის დაცვა, რომლის გამოც ადვოკატი სასამართლოში გამოდის. მსმენელი მის გამოსვლას აღიქვამს მხილებად ყოველგვარი უსამართლო ბრალდებისა და, ამგვარად, ის თავისებური საბრალდებო სიტყვაც არის. ამით გურამ უგრეხელიძე მნიშვნელოვან აღმზრდელობით ეფექტს აღწევს. დამსწრე საზოგადოება ადვოკატის გამოსვლით უდიდეს მორალურ კმაყოფილებას განიცდის, რაც ხელს უწყობს ადამიანებში სამართლებრივი გრძნობის გაღვიძებას.

გურამ უგრეხელიძე ყოველ ღონეს ხმარობს სამართალში მიცემულის ინტერესების დასაცავად. მაგრამ ის მამხილებელი პათოსი, რომელიც მისი დაცვითი სიტყვისათვის არის დამახასიათებელი და რომელსაც აქტიური დაცვა ვუწოდეთ, სრულიადაც არ გულისხმობს საადვოკატო ეთიკის ნორმების უგულვებელყოფას. შეიძლება თამამად ითქვას რომ, ეთიკის თვალსაზრისით, გურამ უგრეხელიძის გამოსვლა პროცესზე სანიმუშო და მისაბაძიც კია ბევრისათვის. თუმცა ეს არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როცა დაზარალებულის მცდარი, ზოგჯერ კი ზნეობრივად მიუღებელი ქცევა დანაშაულის უშუალო გამომწვევი მიზეზი გახდა და დაზარალებულის მხარესა და სამართალში მიცემულს შორის გამწვავებული ურთიერთობაა. ამ დროს სამართალში მიცემულის ეფექტიანი დაცვა ისე, რომ არ შეიბღალოს დაზარალებულის ღირსება, ადვოკატისაგან დიდ ტაქტსა და დახვეწილ კულტურას მოითხოვს. მე მაგონდება ერთი განმაურებული საქმე, სადაც ბატონმა გურამმა მისთვის ჩვეული ტაქტით ადვილად დაძლია აღნიშნული სირთულე. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ დაზარალებულის ახლობლებმა თავი ვეღარ შეიკავეს და პროცესის დამთავრების შემდეგ გულწრფელი მადლობა გამოხატეს ადვოკატის მიმართ მიცვალებულის გულთბილად მოხსენიების გამო.

გურამ უგრეხელიძე ეროვნული ორატორული ხელოვნების მდიდარი ტრადიციების ერთე-რთი საუკეთესო გამგრძელებელი, მრისხანე პროცესუალური მოწინააღმდეგე და შესანიშნავი პოლემისტია. სასამართლოში იგი თითქმის თანაბარი სიძლიერით გამოდის, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე და, ამავე დროს კარგად იცის ინგლისურიც. გურამ უგრეხელიძე მხურვალე მამულიშვილი და უაღრესად პრინციპული ადამიანია. იგი ისეთი პიროვნებაა, რომლისათვისაც უცხოა ცხოვრებაში რაიმე კომპრომისი და გაორება. ალბათ ამიტომაც არის, რომ ყოველთვის ცდილობს თავი აარიდოს დაზარალებულის ინტერესების დაცვას. მას სწამს რომ ადვოკატი, რომელიც დაზარალებულის მხარეზე გამოდის, არსებითად შენიღბული სახით ბრალმდებლის ფუნქციას კისრულობს და ამით ღალატობს თავის პროფესიულ მოვალეობას.

საადვოკატო საქმიანობასთან ერთად გურამ უგრეხელიძე ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწევა. ამაში მას ხელს უწყობს ფართო ისტორიულ-ლიტერატურული განათლება. იგი არა მარტო მშობლიური მწერლობის ჩინებული მცოდნეა, არამედ კარგად იცნობს აგრეთვე რუსულ და

ინგლისურ ლიტერატურასაც. მან რამდენიმე საინტერესო წერილი უძღვნა „ვეფხისტყაოსანს". ზოგიერთმა მისმა დებულებამ რუსთველოლოგთა მოწონებაც დაიმსახურა. (იხ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 135). საგულისხმოა აგრეთვე გაზეთ „ქუთაისში" (1965, № 175, 180) დაბეჭდილი ერთი წერილი, სადაც ავტორი ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებად ბავშვთა და მოზარდთა ბუნებასთან უშუალო სიახლოვეს მიიჩნევს.

გურამ უგრეხელიძის კალამი მთარგმნელობითს სფეროსაც გადასწვდა. მან ინგლისურიდან უ. შექსპირის რამდენიმე სონეტი გადმოთარგმნა ლაღი და ბუნებრივი ქართულით. თავის შემოქმედებითს საქმიანობაში იგი იმ პრინციპით ხელმძღვანელობს, რომ სათარგმნი ნაწარმოები მთარგმნელის გუნება-განწყობას და ეპოქის სულისკვეთებას უნდა ეხმაურებოდეს. ალბათ ამიტომაც მიიპყრო მისი ყურადღება უ. შექსპირის უკვდავმა 66-ე სონეტმა, რომლის პირველი სტროფი გ. უგრეხელიძისეულ თარგმანში ასე ეღერს:

„გაბეზრებული ვუხმობ სიკვდილს, —
სწუხან თვალები,
რომ კაცთ ღირსება დღეს მათხოვრად
ვნახე შობილი,
და საზეიმოდ მოკაზმულან ნაძირალები
და წმინდა რწმენა წარყვნილია და
დაგმობილი".

გურამ უგრეხელიძე ადვოკატთა უფროს თაობას ეკუთვნის. რასაკვირველია, ახალგაზრდა აღარ ეთქმის კაცს, რომელმაც უკვე სამოცდაათ წელს გადააბიჯა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი კვლავ მხნედ გამოიყურება და ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს ერთხელვე არჩეულ გზას. ვუსურვოთ ბატონ გურამს ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალ-ახალი წარმატებანი შემოქმედებითს საქმიანობაში.

ო. გამყრელიძე

ოფიციალური მასალა

დანიშვნები

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის 1980 წლის 10 იანვრის ბრძანებით (№ 9-ის) იუსტიციის უმცროსი მრჩეველი მანანა ვლადიმერის ასული ჟურდაძე დანიშნულია საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსად და დამტკიცებულია რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრად.

მანანა ვლადიმერის ასული ჟურდაძე დაიბადა 1943 წლის 14 სექტემბერს ქ. ხაშურში. ეროვნებით ქართველია. 1950-1960 წლებში სწავლობდა ხაშურის მე-13 რკინიგზის საშუალო სკოლაში. 1960 წელს შევიდა თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1966 წელს. იმავე წლის დეკემბრიდან მუშაობ სტაჟიორ-გამომძიებლად ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიპროკურატურაში. 1969 წლის იანვრიდან გადაჰყავთ საქართველოს სსრ პროკურატურაში სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად. 1975 წლის ოქტომბერში აირჩიეს თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად. კომკავშირის რიგებში შევიდა 1958 წელს. 1978 წლიდან სკკპ წევრია. არაერთხელ არის არჩეული რესპუბლიკის პროკურატურის და თბილისის საქალაქო სასამართლოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. რესპუბლიკის პროკურორის მიერ რამდენჯერმეა წახალისებული და დაჯილდოებული.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის 1980 წლის 1 ივლისის ბრძანებით (№ 357-ის) იუსტიციის უფროსი მრჩეველი დიმიტრი სამსონის ძე ჩიტლოვი დანიშნულია საქართველოს სსრ პროკურატურის საკონტროლო-საინსპექტორო განყოფილების უფროსად და დამტკიცებულია რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის წევრად.

დიმიტრი სამსონის ძე ჩიტლოვი დაიბადა 1935 წელს, წალკის რაიონის სოფელ ახალიკში, კოლმეურნე-გლეხის ოჯახში. ეროვნებით ბერძენია, 1953 წელს დაამთავრა წალკის რუსული პედაგოგიური სასწავლებელი. 1953-1954 წლებში მუშაობდა ახალქალაქის რაიონში პედაგოგად. 1954-1957 წლებში საბჭოთა არმიის რიგებშია. 1955 წლიდან სწავლობს სარატოვის სახელმწიფო იურიდიულ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1961 წელს, მას შემდეგ მუშაობს პროკურატურის ორგანოებში. 1961-1962 წლებში წალკის რაიპროკურატურის გამომძიებელია. 1963 წლის იანვრიდან 1965 წლამდე თეთრი წყაროს რაიონის პროკურორის თანაშემწეა. 1965-1972 წლებში მუშაობს წალკის რაიონის პროკურორად. 1972 წლის აგვისტოდან რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალურ აპარატშია. სხვადასხვა დროს ეკავა საგამოძიებო განყოფილების პროკურორის ანალიტიკური მუშაობის დარგში რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწის, კადრების განყოფილების პროკურორის, კადრების განყოფილების უფროსის მოადგილის, საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობები.

კომკავშირის რიგებშია 1949 წლიდან. სკკპ წევრია 1957 წლიდან. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 10 სამეცნიერო შრომის, მათ შორის ერთი მონოგრაფიის ავტორი. არჩეული იყო წალკის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატად, პარტიის წალკის რაიონული კომიტეტის წევრად. არაერთხელ არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის მიერ.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის რ. ა. რუდენკოს 1980 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებით (№ 640-ის) იუსტიციის უფროსი მრჩეველი **რევაზ ვიქტორის ძე ყიფიანი** დანიშნულია ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორად ოლქის პროკურორის უფლებით.

რევაზ ვიქტორის ძე ყიფიანი დაიბადა 1927 წელს ზესტაფონის რაიონში, მოსამსახურის ოჯახში. 1935 წელს შეევიდა ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1945 წელს. 1947-1952 წლებში სწავლობდა სრულიად საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალში. 1952 წლიდან მუშაობს საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებში. 1952-1958 წლებში ქ. ქუთაისის **პროკურატურის გამომძიებელია**, ხოლო შემდეგ 1964 წლამდე უფროსი გამომძიებელი. 1964 წლიდან 1973 წლამდე მუშაობს რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად. 1973-1977 წლებში რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწეა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში გამოძიებისადმი ზედამხედველობის დარგში. 1977-1978 წლებში მუშაობს რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსად, ხოლო შემდეგ აქვე საგამოძიებო საქმეთა მართველოს უფროსად. დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით. 1973 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება. პარტიის წევრია 1962 წლიდან. არაერთხელ არის წახალისებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის და საქართველოს სსრ პროკურორის მიერ.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის **აკაკი ვრიგოლის ძე ბოგობერიშვილი** სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსად.

1980 წლის 10 სექტემბრის № 68 ბრძანებით დაინიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის

ა. გ. გოგობერიშვილი დაიბადა 1923 წელს. სკკპ წევრია 1945 წლიდან. 1963 წელს დამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1941 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. 1942 წელს დამთავრა სოხუმის სამხედრო სასწავლებელი და დანიშნეს 414-ე დივიზიის 1367-ე ლეგიონის მეავტომატეთა ასეულის მეთაურის ნაადგილად სამწყობრო დარგში. 1942-43 წლებში ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის ფრონტებზეა, სადაც დაიჭრა. 1944-1980 წლებში განაგრძობს საშსახურს საბჭოთა არმიის რიგებში, ადგილობრივი მმართველობის სამხედრო ორგანოებში, სადაც ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. მუშაობდა ოზის, ამბროლაურის, მცხეთის სამხედრო კომისრად.

1954-55 წლებში სწავლობდა ქ. სარატოვში საბჭოთა არმიის სამობილიზაციო ორგანოების ოფიცერთა სასწავლებელში. 1953 წლიდან 1964 წლამდე მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მესამე განყოფილების უფროსად, ხოლო 1964 წლიდან 1980 წლამდე ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისრად.

1980 წლის ივლისში განთავისუფლებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან. არის თადარიგის პოლკოვნიკი.

1973-74 წლებში იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის ბიუროს წევრი, ხოლო 1953-78 წ. წ. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილებასთან არსებული პარტიული კომისიის წევრი და პარტკომისიის მდივნის მოადგილე. არის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს დეპუტატი, აღმასკომის წევრი და ორჯონიკიძის პარტრაიკომის წევრი.

ა. გ. გოგობერიშვილი შეყვანილია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრად.

ინფორმაცია

საბჭოთა იურისტების დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

მიმდინარე წლის 16-20 ივნისს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად იყო საბჭოთა იურისტების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ როსტოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ფილიმონოვი და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე ლ. ნიკოლაევი.

დელეგაცია გაეცნო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს, პოტსდამის საოკრუგო სასამართლოს და ქ. ბერლინის ლიხტენბერგის რაიონული სასამართლოს საქმიანობას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და იუსტიციის მინისტრმა ჰანს იოჰიმ ხოზინგერმა და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტმა პ. ტეპლიცმა დარბაზობა გაუმართეს საბჭოთა დელეგაციას.

იუსტიციის მინისტრთან ჰ. ხოზინგერთან მიღებას ესწრებოდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ჰაინც დუფგი.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა განაცხადა: დელეგაციამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხუთი დღე დაჰყო. ჩვენ გავეცანით ამ ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს მუშაობას, სასამართლო პრაქტიკას სისხლის სამართლის იმ სასჯელების გამოყენების დარგში, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის წარმოებულ მთელ საქმიანობას.

დელეგაციის დიდი ინტერესი გამოიწვია იმან, რომ სასჯელების სისტემაში აქ ფართოდ გამოიყენება პირობითი მსჯავრი. ეს სასჯელი შეფარდებული აქვს ყველა მსჯავრდადებულის დაახლოებით ერთ მესამედს. პირობით საგამოცდო ვადას, რომელიც გათვალისწინებულია ჩვენი კანონით, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდადების დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობა არ აწესებს. სასჯელი მოქმედებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული მთელი ვადის მანძილზე. პირობითი მსჯავრის გამოტანის დროს სასამართლოები დამნაშავე პირს უწესებენ, რომ მათ შეასრულონ გარკვეული მოვალეობა, რომლის წრე მეტად ფართოა. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მსჯავრდადებული: იმუშაოს იმ საწარმოში, სადაც იგი ირიცხება; მოეწყოს სამუშაოდ იმ საწარმოში, რომელსაც სასამართლო დაუწესებს; არ შეხვდეს გარკვეულ პირებს, უმეტესად დანაშაულის თანამონაწილეებს; თავი შეიკავოს გარკვეულ ადგილებში სიარულისაგან (კაფე, რესტორანი და სხვ); არ შეიძინოს გარკვეული ქონება (სანადირო თოფი, ავტომანქანა და სხვ.); ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მითითებით სამუშაოდან თავისუფალ დროს საზოგადოებრივ სამუშაოზე უფასოდ იმუშაოს ათ დღემდე; აანაზღაუროს მიყენებული ზარალი; რეგულარულად ჩაბაროს ანგარიში კოლექტივსა და სასამართლოს იმის თაობაზე, თუ როგორ იქცევა და რანაირად ასრულებს თავის მოვალეობას.

თუ როგორ ასრულებს მსჯავრდადებული თავის მოვალეობას, ამას აკონტროლებს სასამართლო. კანონიერ ძალაში განაჩენის შესვლის შემდეგ სასამართლო წერილს უგზავნის შესაბამის ორგანიზაციას. მაგალითად, მილიციის ორგანოებს სასამართლო სთხოვს დაუწესოს მეთვალყურეობა მსჯავრდადებულს, რათა ის არ შეხვდეს გარკვეულ პირებს, არ იაროს განაჩენით აკრძალულ ზოგიერთ დაწესებულებაში. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, სასამართლოს შეტყობინებით, მსჯავრდადებულებს იყენებენ უმთავრესად დასახლებული პუნქტის კეთილმოწყობისათვის. შრომითი კოლექტივები, რომლებიც იღებენ განაჩენის ასლებს, რეგულარულად ისმენენ და იხილავენ მსჯავრდადებულის ანგარიშებს მათი ყოფაქცევისა და განაჩენით დადგენილ მოვალეობათა შესრულების შესახებ. განაჩენის აღსრულებაში ჩაბმული არიან სახალხო მსაჯულები. ისინი შემოწმების შემდეგ ცნობებს გადასცემენ სასამართლოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ისმენს მსჯავრდადებულის ანგარიშს დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. იმ

კოლექტივის თხოვნით, სადაც მსჯავრდადებული მუშაობს, ან თავისი ინიციატივით სასამართლოს შეუძლია, თუ მსჯავრდადებული არ ასრულებს დადგენილ მოვალეობას და ცუდად იქცევა, სასჯელი შეუცვალოს რეალური თავისუფლების აღკვეთით.

იუსტიციის სამინისტროს და სასამართლო ორგანოების მუშაკთა აზრით, ეს სასჯელი ეფექტიანია. პირობით მსჯავრდადებულთა შორის რეციდივი სამჯერ უფრო ნაკლებია საერთო რეციდივთან შედარებით და სულ 10 პროცენტს შეადგენს.

ვინაიდან სასჯელის აღსრულებაში მონაწილეობენ მთელი რიგი ორგანიზაციები და სახალხო მსჯულები, ამ სასჯელს დიდი გამაფრთხილებელი და აღმზრდელობით მნიშვნელობა აქვს.

სისხლის სამართლის სასჯელებიდან მსჯავრდადებულების 40 პროცენტს შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა, მესამედს — ჯარიმა. იუსტიციის სამინისტრო და უმაღლესი სასამართლო სასამართლოებისაგან მოითხოვენ უფრო ფართოდ გამოიყენონ სასჯელის ფორმად ჯარიმა, ამასთან მისი ზღვარი დაწესებული არ არის და შეიძლება 100.000 მანეთსაც კი მიაღწიოს.

გამსვლელი სასამართლო პროცესები, პროფილაქტიკური მიზნით ძალიან მიაგავს ჩვენში დანერგილ ამ ინსტიტუტს. განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სპეციალურად არჩევენ დამსწრე აუდიტორიას. გამსვლელ სესიაზე ისწრებენ იმ პირებს, რომლებზეც დამოკიდებულია დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელება. მაგალითად, თუ გამყიდველმა ფულის დიდი თანხა მითვისა, პროცესზე ისწრებენ მაღაზიებისა და სავაჭრო გაერთიანებათა დირექტორებს. ამგვარადვე არჩევენ აუდიტორიას კოლმეურნეობის თავმჯდომარეებისაგან, საწარმოთა ხელმძღვანელებისა და ბუღალტრებისაგან და ა. შ. აუდიტორიის შერჩევას და მათ დასწრებას პროცესზე უზრუნველყოფენ პარტიის რაიკომები, რაიაღმასკომები, საკონტროლო-სარევიზიო ორგანოები.

ხშირად ასეთივე აუდიტორიის შერჩევა ხდება სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო შენობაში განხილვის დროსაც.

იურისტების მომზადება სასამართლოებში სამუშაოდ წარმოებს მიზანდასახულად. ბერლინის უნივერსიტეტი ამზადებს მხოლოდ სასამართლო მუშაკებს. იურიდიულ ფაკულტეტზე იუსტიციის სამინისტროს სიით იღებენ პირებს, რომლებსაც ოცი წელი შეუსრულდათ. სკოლის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტობის კანდიდატმა უნდა იმუშაოს რომელიმე საწარმოში ან მოიხადოს არმიაში სამსახური. განცხადებას იღებენ რაიონული სასამართლოები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლებიც ამოწმებენ აბიტურიენტის მორალურ, პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს, რის შემდეგაც საბუთებს უგზავნიან საოკრუგო სასამართლოს. აქ ეწყობა გასაუბრება, კანდიდატების შერჩევა და შემდეგ დოკუმენტები იგზავნება იუსტიციის სამინისტროში, რომელიც ამტკიცებს საბოლოო სიას. მისაღები გამოცდები არ ეწყობა. მესამე კურსიდან სტუდენტმა იცის, რომელ სასამართლოში იმუშავებს მოსამართლედ. უნივერსიტეტის ოთხი კურსის დამთავრების შემდეგ მოსამართლეობის კანდიდატი გადის ერთწლიან სტაჟირებას.

საოკრუგო სასამართლოების ფორმირება ხდება მხოლოდ და მხოლოდ რაიონული რგოლის მოსამართლეებისაგან.

იუსტიციის სამინისტრო გარკვეულ ყურადღებას უთმობს სასამართლოებში სპეციალიზაციის დანერგვას. რაიონულ სასამართლოებშიც კი, სადაც ორი მოსამართლეა (ასეთია მთელი სასამართლოს 30 პროცენტი), ერთი იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, მეორე — სამოქალაქო საქმეებს. უმაღლეს, საოკრუგო და ზოგიერთ რაიონულ სასამართლოშიც მოსამართლენი სპეციალდებიან სისხლის, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეთა განხილვაში, ხოლო იქ, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა ამის საშუალებას იძლევა, სპეციალიზაცია ხდება სისხლის სამართლის ცალკეული კატეგორიების საქმეთა განხილვაშიც.

1974 წლიდან გდრ-ში შემოღებულია ბავშვების შესანახი ალიმენტის გადახდევინების ახალი წესი. თუ მოპასუხე იმალება, წავიდა საზღვარგარეთ ან არ შეუძლია ბავშვების შენახვა, ალიმენტს იხდის სახელმწიფო, შემდეგ კი, თუ მოპასუხეს აქვს ამის საშუალება, რეგრესის წესით ახდევინებს მას. ამასთან სახელმწიფო მოპასუხისაგან იღებს 15 პროცენტით მეტს. ეს მეთოდი გამოიყენება აგრეთვე დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას (ტრავმა, ქურდობა), თუ რაიმე მიზეზით დამნაშავეს არ შეუძლია ზარალის ანაზღაურება.

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო სახალხო მსაჯულებისათვის თვეში ერთხელ უშვებს სპეციალურ გაზეთს, რომელიც აშუქებს მსაჯულთა საქმიანობას, მათი მუშაობის დადებითს გამოცდილებას, აქვეყნებს კონსულტაციებს, რჩევა-დარიგებებს და სხვა.

ჩვენს დელეგაციას ყველგან ძალიან გულთბილად ხვდებოდნენ, დასმულ შეკითხვაზე ვიღებდით ზუსტ და ამომწურავ პასუხს; მოგზაურობის დროს დელეგაციას თან ახლდა მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო მდივანი დოქტორი კერნი, მინისტრის მოადგილე პროფესორი სუპრანოვიტცი.

თავის მხრივ, საბჭოთა დელეგაციის წევრებმა გდრ-ის იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას გააცნეს თუ რა მუშაობას ეწევიან ჩვენი ქვეყნის სასამართლოები დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად.

საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს სხდომა

1980 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირში გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს სხდომა.

მოხსენება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში სახელმწიფო და სამართლის საფუძვლების სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკური საკოორდინაციო მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარემ ზ. რატიანმა.

რესპუბლიკის განათლების, პროფტექნიკური განათლების და იუსტიციის ორგანოები— თქვა მომხსენებელმა — სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად დიდ მუშაობას ეწევიან მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის. საგრძნობლად გაუმჯობესდა „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამ საგანს სწავლობს 88.909 მოსწავლე, პროფტექსასწავლებლებში — 20.000 მოსწავლე. პედაგოგებად (2178 მასწავლებელი) შერჩეული არიან ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სპეციალისტები, რომლებმაც ბოლო წლებში შეიძინეს ამ საგნის სწავლების გამოცდილება. პედაგოგები გაკვეთილებს გადასცემენ წინასწარ შემუშავებული გეგმით, პროგრამულ მასალას მჭიდროდ უკავშირებენ პარტიისა და მთავრობის მიერ სამართლებრივ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს. კერძოდ, სპეციალური მეცადინეობები მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 16 აპრილის ბრძანებულებას „ავტომოტორანსპორტის საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“. სასწავლო პროცესი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა კლასგარეშე საქმიანობას.

სკოლებსა და პიონერთა სასახლეებთან შექმნილია ნორჩ იურისტთა და ძერჟინსკელთა კლუბები, წრეები (თერჯოლის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას და ზოგიერთ სხვა რაიონში), ეწყობა ახალგაზრდობის სამართლებრივი ცოდნის და აღზრდის სამდღიურები, კვირეულები, დეკადები, კონფერენციები, შეხვედრები და სხვა ღონისძიებები.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სწავლებისა და სამართლებრივი აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ზოგიერთ საშუალო და პროფტექნიკურ სასწავლებელში ეს საგნები ისწავლება დაბალ დონეზე, მოძველებული სახელმძღვანელოებით, პედაგოგები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, სათანადოდ არ ამუშავებენ საპროგრამო საკითხებს, გაკვეთილებს გადასცემენ ტრაფარეტულად, სასწავლო მასალას არ ამდიდრებენ პრაქტიკული მაგალითებით, არ იყენებენ თვალსაჩინოებებსა და სხვადასხვა სასწავლო დიდაქტიკურ მასალას. ის ფაქტი, რომ არ კლებულობს არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევათა შემთხვევები, ერთგვარად ადასტურებს, რომ უაღრესად საჭიროა სასწავლო დაწესებულებებში სამართალმზრდელობითი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება. 1978 წელთან შედარებით 1979

წელს მსჯავრდადებულ არასრულწლოვანთა ოდენობა გაიზარდა აჭარის ასსრ, ს/ოსეთის აო, ქ. თბილისის ოქტომბრის, 26 კომისრის, გორის, მესტიის, ქარელის, გარდაბნის, ხაშურის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში. 1979-80 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეებმა არასაპატიო მიზეზით გააცდინეს 50.000 მეტი საათი, ხოლო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა 25.000 საათი. მოსწავლეთა სასწავლებლებში არ ყოფნა გარკვეულად ხელს უწყობს მათ მიერ სამართალდარღვევათა დაშვებას. ზოგიერთ რაიონში მოსწავლეთა ანკეტურმა გამოკითხვამ სამართლის საფუძვლების ცოდნის დაბალი დონე გამოავლინა, კერძოდ, 1979 წელს პროფტექსასწავლებლებში გამოკითხული 210 მოსწავლიდან კითხვაზე — რომელ ორგანოს აქვს კანონის მიღების უფლება, სწორი პასუხი გასცა 65 პროცენტმა, კითხვაზე—რომელია ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — სწორად უპასუხა 60 პროცენტმა, კითხვაზე — რომელი ორგანო ახორციელებს მართლმსაჯულებას, სწორად უპასუხა 45 პროცენტმა და სხვ. ანკეტურმა გამოკითხვებმა ცხადყო აგრეთვე თვით პედაგოგთა მოუმზადებლობა.

მიუხედავად განათლების და იუსტიციის სამინისტროების არაერთი გადაწყვეტილებისა, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამ საგნის არც ერთ მასწავლებელს არ აუმაღლებია კვალიფიკაცია. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში სამართალმცოდნეობის მასწავლებელთა დამოუკიდებლად არსებული კურსები 1978 წლიდან შეუერთდა „ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის“ კურსებს, ამასთან სასწავლო პროგრამაში სამართალმცოდნეობის საფუძვლებს დათმობილი აქვს მხოლოდ 4 საათი, სწავლების მეთოდიკის საფუძვლებს — 2 საათი, სსრკ კონსტიტუციას — 6 საათი.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ არ უწევენ შეფობას და სათანადო დახმარებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექსასწავლებლებს სამართლის კაბინეტების მოწყობაში, არ ეხმარებიან თვალსაჩინო მასალების შერჩევაში, ვიტრინების, კონკურსების, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობაში და სხვა.

მოხსენებაში კონკრეტულად იქნა დასახელებული ის სკოლები და პროფტექსასწავლებლები, რომლებშიც დაბალ დონეზეა ზემოაღნიშნული საგნის სწავლება და კლასგარეშე მუშაობა.

მოხსენება „საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს 1979 წლის 13 ივლისის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსმა ა. გუდაღაშვილმა.

მოხსენება „ქ. ჭიათურის სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდიკური საბჭოს მუშაობის შესახებ“ გააკეთა იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსმა კონსულტანტმა ა. შალიკაშვილმა.

საქართველოს სსრ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ყოველკვარტალური კრიტიკული კინოჟურნალის „ადამიანი და კანონის“ მუშაობის შესახებ ისაუბრა სტუდიის რედაქტორმა ლ. ცინცაძემ. ნაჩვენები იქნა სამი ფილმი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ჭიათურის საქალაქო ზონის მდივანმა ც. ბიწაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა რ. შენგელიამ, პროფესორმა ბ. ინწკირველმა, დოკუმენტური და სამეცნიერო პოპულარული ფილმების სტუდიის რედაქტორმა ნ. დროზდოვა-ორახელაშვილმა და სხვებმა.

მუშაობის შედეგები შეაჯამა ზ. რატიანმა.

საკოორდინაციო საბჭომ აღნიშნულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

ვ. ფულაძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსის კონსულტანტი.

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1980 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მოწვინავე, სარედაქციო სტატიები, ოფიციალური ცნობები და მასალები

ვ. ი. ლენინის უკვდავი იდეები შთაგონებისა და ოპტიმიზმის დაუშრეტელი წყაროა. № 2, გვ. 3-6.

განუხრელად დავიცვათ სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპები. № 1, გვ. 4-8.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35 წლისთავი. № 3, გვ. 3-4.

საპატიო წოდებების მინიჭება. № 2, გვ. 80.

საქართველოს სსრ პროკურატურაში № 3, გვ. 65-66.

საქართველოს პარტიული აქტივის კრება. № 1, გვ. 3.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. № 2, გვ. 7.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. № 2, გვ. 50-51.

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას. № 4, გვ. 3.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საერთაშორისო სამართალი

ბაღათურია ა. — სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები თანამედროვე ეტაპზე. № 1, გვ. 9-17.

ბეჟუაშვილი გ. — ახალგაზრდობის ძირითადი უფლებები გდრ-ში. № 5, გვ. 56-61.

ბუდაღაშვილი ა. — სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე № 2, გვ. 43-45.

გელოკანი ა. — ვ. ი. ლენინის საადვოკატო მოღვაწეობა. № 2, გვ. 19-32.

გორდეევი ბ. — სამხედრო იურისტები დიდი სამამულო ომის წლებში. № 3, გვ. 5-9.

ერემოვი გრ. — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ოეგლამენტი. № 3, გვ. 39-46.

კაციტაძე ო. — გ. ქ. სოსელია, № 4, გვ. 69-70.

მეტრეველი ვ. — აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი. № 4, გვ. 65-68.

როზინი ე. — ჰეგელის სამართლის ფილოსოფია და მისი პოლიტიკური ფილოსოფიის პრაქტიკა. № 2, გვ. 46-49.

საფაროვი რ. — საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება სოციალისტური დემოკრატიის განვითარების კონსტიტუციური პრინციპია. № 5, გვ. 3-12.

ფუტკარაძე ი. — ვ. ი. ლენინი და საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს შექმნა. № 2, გვ. 8-19.

სამოქალაქო სამართალი, პროცესი, სამეურნეო, საოჯახო სამართალი, არბიტრაჟი.

გელუკაშვილი ლ. — არასრულწლოვანთა საბინაო უფლებების დაცვა. № 1, გვ. 18-24.

გოლოშვილი გ. — სამოქალაქო საქმეების სასამართლო განხილვისათვის მომზადება და მისი სოციალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. № 6, გვ. 6-13.

მაისურაძე ვ. — კანონი სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ. № 5, გვ. 13-21.

მისკარიანი ე. — საქართველოს სსრ მმაჩის ინსტრუქციაში საჭიროა ზოგიერთი ცვლილების შეტანა. № 4, გვ. 44-45.

სუხიტაშვილი დ. — წილის გამოყოფა, როგორც საერთო საკუთრების ფოსპობის საფუძველი. № 3, გვ. 47-52.

ცაგურია თ. — ბინის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი. № 4, გვ. 41-43.

ჩარგაზია ე. — აგრარულ-სამრეწველო საბჭოთა გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობა. № 6, გვ. 14-18.

სისხლის სამართალი, პროცესი, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა

ბაბილაშვილი ჯ. — სიახლენი კანონმდებლობაში ავტომანქანების გატაცებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. № 4, გვ. 30-34.

გაბიანი ა., კავსაძე ს., თოდუა ა. — მეკრთამეობის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის პირველი შედეგების შესახებ. № 5, გვ. 33-40.

ვამყრელიძე ო. — დანაშაულში თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის ზოგიერთი საკითხი. № 1, გვ. 25-32.

გეგეჭკორი გ. — თავისუფლების აღკვეთის სასჯელის პირობით შეცვლა მსჯავრდადებულთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და მსჯავრდადებულთა ვადამდე პირობით განთავისუფლება. № 5, გვ. 62-64.

გუმაშვილი ლ. — საბჭოთა კრიმინალისტიკის საგანი. № 6, გვ. 19-28.

კალოეკი მ., ბრონევა ნ. — დანაშაულობის შესახებ სოციოლოგიური ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების ზოგიერთი საკითხი. № 4, გვ. 35-40.

მიქაძე ა. — პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება საბჭოთა სისხლის სამართალში. № 6, გვ. 29-37.

პასუხისმგებლობა საპასპორტო რეჟიმის დარღვევისათვის. № 3, გვ. 53-56.

ულენტი ა. — განწყობა დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში. № 6, გვ. 33-46.

სულაქველიძე დ. — დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური შეგნებისათვის. № 4, გვ. 46-53.

უგრეხელიძე მ. — ბრალის შერეული ანუ ორმაგი ფორმის შესახებ. № 1, გვ. 33-38.

ფაფიაშვილი შ. — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის. № 5, გვ. 22-31.

შუშანაშვილი ა. — სამართალწარმოების აქტუალური პრობლემები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით. № 2, გვ. 33-42.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

აბესაძე ა. — ავამაღლოთ სასამართლო ორგანოების როლი დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. № 5, გვ. 41-50.

ბარაბაძე ა. — პროკურატურის ორგანოები ახალი ამოცანების წინაშე. № 3, გვ. 10-12.

გვეტაძე გ. — შეგქმნათ დანაშაულეთა მიმართ შეუწყნარებლობის ატმოსფერო. № 3, გვ. 20-27.

კაჭარავა ვ. — კანონი იცავს ბუნებას. № 3, გვ. 28-38.

კომახიძე მ. — იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფისათვის. № 5, გვ. 51-55.

მახარაძე დ. — სოციალისტური საკუთრების დატაცების საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ. № 4, გვ. 23-29.

საბიაშვილი თ. — იურიდიული სამსახური თანამედროვე ამოცანათა ფონზე. № 4, გვ. 14-22.

ფაჩუაშვილი მ. — მთავარია სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა. № 5. გვ. 13-17.

შუშანაშვილი ა. — სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის შრომისა და ბრძოლის ათი წელი. № 4, გვ. 23-29.

კაციტაძე ო. — ვალმოხდილნი (სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე ვ. პაპიტაშვილი. სამხედრო მოსამართე და პროკურორი. ა. ბერძენიშვილი) № 3, გვ. 62-64.

პორტრეტები, ნარკვევები

არჩემაშვილი ხ. — სახალხო მოსამართლე. № 1, გვ. 39-40.

ბერძენიშვილი პ. — მეგობრის გახსენება. № 5, გვ. 74.

გამყრელიძე ო. — გურამ უგრეხელიძე № 6, გვ. 68-71.

კაციტაძე ო. — სანიმუშო მოქალაქე და მოღვაწე. № 3, გვ. 62-64.

შავგულიძე თ., ტყეშელიაძე გ., გამყრელიძე ო., უგრეხელიძე მ. — სისხლის სამართლის პრობლემების მკვლევარი. № 5, გვ. 68-73.

ქოსაშვილი მ. — ვინ არის დამნაშავე. № 6, გვ. 60-67.

ჭანტურია ლ. — ქალთა საერთაშორისო დღისათვის (მოსამართლე — ა. ხინიაკინა, პროკურორი ე. გოგიძე, ადვოკატი ნ. თუთბერიძე) № 2, გვ. 55.

ჭანტურია ლ. — სამხედრო გამომძიებელი და პროკურორი ვ. ქვანია. № 3, გვ. 61.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია, ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1979 წელს გამოქვეყნებული ძეგლები. № 1, გვ. 78-80.

ოფიციალური მასალა

ნეკროლოგი

ცნობები ავტორთა შესახებ

გიორგი ალექსანდრეს ძე გოლოშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეორედ გამოდის ჩვენს ჟურნალში.

ედიშერ ვენიას ძე ჩარგაზია — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის დაუსწრებელი განყოფილების ასპირანტი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ლაგაზ ელიოზის ძე გუმაშვილი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ავირან გედევანის ძე მიქაძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 5 შრომის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ალექსანდრე მირიანის ძე ჟღენტი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, 30 შრომის და 5 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

მიხეილ ზაქარიას ძე ქურდაძე — ქ. რუსთავის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 30 შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ჯულიეტა ტრიფონის ასული მიქელაძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე, შინაგანი სამსახურის მაიორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

მარია სიმონის ასული ქოსაშვილი — საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი, 7 შრომის ავტორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ოთარ კალენიკეს ძე გამყრელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 36 შრომისა და 1 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1980 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.